

504

1938

6. III

III

სერგ მინისტრის მიერ აკადემიუმის სამართლი.
ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ НАУК СССР
ენის, ისცოდისა და მფლობელის მიერ აკადემიუმის სამართლი.
Институт истории и матер.-культуры им. акад. Н. Я. Марра

გ ა ს ა ლ ე პ ი

საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

МАТЕРИАЛЫ ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ И КАВКАЗА

1938

ნავოთი III выпуск

ტ ბ ი რ ი ს ი

1939



მ ა ს ა ლ ე ბ ი

საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

5849

М А Т Е Р И А Л Ы

ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ И КАВКАЗА

1 9 3 8

ნაველი III ВЫПУСК

~~K18595
3~~



სსრ მიწოდებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამოცემა

ტ ბ ი ლ ი ს ი

1 9 3 9

ქართული ხასხას ისტოგზა

შემასტყვალი.

დაიმუშავდა ს ს რ ვ მ ე ც მ ი ღ რ ე მ ა თ ა დ ა ღ მ ი ი ს
ს ა დ ა რ თ ვ ა ლ ა ს ფ ი ლ ა ა ლ ი ს გ ა ნ ვ ა რ გ უ ლ ა ღ მ ი თ
თ ა ვ მ ჯ დ მ ა მ ა რ ა ჩ ა დ . 6 . მ უ ს ს უ ლ ი შ ა მ ლ ი

Напечатано по распоряжению

Грузинского Филиала АН СССР

Председатель акад. Н. И. МУСХЕЛИШВИЛИ

9(47.922):338 + 34(47.922)

რედაქტორი პროფ. ს ჯანაშვილი

Редактор проф. С. Джанашвили

კავკა გუგუშვილი

1. მარცვანტორული ჭარბობის ისტორიისათვის ა/კავკასიაში
2. შინამრეწველობა ა/კავკასიაში
3. „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ გაფეთა დროთა შემოღებული ჰეჭული“

მანუშავთურული წარმოების ისტორიისათვის ამინის-კავკასიაში¹

* * *

კაპიტალისტური წარმოება ფაქტიურად იქ იშევება სადაც ერთი-დაიგივე ინდივიდუალური კაპიტალი ერთსადამავე დროს მნიშვნელოვანი რაოდენობით დაქირავებულ მუშებს აბამს წარმოებაში, სადაც ამგვარად ფართოვდება ფარგლები შრომის პროცესისა, რომელიც მნიშვნელოვანი რაოდენობის პროდუქტს იძლევა.

ერთ ჭერ ქვეშ ერთსადამავე დროს, ერთიდაიგივე საქონლის საწარმოებლად, კაპიტალისტის შპრენებლობით მნიშვნელოვანი რაოდენობის მუშათა მოქმედება ისტორიულად და ლოგიკურად წარმოადგენს კაპიტალისტური წარმოების ამოსავალ წერტილს, რომელიც როგორც გადამუშავებითი მეურნეობის ფორმა ყალიბდება მანუფაქტურული წარმოების სახით. მანუფაქტურა ამქრული მრეწველობის სახელოსნოდან თავდაპირველად მხოლოდ ერთ წარმოებაში თავმოყრილ მუშათა რიცხვით, ე. ი. რაოდენობრივად განსხვავდება.

მანუფაქტურული წარმოება შესაძლებელს ქმნის შრომის კოოპერაციული ფორმის, — რომელიც სპორადიულად გამოყენებული იყო ძველ დროსა და საშუალო საუკუნეებშიაც, — ფართო მასშტაბით განვითარებას. კოოპერაციია ანვითარებს შრომის საზოგადოებრივ საწარმოო ძალას, რომელიც მანუფაქტურულ წარმოებაში გვევლინება როგორც კაპიტალის საწარმოო ძალა; აქ კოოპერაცია წარმოადგენს კაპიტალისტური წარმოების პროცესის განსაკუთრებულ ფორმას. შრომის პროცესის ეს საზოგადოებრივი ფორმა წარმოადგენს მეთოდს, რომელსაც კაპიტალისტი იყენებს იმ მიზნით, რათა შრომის ნაყოფიერების გაძლიერებით თავისთვის უფრო სარფიანი გახადოს სამუშაო ძალის ექსპლოატაცია.

მანუფაქტურული ხანა საერთოდ კაპიტალისტური წარმოების წესის პირველი პერიოდია. მანუფაქტურა წარმოიქმნება: 1. „სხვადასხვაგვარ

¹ მოხსენდა ს ტალინის სახელობის ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიკის გათედრას—23/XII 1938 წ.

დამოუკიდებელ ხელობათა კომბინაციიდან, რომლებიც დამოუკიდებელი ლობას კარგავენ და ცალმხრივი ხდებიან იმ ზომამდე, რომ ერთიღა-იმავე საქონლის წარმოების პროცესში მხოლოდღა ერთიმეორის შე-მაგებელ ნაწილობრივ ოპერაციას წარმოადგენენ¹; ანდა კიდევ 2. „იგი წარმოსდგება ერთგვაროვანი ხელოსნების კოოპერაციიდან, ანაწი-ლებს ერთსაღამავე ინდივიდუალურ ხელობას მის სხვადასხვა გან-საკუთრებულ ოპერაციებად, აცალევებს და დამოუკიდებლად ხდის მათ იმ ზომამდე, რომ თითოეული მათგანი ამა თუ იმ განსაკუთ-რებული მუშის ერთადერთ ფუნქციად ხდება“². კაპიტალისტური მანუფაქტურა ერთ ჭერ ჭერშ აერთიანებს რა მრავალ დაქირავებულ მუ-შას, ბუნებრივად იწვევს შრომის დანაწილებას, შეჯიბრს მუშებს შორის, ზრდის შრომის ნაყოფიერებას და არა მხოლოდ შრომის დანაწილე-ბის და სხ. მეოქებით, არამედ შრომის იარაღების დიფერენციაციისა და განვითარების მეოქებითაც.

კაპიტალისტური მანუფაქტურის ნიადაგზე ყალიბდება დაქირავე-ბული შრომის სისტემა, მანუფაქტურაში მუშა იქცევა ნაწილობრივ მუშად. აქ შრომის პროცესის სხვადასხვა ოპერაცია გამოეყოფა ერთ-მანეთს და თითოეულ ნაწილობრივ ოპერაციას ასრულებს ნაწი-ლობრივი მუშა, რომელიც მაღლ ჰქარებას წარმოდგენას წარმოების მთელ პროცესშე, თუმცა ხდება ვირტუოზი ნაწილობრივი ოპერაცი-ისა და, მაშასადამე, ამ უკანასკნელთან ერთად ჩამოყალიბებული ნაწი-ლობრივი ინსტრუმენტის გამოყენების საქმეში. სამუშაო იარაღთა გამარტივებით, გაუმჯობესებით და დიფერენციაციით მანუფაქტურა ქმნის ნივთიერ პირობას ქარხნის, ე. ი. მანქანური წარმოების განვი-თარებისათვის. ამ მხრივ, მანუფაქტურა „საშუალედო (პრომეჯუ-თოუშამი) როგორია, ერთის მხრით, ხელოსნობასა და წვრილ სასა-ქონლო კაპიტალის პრიმიტიული ფორმების მატარებელ წარმოებასა და, მეორე მხრით, მსხვილ სამარქანო ინდუსტრიას (ფაბრიკას) შო-რის“³. მანუფაქტურას წვრილ სარეწავებთან ააწლოვებს ის გარემო-ება, რომ იგი ძირითადში დამყარებულია ხელით წარმოებაზე და სა-ხელდახელო წვრილ იარაღებზე; ხოლო ფაბრიკასთან და ქარხანასთან მანუფაქტურას აახლოვებს წარმოქმნა ასე თუ ისე ვრცელი ბაზრე-ბისა, დაქირავებულ შრომაზე დამყარებული სარეწავის ფართე ხა-სიათი და მასში დაბანდებული მსხვილი კაპიტალი.

¹ ქ. მარქსი, „კაპიტალი“ ტ. I, ტუილისი, 1930, გვ. 291.

² ვ. ლენინი, „თხშულებანი“ ტ. III, ტუ. 1930, გვ. 369.

საქართველოსა და ა/კავკასიაში მანუფაქტურული წარმოების თავდაპირველი სახეები შეიძლება მოიძებნოს მე-18 საუკუნეშიაც. მე-18 საუკ. დასაწყისშივე ტფილისში დაარსებულ იქნა სტამბა, სადაც ჩვენ საქმე გვაქვს შრომის მანუფაქტურულ დანაწილებასთან, შემდეგ თოვხანა, ზარაფხანა და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელ საქართველოში ეს მანუფაქტურები მხოლოდ სახელმწიფო სარეწავების სახით შეიძლება წარმოშობილიყო, რამდენადაც კაპიტალისტური თაოსნობის საერთოდ და განსაკუთრებით კერძო კაპიტალისტური სარეწავის წარმოქმნა იმ დროს ჩვენში არსებულ პირობათა საფუძველზე შეუძლებელი იყო.

რაც შეეხება თოვხანას, ზარაფხანას, სტამბას და სხ. სარეწავებს, რომლებიც სახელმწიფო წამოწყებათა სახით წარმოიქმნენ და ე. წ. „სახელმწიფო მანუფაქტურებად“ შეიძლება ჩაითვალონ, — წარმოადგენენ სხვას არაფერს, როგორც მარჯვე მეტის მიერ თავისი სამხედრო ძლიერების გაუმჯობესების, სამეფო პრეროგატივების განხორციელების და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის სფეროში მეტი თუ ნაკლები წარმატებით გადადგმულ ნაბიჯებს. ამასთანავე ეს წამოწყებები, როგორც მეურნეული სარეწავები თავისუფლად შეიძლება ჩაითვალონ მე-19 საუკუნიდან ჩვენში წარმოქმნილი კაპიტალისტური მანუფაქტურების წინამსრბოლებად.

მე-19 საუკუნიდანვე დაწყებული რუსეთის ცარიზმის ორბიტში მოქცეული საქართველო და ა/კავკასია გადაიცა რუსეთისა და ევროპის „კაპიტალისტური თაოსნობის აღამიანთა“ ავანტურისტული და კოლონიურ-მძარცველური მოღვაწეობის ასპარეზად. მანუფაქტურები და ქარხნები, რომელთაც სახელმწიფოს დიდ მოქცელებთან კონტაქტში შესული ეს აღამიანები აარსებდნენ, და რომლებიც აღრე თუ გვიან საპნის ბუშტივით ქრებოდნენ, საბოლოო ანგარიშით უნდა წარმოვიდგინოთ, ცხადია, არა როგორც ჩვენი ქვეყნის სამრეწველო განვითარებისათვის გადადგმული ნაბიჯი, არამედ, როგორც ერთ-ერთი ფორმა კოლონიური მტაცებლობისა და ყაჩალობისა, რაშიაც ჩვენ ქვემოთ დავრჩინდებით.

მანუფაქტურული წარმოება პირველ რიგში ფეხს იკიდებს გადამუშავებითი მრეწველობის ისეთ დარგებში, რომლებიც ჩვენში წინათ წვრილი მრეწველობის (მაგ. ხელოსნობის) სახითაც არ იყო განვითარებული. ასეთი დარგებია კერძოდ ქვეკასრეობა, მინის წარმოება და სხვ.; — ანდა ისეთ დარგებში, რომლებიც ჩვენში იყო განვითარებული, — როგორიცაა, მაგალითად, საფეიქრო წვრილი მრეწველობა, —

მაგრამ არ შედიოდა ამქრული ხელოსნობის სამოქმედო ასპარეზში და
თანაც იმთავითვე შეიქმნა კარიზმის კოლონიური სამრეწველო მართვის
ტიკის ობიექტიად; ასეთი იყო, მაგალითად, აბრეშუმი და მატყლი,
რომელთა ადგილზევე თავდაპირველი გადამუშავება (ნართად ქცევა)
და ამ სახით მეტროპოლიის ფაბრიკებისათვის მიწოდება კარიზმის ად-
გილობრივი ხელისუფლების მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენდა.

ა/კავკასიაში მანუფაქტურული წარმოება წარმოადგენდა მეტრო-
პოლიის ფაბრიკის დამატებას (მაგ. საფეიქრო მრეწველობაში), თუ
მიზნად ისახავდა გააღვილებას კოლონიური ნაწარმებით (მაგ. ღვინით)
მეტროპოლიის ბაზრის მომარავებისა,—ე. ი. დას. ევროპის ვაჭრობის
დამკიდებულებისგან რუსეთის განთავისუფლებას, — ორივე შემთხვე-
ვაში წარმოიქმნა უმთავრესად გარედან (რუსეთიდან ან რუსეთის
მეშვეობით ევროპიდან) შემოსული წამოწყების სახით.

ქვემოთ წარმოდგენილ კონკრეტულ მასალებში დაკვირვებული
მკითხველი დაინახავს მტკიცებას ჩვენ მიერ აქ წამოყენებული დებუ-
ლებებისას.

ამასთანავე, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, საქართველოს-და
ა/კავკასიისმცოდნეობის ლიტერატურაში დღემდე დასმულიც კი არ-
სად არ ყოფილა ჩვენში მანუფაქტურული წარმოების ისტორიის შე-
სწავლის საკითხი, რომ არა ვსოდეთ რა ამ მიმართულებით გადადგ-
მული რაიმე რეალური ნაბიჯის შესახებ.

ამ მხრივ მდგომარეობის შედარებაც კი არ შეიძლება მრეწველო-
ბის ისეთ ფორმებთან, როგორიცაა, მაგალითად, ხელოსნობა და
შინამრეწველობა. გადამუშავებითი მრეწველობის ამ ფორმების სა-
ქართველოსა და ა/კავკასიაში განვითარების შესახებ ჩვენ მოგვეპოება
შესამჩნევი ლიტერატურა.

მაშინ, როდესაც დღემდე ა/კავკასიისმცოდნეობის ლიტერატურაში
არ დაბეჭდილა არც ერთი სტატიაც კი, სადაც იყოს გაშუქებული
ჩვენში კაპიტალისტური მეურნეობის წარმოშობისა და განვითარების
ისეთი უმნიშვნელოვანესი სტადია, როგორიც არის მანუფაქტურული
წარმოება, რომელიც აუცილებელი საფეხურია საერთოდ მსხვილი
კაპიტალისტური წარმოების წესის წარმოშობისა და რომელიც,
როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, კერძოდ ჩვენშიაც არსებობდა და
ფრიად საყურადღებო თავისებურებებითაც ხისიათდებოდა.

მანუფაქტურული წარმოების წესის განვითარების საკითხში ასეთი
მდგომარეობა, ცხადია, სხვათაშორის, უმთავრესად იმით აიხსნება,
რომ ცარიზმის კანონმდებლობითი აქტებისა და დაწესებულებათა
არქივებში, ოფიციალურ მიმოწერაში, მანუფაქტურა ყველგან ან
თითქმის ყველგან გაიგივებულია ფაბრიკასა და ქარხანასთან. თვით-



შპყრობელობის ბიუროკრატია, როგორც შიდა რუსეთში, ისე ჩვენშიაც
მანუფაქტურას და ფაბრიკას განიხილავდა როგორც გადამუშავებით
მრეწველობის ერთგაროვან ფორმებს; მაგრამ ა/კავკასიისმცოდნეო-
ბაში მონაწილე ბურუუზიული ეკონომიური მეცნიერებაც ვერ ანსხვა-
ვებდა ერთმანეთისაგან მრეწველობის იმ სრულიად სხვადასხვა ფორ-
მებს, როგორიცაა ფაბრიკა (ქარხანა) და მანუფაქტურა.

ჩვენის აზრით, სწორეთ ამაში უნდა ვეძიოთ ა/კავკასიაში მანუფა-
ქტურული წარმოების განვითარების ის უგულებელყოფა, რასთანაც
დღემდე გვაქვს საჭმე; მით უმეტეს, რომ მარქსისტული ეკონომიური
მეცნიერების მხრივ როგორც ა/კავკასიის ისე საქართველოს მეურნეული
განვითარების ისტორია ჯერ კიდევ გაუტეხელ ყამირს წარმოადგენს.

ყოველივე ამის გამო ჩვენში მანუფაქტურული წარმოების განვითა-
რების შესწავლის დროს ვერ შემოვიტარებული ამ პროცესის ზოგადი
განხილვით, — თხრობის როგორც გინდ სიმოქლით არ ვიყოთ განსახ-
ლვრული. სწორედ ამიტომ ჩვენ ასე თუ ისე სისრულით შემოვხაზავთ
საქართველოში მანუფაქტურული წარმოების ისტორიას, მაგრამ მხო-
ლოდ ზოგიერთ ტიპიურ წამოწყებათა წარმოშობისა და განვითა-
რება-ლიკვიდაციის განხილვის სახით.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ცარიზმის ეკონომიური პოლიტიკის მეო-
ხებით კოლონიურ ა/კავკასიაში მანუფაქტურული წარმოების წარმოქ-
მნისათვის არსებული ორი გზა. პირველ შემთხვევაში ადგილობრივი
მანუფაქტურა, მაგ., საფეიქრო მრეწველობის დარგებში, წარმოადგენდა
მეტროპოლიის შესაბამი ფაბრიკების დამატებას, ხოლო მეორე შემთხ-
ვევაში მიზნად ისახავდა კოლონიური სასოფლო-სამეურნეო ნაწარ-
მოებით მეტროპოლიის ბაზრის მომარავებას.

ქვემოთ, კონკრეტულ მასალათა საფუძველზე, ჩვენ გავეცნობით
როგორც პირველი, ისე მეორე სახის მანუფაქტურუბის განვითარებას. პირველი სახის მანუფაქტურათა შორის განსაკუთრებით საინტერესოა
საფეიქრო დარგის მანუფაქტურა, კერძოდ აბრეშუმის ძაფის ამოსახ-
ვევი და სართავი და აგრეთვე მატყლის საპენტი და სართავი სარე-
წავები, რომელთაც შიდა რუსეთის საფეიქრო ფაბრიკებისათვის უნდა
მიეწოდებინათ აბრეშუმისა და მატყლის ნართი.

I. აგრეშუმის ქაფის ამოსახვევი და სართავი მანუშავთურა

მე - 19 საუკ. დასაწყისისათვის მეაბრეშუმების ძველი კულ-
ტურა საქართველოსა და მთელ ა/კავკასიაში საერთოდ დაცემული
იყო. გასული საუკუნის დამდეგიდანვე ცარიზმი ზრუნავს ჩვენში მეაბ-
რეშუმების განვითარებისათვის; იგი დიდადა დაინტერესებული,

რათა ა/კავკასიის აბრეშუმის მიწოდებით შესძლოს თავისი ფაბრიკების ნედლეულით მომარაგება. ჯერ კიდევ 1802 წ. პეტერბურგიდან საქართველოში მოვლინებულ იქნა მეაბრეშუმეობის მთავარი ინსპექტორი ბარონ ბიბერშტეინი, „რათა გაეგო თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფება იქ მეაბრეშუმეობა და პირადად მოეხილა ადგილები, რომლებშიაც მეურნეობის ამ დარგის წარმოქმნა და გავრცელება იქნება შესაძლებელი“.

ამავე ხანებიდანვე იწყება საქართველოდან საფეიქრო მჩერველობის ნედლი მასალის (აბრეშუმის, ბამბის, მატყლის) რეგულარული გატანა მოსკოვისა და პეტერბურგის ფაბრიკებისათვის. ამასთანავე მეტროპოლია ყოველმხრივ ხელს უშლის რათა აქვე, საქართველოშივე, არ წარმოიშვას ამ ნედლეულის ფაბრიკული გადამუშავება, ე. ი. არ განვითარდეს საფეიქრო მრეწველობა. ჯერ კიდევ პ. ციციანოვმა დააყენა საკითხი (1806 წ.) ტფილისში ადგილობრივი მატყლის ბაზაზე დაეარსებინათ მაუდის ფაბრიკა, რომელსაც უმთავრესად უნდა მოეცა კავკასიის ცალკე კორპუსის ჯარის ნაწილების შესამოსელი შალეულის უხე ში ნაწარმოები. იმავე პ. ციციანოვმა 1804 წ. პეტერბურგში დასვა საკითხი ტფილისში ბამბეჭლის საფეიქრო მანუფაქტურის გახსნის შესახებაც. შემდეგ 1810 წ. გენ. ტორმასოვმა იშუამდგომლა ცენტრის წინაშე, რათა ტფილისში დაეარსებინათ სახაზინო მაუდის ფაბრიკა და ტყავის ქარხანა. მაგრამ, როგორც პ. ციციანოვის დროს, ისე ახლაც, პეტერბურგი წინააღმდეგია ტფილისში ასეთი ფაბრიკა-ქარხნების დაარსებისა.

კერძოდ ტორმასოვის შუამდგომლობაზე შინაგან საქმეთა მინისტრი თავ. კურაკინი იწერება, რომ „ასეთი სარეწავები თვით შიდა რუსეთშიაც აუარებელ დაბრკოლებებს აწყდება და შით უფრო შეუძლებლად მიმართნა მათი მოწყობა საქართველოში“. რაღაც ამ ქარხნების დაარსებით იქ გაიზრდება ნედლი მასალის ფასი, ძნელი იქნება აქედან იქ ინსტრუმენტებისა და სალებავების მიტანა და ოსტატების მიყვანა, რის გამოც იქ წარმოებული მაუდი უფრო ძვირი დაჯდება, ვინემ აქედან მიტანილი.

თვითმპურობელობას კოლონიის ნედლი მასალა უნდოდა მეტროპოლიის მრეწველობისათვის; გარდა ამისა კოლონიის მრეწველობა კონკურენციას გაუშევდა მეტროპოლიისას, წაართმევდა მას ბაზარს. ამ მხრივ უფრო ჭრილობებისა ის ბარათი, რომელიც პ. ციციანოვს მოსწერეს პეტერბურგიდან: „საქართველოში ბამბაქსოვილის მანუფაქტურის დაარსება კომერციისა და მრეწველობის აქაურ მოღვაწეებს არაკეთილგანზრახულ ცდად მიაჩნიათო“.

ამგვარად თვითმპურობელობა ზღუდავდა საქართველოს, როგორც კოლონიის,

ეკონომიური განვითარების შესაძლებლობას, რათა გაეძლიერებინა
და გაელრმავებინა საქართველოს ეკონომიური და მაშასადამე, პლიტიკური დამოკიდებულება მეტროპოლიისადმი.

ცარიზმის ამგვარი საკოლონიო ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, საქართველოსა და ა/კავკასიაში, ადგილობრივ სახაზინო თუ კერძო კომერციულ თაოსნობას შესაძლებლობა რჩებოდა აქაური ნედლეულის მხოლოდ თავდაპირველი, ე. ი. ნაწილობრივი გადამუშავებისა. თვითმკურობელობა ამის შესაძლებლობასაც მხოლოდ იმიტომ იძლეოდა, რათა აეცდინა — ჩამორჩენილ სამიმოსელო გზათ და მიმოზიდვის საშუალებათა პირობებში — მეტად დიდი სატრანსპორტო ხარჯები.

ამიტომ პ. ციციანოვი, — მას შემდევ რაც საფეიქრო ფაბრიკის დაარსებისათვის უარი მიიღო — უკვე ცდილობს ნედლი ბამბის ნაცვლად მოსკოვის ფაბრიკებს მიაწოდოს ბამბის ნართი, რისთვისაც უნდოდა ტფილისში ბამბის ძაფსართავი (ძაფსაგრეხი) სახელოსნოს დაარსება. ხოლო აქედან „ბამბის ნართის მიწოდება შეიძლება ხელსაყრელ პირობებში იმერეთით ფოთამდე სახმელეთო გზით, მერე შევი ზღვით ტაგანროგამდე, ხოლო აქედან კიდევ მოსკოვამდე“ ცნობილი გზით. მაგრამ პ. ციციანოვის და მის შემდგომ მოადგილეთა ამგვარ ცდებმაც უშედეგოდ ჩაიარა და არა მხოლოდ მეტროპოლიის კოლონიური სამრეწველო პოლიტიკის მეოხებით, არამედ იმის გამოც, რომ საქართველოსა და ა/კავკასიაში ჯერ კიდევ არ მოიპოვებოდა ამგვარი თაოსნობისათვის თავისუფალი კაპიტალი და არც შიდა რუსეთიდან შეეძლო მას შემოსულიყო.

1821 წ. 8 ოქტომბრის უქაზმა საქართველოსა და ა/კავკასიაში შეღავთიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის დაწესებით გზა გაუხსნა აქეთ-კენ ევროპულ კაპიტალს და მესარეწველობას. ცნობილ გამბას მიერ საქართველოში მოყვანილმა ფრანგ ნეგოციანტ კასტელამ 1823 წ. მარტში იმპერიის ფინანსთა მინისტრს განუცხადა თავისი აზრი, რომ სურს „სამუდამოდ დასახლდეს ტფილისში“ და ითხოვა მიეცათ მისთვის ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ტფილისში მაუდის საფეიქრო ფაბრიკის და აბრეშუმის ძაფსართავი ფაბრიკის დაარსების და საქართველოში ტიბეტური თხების მოშენების პრივილეგია.

ფინანსთა მინისტრმა კასტელას უარი უთხრა ტფილისში მაუდის საფეიქრო ფაბრიკის დაარსების განსაკუთრებულ პრივილეგიისათვის, რადგან, საქართველოში მაუდის ფაბრიკულ წარმოებას „შეუძლია შეევიწროოს მაუდის მრეწველობა სახელმწიფოში“, ე. ი. შიდა რუსეთშით. ტიბეტური თხების მოშენების შესახებ კასტელამ ვერ მიიღო გარკვეული პასუხი, ხოლო აბრეშუმის ძაფსართავი სარეწავის დაარსება, თუ კასტელა ამას მოაწყობდა ისეთი გაუმჯობესებული სახით,

როგორც იყო მაშინ იტალიასა და საფრანგეთში, მიზანშეწონილად
იქნა ცნობილი, რამდენადაც „ჩვენს რუსეთის ფაბრიკებს შეეძლებათ
ამ (ტფილისური) ნართით შესცვალონ აბრეშუმი, რომელიც მათ
(მოსკოვის ფაბრიკებს—პ. გ.) ამჟამად მოაქვთ საზღვარგარეთიდან“.

თუ რომ მაუდის მოსკოველი მეფაბრიკები კატეგორიულად ილაშ-
ქრებენ ტფილისში მაუდის ფაბრიკის დაარსების კასტელას ცდების
წინააღმდეგ, სამაგიეროდ ისინი აღფრთოვანებით ხვდებიან კასტელას
წინადადებას, რომ უკანასკნელს განზრახული აქვს ყულევში, ტფილისში
და ბაქოში გახსნას საკომისიო სავაჭრო კონტორები და მიიღოს თა-
ვის თავზე რეალიზაცია რუსეთის ფაბრიკების მაუდისა ტფილისში,
სადაც უნდა მოეზიდა ვაჭრები ირანიდან და ლევანტიდან, რათა ამა-
თი მეშვეობით რუსული მაუდი მიეწოდებინა აღმოსავლეთის იმ ბაზრე-
ბისათვის, სადაც გაბატონებული იყო ინგლისური და ფრანგული მაუდი.

1823 წელსვე განმეორებული ცდების შემდეგ იმპერიის ფინანსთა
მინისტრ კანკრინ გა შესაძლებლად მიიჩნია კასტელას მიერ ტფი-
ლისში განზრახული აბრეშუმის ძაფსართავი „ფაბრიკისათვის“ 10
წლიანი პრივილეგიის მიცემა. მით უმეტეს, რომ ახლა კისტელა პირო-
ბას იძლევა, რომ იგი ხელს მოპკიდებს არა შხოლოდ ა/კავკასიური,
არამედ ირანული აბრეშუმის ამოხვევასა და რთვას და ამ ნახევარფაბ-
რიკატით მოამარავებს არამც თუ რუსეთის აბრეშუმის საფეიქრო ფაბ-
რიკებს, არამედ დაიწყებს ვაჭრობას ევროპის მთავარ ბაზრებზედაც,
რამდენადაც „ჩემ მიერ დამუშავებული აბრეშუმის ნართი თვისობ-
რივად ოდნავადაც არ ჩამორჩებოდეს იქნება იტალიურს“. ამასთანა-
ვთ კასტელა დასქენს, რომ მან თვით მოიარა ა/კავკასია და დარწმუნ-
და „რომ სასურველი სახის აბრეშუმის ძაფსართავი სარეწავი შეიძლე-
ბა მოეწყოს და აყვანილ იქნას სრულქმილობისა და სარტიანობის
უმაღლეს ხარისხაშედე მხოლოდ საქართველოში“.

· კასტელამ მის მიერ განზრახული აბრეშუმის ძაფის მოსახვევი
და სართავი „ფაბრიკის“ შესახებ წარადგინა ახსნა-განმარტებითი
ბარათი, რომელშიაც სხვათა შორის ვკითხულობთ: ეს „ფაბრიკა მოწ-
ყობილი იქნება ამჟამად იტალიასა და საფრანგეთში მომქმედი შესაბამი
სარეწავის მსგავსად, ხოლო რადგან ესენი საყოველთაოდ ცნობილია,
ამიტომ ნახაზებასა და ძლიერას არ საჭიროებენ“; — აქ იწარმოება აბ-
რეშუმის ამოხვევა და მისი დამუშავება ლარულ (საქსველი, ძირის)
და ორხაულ (მისაქსველ) ძაფად და აგრეთვე საკერავ ძაფადაც, რაც
აქამდე უცხოეთიდან შემოაქვთ; — ამ მრეწველობის ნაწარმოები უნდა
იქნას მიჩნეული მშობლიურ ნაწარმოებად და როგორც ასეთს უნდა მი-
ეცეს სარეალიზაციოდ თავისუფალი გზახსნილი ყველა სახელმწიფოებში
მსგავსად რუსეთის სხვა ნაწარმოებთა; — ამ საქონლის საზღვარგარეთ

გატანას და ევროპის უმთავრეს კომერციულ ცენტრებში რეალიზაციას შეუძლია დიდი სარგებლობის მოტანა რუსეთისათვის.

ამასთანავე კასტელა დასძენს, რომ ამ სარეწავის მოწყობა, საჭირო მანქანების, ოსტატების, ხელოსნების და მუშების უცხოეთიდან გამოწერა, შემდეგ ნედლი მასალის შესყიდვა და სხვ. საჭიროებს „ესოდენ დიდ კაპიტალს, რომ შეუძლებელია კაცმა გადასწყვიტოს მრეწველობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში ასეთი სარეწავის დაარსება, თუ იმედი არ ექნება მთავრობისგან პრივილეგიისა და განსაკუთრებული მფარველობისა“, როგორც ეს ხდება ასეთ შემთხვევაში სხვა ქვეყნებში. მაგ., საფრანგეთში, სადაც იტალიელმა, რომელმაც კოლბერის დროს შემოიღო აბრეშუმის მესარეწეობა, გარდა დიდი პრივილეგიებისა და სუბსიდიებისა, მიიღო აზნაურის წოდებაცომ

კასტელა ამტკიცებს რომ მისი სარეწავი დიდ სარგებლობას მოუტანს რუსეთის საფინანსო უწყებას, რამდენადაც საჭირო არ იქნება იტალიიდან შემოტანა არა თუ ნედლი აბრეშუმისა, არამედ აბრეშუმის საკერავი ძაფისაც-კი. კიდევ მეტი, რუსეთი თვითონ დაიწყებს ამ საქონლის გატანას; — მაგრამ მისი სარეწავი მეტად სასარგებლო იქნება რუსეთში აბრეშუმის საფეიქრო მრეწველობის განვითარებისთვის, რამდენადაც მოსკოვის ფაბრიკებს, შეიძენენ რა იაფოსებში ნედლეულს, შეეძლებათ დაუკლონ ფასები თავიანთ ნაკეთობებზე, გამოვიდნენ უცხოეთის ფაბრიკებთან კონკურენციაში და ყოველივე ამით მიაღწიონ წარმატებებს; ამას გარდა იგი ხელს შეუწყობდა რუსეთის ვაჭრობის გაფართოებას ევროპასთან და აღმოსავლეთთან; ხოლო მეაბრეშუმების ფართე მასშტაბით გავრცელება, თუთის ხის და სამღებრო მცენარეთა მოშენების გაფართოება ხელს შეუწყობს საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებას და სავაჭრო ბრუნვების აღმოჩინებას. თვით აბრეშუმის ძაფსართავ სარეწავში დაბანდებული იქნება ადგილობრივი მუშების, უფრო მეტად ქალებისა და ბავშვების, დიდი რაოდენობა, რომლებიც აქ იქნებიან მუდმივ დაახლოევებული ევროპელ ოსტატებთან და სპეციალისტებთან; ეს უკანასკნელნი მიაჩვევენ მათ ევროპულ ზნეჩვეულებებს და მიღრეკილებათ და ნელნელა გადავიწყებენ თავიანთ აზიურ სიმკაცრეს, რაც საბოლოო ანგარიშით ამ ხალხს გადააქცევს განათლებულ მესარეწე, მშვიდობიან და სასარგებლო და თანაც ერთგულ ქვეშეერდომებად იმპერატორისათ.

პეტერბურგი ყოველივე ამის შემდეგაც თავს იკავებდა კასტელასათვის ხსნებული პრივილეგიის მიცემის კანონის სახით საბოლოო გაფორმებისაგან. ეჭვობდნენ, ხომ არ შეეძლო რუსეთის მრეწველობისათვის რაიმე, ჯერ კიდევ გაუთვალისწინებელი, სახის ზიანი

მოეტანა კასტელას მიერ განზრახულ საქმიანობას¹. ამ ხანებში
იმპერატორმა დაამტკიცა მინისტრთა კომიტეტის დადგენილება: მომ
დინათ ცდა, თუ რა სახით უფრო სართვიანი იქნებოდა ხაზინისათვის
რეალიზაცია იმ აბრეშუმისა, რომელიც საქართველოს მთავრობას
შემოსდიოდა ზოგიერთი პროვინციიდან (მაგ., ჭარი, ბელაქანი, შუშა,
შამახია, ყარაბახი და სხვ.) გადახდილი ხარჯის სახით. ამ შინით
ტფილისში დაგროვილი აბრეშუმის პარჯის ნახევარი უნდა წელოთ
გასაყიდად მოსკოვს და ნოვგოროდს, ხოლო მეორე ნახევარი
აღილობრივადვე გაეყიდათ სააუკიონო ვაჭრობაში შეძლეულ ფასად.

როგორი იყო ფასები აბრეშუმის პარქზე ტფილისსა და მოსკოვში?

1 ფუთი აბრეშუმის ფასი (ვერცხ. მანეთობით):

	1816 წ.	1817 წ.	1818 წ.	1819 წ.	1820 წ.	1821 წ.	1822 წ.	1823 წ.	1824 წ.
შამახიის აბრეშუმი:									
ტფილისში	83,5	86	82	85	90	65	65	61	61
მოსკოვში	105	110,5	109,5	95	105	57,5	57,5	62,5	70
ტფილისიდან მოსკოვამდე მიტანის ხარჯი . . .	3	3	3	3	3	3	3	3	3
მთიულეთის აბრეშუმი:									
(ჭარი, ბელაქანი და სხვ.).									
ტფილისში	50	50	50	50	45	45	45	40	40
მოსკოვში	60,5	60,5	60	42,5	42,5	42,5	42,5	42,5	40,5
მიტანის ხარჯი	3	3	3	3	3	3	3	3	3

¹ საინტერესოა, რომ ცოტა უფრო გვიან „საქართველოს მთავრობა“ უკვე
სულ სხვა შეხედულებისა იყო აქ მრავალობის განვითარების ზესახებ,
ვინებ მაგ., პ. ციციანოვი და შემდეგ ა. ე რ მ თ ლ თ ვ ი. ხოლო შეხედულებათა
ეს ცელისება იყო შედეგი შიდა რუსეთის ეკონომიკურ, კერძოდ სამრეწველო,
მდგომ რეობაში მიმდინარე ცვლილებებისა სახელდობრ 1830 წ. ერმო-
ლოვის შემცვლელი გენ. ჯას კევიჩი კანკრინს სწერდა, ორი აქ , ფაბრიკე-
ბისა და ქარხნების დამაარს ბეჭლთათვის პრივილეგიების მინიჭება არც უნდა
ხდებოდეს; რადგან მე მგონია კიდევ გადაუშევეტელია საკითხი საქართველოში
ფაბრიკების და ქარხნების (განაკუთრებით ზოგიერთა) წაუქების სარგებლია-
ნობის შესახებ. ხომ არ უნდა ვუყირებდეთ საქართველოს როგორც კოლონიას,
რომელიც უნდა აწოდებდეს უხეშ მასალას [ნედლეულს] (აბრეშუმს, ბამბას და

1824 წელს მოხდენილ პირველსავე ცდაზე გამოირკვა რომ აბრეშუმის პარკის ადგილობრივ (ტფილისში) გაყიდვა თითქმის უფრომხელ საყრელი იყო ხაზინისათვის. ტფილისიდან მოსკოვამდე ერთი ფუთი აბრეშუმის მიტანა ჯდებოდა 3 მანეთი. ხოლო მოსკოვში 1824 წ., შამახური აბრეშუმი ლირდა 285—300 მან. ასიგნაციით¹, ტფილისში კი შაქური აბრეშუმი, რომელიც უფრო მდარე ხარისხისა იყო, იყიდებოდა 304 მან. ასიგნაც.

ამ ხანებში კასტელა უახლოვდება ფინანსთა მინისტრ კანკრინს, რომელიც იმ დროს იმპერიის მთელი კომერციული ცხოვრების ნამდვილი დიქტატორი იყო. უნდა ვითიქროთ, რომ ეს დაახლოვება გამოიხატა მინისტრის მოქრანამვაში და აგრეთვე მისთვის აბრეშუმის სარეწავიდან მოგების გარკვეული ნაწილის შეპირებაში. 1824 წ. მიწურულს, კანკრინი გენ. ერმოლოვს სწერს, რომ კასტელამ უკვე მოახდინა ყარაბახული აბრეშუმის საცდელი გადამუშავება, რაც „დიდის წარმატებით დამთავრდა და რაც დიდი სარგებლობის მოტანას უქადის იმ ქვეყანასათ“ და აქვე დასძენს, რომ კასტელამ ახლა კვლავ შემოიტანა თხოვნა ცნობილი პრივილეგიის მიღებისათვისო.

კასტელა დაუდევგარია. იგი ახალ-ახალ ხერხებს მიმართავს, რათა ნათელჲყოს თვითმპყრობელობისათვის წამოწყების „ყოველმხრივ მიზან-შეწონილება“. 1826 წ იყნის მან ერმოლოვს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი, „საქართველოში, მეაბრეშუმების და ზოგი სხვა წარმოების გაუმჯობესებისა და გავრცელებისათვის, რუსი გლეხების გაღმოსახლების შესახებ“. გარდა ამისა კასტელა თხოულობდა მიეკათ მისთვის „ტფილისის მიღამოებში არსებული დიდალი ტიალი და დაუმუშავებელი მიწები“ თუთის ხის გაშენებისა და მეაბრეშუმების განვითარების მიზნით.

ამის შემდეგ გენ. ერმოლოვი იძულებულია უმტკიცოს ფინ. მინისტრს, რომ თუმცა რუსი გლეხების საქართველოში გადმოსახლება

სხვ.) ჩექენს ფაბრიკებს და მიქონდეს რუსეთიდან მანუფაქტურული ნაკეთობანი? წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში ამგვარი მანუფაქტურების დაარსებით ბუნებრივად ხომ არ შესუსტება მისი კავშირი რუსეთთან? რუსეთის მიერ ა/კავ-კასიის პროვინციებში ჯარის შენახვაზე დახარჯულ კაპიტალსაც არ ექნება მაშინ შესაძლებლობა დაბრუნდეს რუსეთში; მით უმეტეს რომ ახლაც ბრუნდება მხოლოდ ასიგნატები, ხოლო ჩერიალა ფული მთლად ჩერბა აქვე ანდა გადის საზღვარგარეთ“-ი.

ამგვ.რად, როგორც ვხედავთ, მეტროპოლიის კოლონიური სამრეწველო პოლიტიკა 30-იანი წლებიდან მოყოლებული უკვე დებულობს ნამდვილად კაპიტალისტური მეტროპოლიის დამახასიათებელ თვისებას. (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. შ. ვ. გუგუშვილი, „К аннексионистско-колонизаторской и аграрной политике царизма в Грузии“, 1938. Т.)

¹ 1 მან. ვერცხლისა = 4 მან. ასიგნაციით.

სასარგებლო საქმეა, მაგრამ ამის განხორციელება შეუძლებელია რადგან: 1. აღმ. საქართველოში საცხებით არ არის თავისუფალი სახის ხაზინი მიწები და ადგილობრივ მკვიდრთა ძლიერი შევიწროების გარეშე აქ არ შეიძლება არავითარ ახალი ახალშენის მოწყობა; 2. მუსლიმანთა პროვინციებში და იმერეთშიაც მოიძებნება დაუკავებელი სახაზინი მიწები, მაგრამ ეს ისეთი ადგილებია, სადაც თვით აბორიენები განიცდიან სასტიკ კლიმატურ ავალმყოფობათ და სადაც დასახლებული რუსები ამ არაჯანმრთელი ბუნების მსხვერპლი შეიქნებოდნენ.

პრივილეგიის დამტკიცების საქმეს აგვიანდება, მაგრამ მის მიერ დაქრთამულ სახელმწიფოს დიდ მოხელეთაგან დაიმედებული კასტელა მანიც შეუდგა ტფილისში „ფაბრიკის“ მშენებლობას. მან იარაღინსტრუმენტები და ოსტატებიც გამოიწერა საფრანგეთიდან და მიიღო კიდევაც, ასე რომ 1826 წ. ბოლოსათვის მისი სარეწავი „თითქმის მზად“ იყო სამოქმედოდ. ამის შემდეგ, რაკი ადგილობრივი მთავრობა ფაქტის წინაშე დაიყენა, პრივილეგიის მიღებამდე ტყუილა დრო რომ არ დაეკარგოს, კასტელა საქართველოს მთავარსარდალს სთხოვს:

1. „ამოქმედოს მანქანები და შეუდგეს მისი მეთოდით აბრეშუმის პარკიდან ძაფის ამოხვევას და რთვას“;

2. ადგილობრივ მცხოვრებთ აეკრძალოთ გამოყენება როგორც მანქანებისა ისე ძაფის ამოხვევისა და რთვისა, მის მიერ შემოღებული მეთოდით, გარეშე მისივე თანხმობისა და ნებართვისა;

3. მიეცეს მას შესასყიდლად ხაზინაში ხარკის სახით შემოსული აბრეშუმის პარკი საერთოდ აქ არსებულ პირობებსა და ფასებში,

4. შეძლებისამებრ გაუაღვილდეს მას იდგილებზე მისთვის საჭირო რაოდენობით აბრეშუმის პარკის შეძენა.

ამასობაში, 1826 წ. სექტემბერს, დამტკიცებულ იქნა კასტელა-სათვის ცნობილი პრივილეგიის მინიჭების პროცესი. აღსანიშნავია რომ ფრანგი ნეგოციანტის ამ წარმატებას მტრულად შეხვდნენ ინგლისელი ვაჭრები. იმავე თვეში ფინანსთა მინისტრი ტფილისიდან, ბარონ მე იე ნდორფის მეშვეობით, ლებულობს ინგლისელ ნეგოციანტი მობერლე ის მოხსენებით ბარათს, სადაც უკანასკელი აღნიშნავს, რომ კასტელასათვის მიცემული პრივილეგიის შედეგები „მეტად არახელსაყრელი იქნება ა/კავკასიის მცხოვრებთათვისო“, მაგრამ როგორც ვიცით, ფინანსთა მინისტრთან კასტელას საქმე უკვე მოჰახრაკებული ჰქონდა.

სწორედ ამიტომ კასტელა არ კმაყოფილდება მხოლოდ მიღებული პრივილეგიით; იგი ანლა თხოულობს კიდევ სესხს ხაზინიდან, და აი კანკრინი გენ. ერმოლოვს სწერს, რომ კასტელას წამოწყება უმჯობესი

იქნება იმგვარად მოეწყოს, რომ „იგი ეკუთვნოდეს არა ერთ პირზე“
ნებას, არამედ მთელ სახელმწიფოს და რომ მრავალი ჩვენი პატივული
მული აზნაურებისგან უკვე მზადაა მონაწილეობა მიიღოს ამ საქმეში
აქციების მეშვეობით; მაგრამ სურვილს აცხადებენ, რათა მათ ამის
მაგალითი მისცეს მთავრობამო“. შემდეგ კანკრინი დასძენს რომ
„კასტელას განზრახული აქვს ნათხოვარი სესხი მოახმაროს არა სხვა
რაიმეს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საფაბრიკო შენობების და მან-
ქანების აგებას და, აგრეთვე, აუცილებელი ინსტრუმენტების შეძენის
საქმეს და ამასთანავე გვპირდება რომ ყველა ამ ნივთებს იყიდის რუ-
სეთში“.

1827 წ. იანვარს უკვე გამოიცა იმპერატორის ბრძანება რომ:

1. კასტელასათვის სასესხებლად საქართველოს მთავარსარდლი-
სათვის გადაერიცხათ 80.000 მან. ვერცხლ.;
2. ეს სესხი კასტელას მიეცეს ნაწილ-ნაწილ, მთავარსარდლის მიერ მოწონებული ხარჯთ-
ალრიცხვის მიხედვით იარაღ-ინსტრუმენტების შეძენისა და შენობების
აგების პროცესში. თავის მხრივ ყველა ეს შენაძენი შევა საწინდრად
სესხისა, რომლისათვის კასტელა პასუხს აგებს მთელი თავისი ქონები-
თაც;
3. პირველი სამი წლის $\frac{1}{2}$ -სან დებიტორი საესებით თავი-
სუფლდება, ხოლო შემდგომი 7 წლის განმავლობაში იხდის $\frac{1}{3}$ -ს;
4. ვალი უნდა დაფარულიყო 10 წლის გასვლისას, ანდა უფრო ადრეც,
თუ დებიტორი ამას მოისურვებდა; ამას გარდა, ამავე ბრძანებით,
კასტელას უფლება მიენიჭა ესარგებლა უცხოელი სტუმრის პრივი-
ლეგიებით, ანდა, თუ იგი რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდოდა,
პირველი გილდიის ვაჭრის პრივილეგიებით — საგილდიო გადასახდე-
ლის გარეშე.

1827 წ. დამდეგს კასტელამ წარმოადგინა გეგმა „ფაბრიკის“ სახ-
ლის აშენებისა და ითხოვა ამისათვის 20—30 დესიატ. მიწა ტფილისში
მდ. მტკვრის ნაპირის, გერმანელთა კოლონიის ჩრდილოეთით. აქ გარ-
და „ფაბრიკისა“ მას უნდა გაეშენებინა სანიმუშო ფერმა თუთის ხეე-
ბისა, ბაბისა, შათრანისა, თამბაქოსი, ენდროსი და სხვ. სამლებრო
და საექიმო მცენარეებისა; ამას გარდა მან ითხოვა მისთვის კიდევ
ნაკვეთ-ნაკვეთ მიეცათ საქართველოს სხვადასხვა ადგილას 2000 დე-
სიატ. მიწა, იმ ფასებში როგორც შიიღო გამბამ, ე. ი. დესიატინა
25 კაპიკად¹. კასტელა ირწმუნებოდა, რომ ამ მიწებზე იგი დაასახ-
ლებდა იტალიელ, ფრანგ და სხვა ეროვნების სპეციალისტებს მეაბრე-
შუმეობისას, რათა რაც შეიძლება ჩქარა გაევრცელებინა სოფლის მე-

¹ გამბას შესახებ ინილე პ. გუგუ შვილი, „შედეგთიანი ტრანზიტი და
ვაჭრობა საქართველოსა და ა/კავკასიაში“. 1936. ტფ. გვ. 87—89.

2. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის—პ. გუგუშვილი. 17

ნეობის ეს დარგი. სულ მალე კასტელამ იმპერიატორისაგან მიიღო
ამ თხოვნის სრული და ყოველმხრივი დაკმაყოფილების ბრძანებულება.

ფინ. მინისტრ კანკრინთან კონტაქტში შესული კასტელა მეტად
მოხერხებული იყო იმისათვის რათა არ შეჩერებულიყო ამგვარ მო-
წყალებებზე და იმ 80.000 მან. სესხზე, რომელიც მას უნდა მიეღო
ხაზინიდან. მან თავის წამოწყებაში ჩაითრია როგორც ადგილობრივი
ისე მოსკოველი და პეტერბურგელი ვაჭრები და მაღალი თანამდებო-
ბის სახელმწიფო მოხელეები,—რომელთაც დიდიდალი ფულები დასტუუა!

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია 1827 წ. 15 ივლისს კასტელასა
და უცხოელ ვაჭრებს—ვაგნანს, დიდლოს და გორნოზანტს—
შორის 9 წლის ვადით დადგებული კონტრაქტი. ისინი შეთანხმდნენ რომ
დაახლოებით 200.000 ფრანკისაგან შემდგარი კაპიტალით ხელი მო-
კიდონ კასტელას მიერ ტფილისში დაარსებული სარეწავის გაუმჯობე-
სებას. ეს კაპიტალი კი მათ უნდა მიეღოთ გარეშე მეანაბარეთაგან. აქვე
(§ 2) ნაგულისხმევია კასტელას მიერ პეტერბურგში რომელიღაც საკ-
რედიტო (თუ სავაჭრო) ფირმიდან აღნიშნული თანხის მისაღებად
გადადგმული ნაბიჯი, რომლის მიმართაც კონტრაქტზე ხელის მომწერნი
წინდაწინვე თანხმობას აცხადებდნენ. შემდეგ აღნიშნულია (§ 7), რომ
თუ რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა „რომელიმე
ჩევნთაგანს აიძულებს გამოყენოს ამხანაგობას ვადის გასვლამდე“, ასეთ
შემთხვევაში ის ვალდებულია 1 წლით მაინც აღრე აცნობოს ეს ამხა-
ნაგობას.

შემდეგ აღსანიშნავია კონტრაქტი, რომელიც კასტელამ და გორნო-
ზანტმა დასდევს, იმავე წელს, ფლიგ. აღიუტ. თავ. გოლიცინ თან,
რომელიც მათ მიიღეს ამხანაგობაში, ხოლო უკანასკნელმა იკისრა
„შეიტანოს მათს საზოგადოებაში 625.000 მან. ასიგნ. და მისცეს
კომპანიას თავისი მამულებიდან ყმები, მამრი და მდედრი, რამდენიც
საჭირო იქნება მუშაობისთვის კასტელას სარეწავებში“.

თავ. გოლიცინისა და კიდევ რამდენიმე სხვა პირთა საქმეში
ჩათრევით კასტელამ, დიდლომ და გორნოზანტმა შექმნეს „სავაჭრო
ამხანაგობა“, რომელსაც, თავიანთი მხრივ, თანახმად პეტერბურგში
დაწერილ ამ კანტრაქტისა, გადასცეს 1827 წ. 1 იანვრისათვის ტფი-
ლისში მათ მიერ „ქონებული მანქანები, ინსტრუმენტები, სართავი
დაზგები და სხვა სარეწავები, ნივთები და სხვადასხვა საქონელი,
რომელიც აღწერილი უნდა იქნას თავ. გოლიცინის რწმუნებული
პირის დასწრებით“. ამის გარდა ამ კონტრაქტით კასტელა ვალდებუ-
ლია ამ ახალ „სავაჭრო ამხანაგობაში“ შეიტანოს 80.000 მან. ვერცხლ.
და აბრეშუმის პარკი, რომელიც მას მისაღები აქვს ხელისუფ-
ლებისაგან“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კასტელა და მისი უცხოელი ამ-
ფსონები (დიდლო და გორგოზანტი) ურცხვად ატყუილებდნენ პეტერ-
ბურგში როგორც მთავრობის მოხელეებს ისე ვაჭრებს და კერძოდ
თავ. გოლიცინსაც, რამდენადაც, როგორც ირკვევა 1827 წ. 1 იანვრი-
სათვის მათ ტფილისში არავითარი მანქანები და ქონება არ ჰქონდათ,
გარდა საქონლისა, რომელიც ელირებოდა არა უმეტეს 2.500 მან.
ვერცხლ.

მაგრამ კასტელა მის მიერ დაქრთამული მოხელეების დახმარებით
თვალს უხვევს ყველას. მას დიდის სისწრაფით მიყავს საქმე, ასე
რომ სულ რამდენიმე თვეში მოახერხა თავ. გოლიცინისაგან დაე-
ცანცლა 505.680 მან. ასიგნ. (ე. ი. 135.571 მან. ვერცხლ.) და გარდა
ამისა გოლიცინის მამულიდან (რუსეთიდან) კასტელას „ფაბრიკაში“
სამუშაოდ ჩამოყანილ იქნა ტფილისში 18 კმა.

კასტელას პრეტენზიები სულ უფრო ფართოვდება. 1828 წ. 30 აპ-
რილს კანკრინი იმპერატორისაგან თანხმობას ღებულობს, რათა „კას-
ტელას ისეთი დიდი წამოწყებისათვის“, რომელსაც დიდძალი თანხა
სკირდება, თანახმად თხოვნისა, მიეცეს საქართველოს სახაზინო უწყე-
ბაში ტაპურობილ ტომთაგან გადახდილი ხარჯის სახით დაგროვილი
აბრეშუმის პარკი—სახაზინო ფასებში“, რადგან მის მიერ ბაზარზე
აბრეშუმის შექნა გამოიწვევს აბრეშუმშე ფასების აწევას. ადგილო-
ბრივ ხელისუფლებას კასტელასათვის უნდა მიეცა სესხად ხაზინიდან
ყოველწლიურად 30.000 მან. ლირებული პარკი ყოველგვარი უზრუნ-
ველყოფის გარეშე. ეს ვალი კასტელას უნდა დაეფარა 2 წლის გან-
მავლობაში. ამასთანვე ხაზინას მისგან ფულადი ექვივალენტის ნაცვლად
უნდა მიეღო აბრეშუმის ნართი, რომელიც გაიგზავნებოდა რუსეთის
აბრეშუმის საფეიქრო ფაბრიკებში.

მაგრამ კანკრინი ამ შემთხვევაშიც პირშავარდნილ თალღითობას
ეწევა. პეტერბურგში მან გააფორმა კასტელასათვის არა 30.000 მან.
ლირებული აბრეშუმის პარკის სესხად მიცემა, არამედ 30.000 მანე-
თის მიცემა, რის ანგარიშშიაც კასტელას სურვილისამებრ უნდა წაეღო
აბრეშუმი. ნამდვილად კი კასტელამ აბრეშუმი წაიღო მხოლოდ
6000 მანეთისა, ხოლო 24.000 მან. გაიტანა ფულად — და ეს მან
მოახერხა მიუხედავად საქართველოს მთავარსარდლის გენ. პასკე-
ვიჩის წინააღმდეგობისა, რასაც, ცხადია, ანელებდა კასტელას „საქ-
მეში“ ფინანსთა მინისტრის მონაწილეობა.

კასტელამ არა მხოლოდ ამ შემთხვევაში გააცურა ა/კავკასიის ხელის-
უფლება. როგორც ვიცით, 80.000 მან. ვერცხ., რომელიც მას თავ-
დაპირველად მიეცა სესხად, ხაზინიდან უნდა გაეტანა თანდათანობით;
ამ გატანილ ფულის „მხოლოდ და მხოლოდ აბრეშუმის ფაბრიკისათვის



მოხმარების“ შესახებ ადგილობრივი მთავრობისადმი წარდგნილობის შესაფერი ღოკუმენტების საფუძველზე.

მიუხედავად ამისა კასტელამ მოახერხა „საქართველოს მთავრობის“ ხაზინიდან გაეტანა 22.405 მან., „თუმცა მას აქამდე არ წარმოუდგენია“ ამისათვის საჭირო ღოკუმენტებით — 1828 წ. 26 მაისის თარიღით — ატყობინებდა პასკევიჩი კანკრინს. მაგრამ ბევრად უფრო საინტერესოა რასაც სწერს პასკევიჩი ქვემოთ: „ამგვარი შელავათი გაწეული იქნა კასტელასადმი, როგორც პატივი იმ მიზეზებისა, რომლებიც თქვენ მიიყვანეთ იმპერატორის ყურადღებამდე, და იმიტომაც, რომ ჩემთვის თქვენი წინანდელი რეკომენდაციებიდან ცნობილი იყო თქვენი მონაწილეობა კასტელას სასარგებლო წარმოწყებებში და სურვილი მათი წარმატებისა“; და ახლაც, მიუხედავად იმისა, რომ კასტელას ჯერ უკვე წაღებული თანხები არ გაუმართლებია, — „ნაბრძანებია მიეცეს მას ფულები მათ გამოყენებაზე მეთვალყურეობის დაწესებით“ — დასძენს გაკვირვებული გენ. ლეიტ. პასკევიჩი, რომელიც აქვე გამოსთვამს ეჭვს კასტელას საქმიანობისადმი.

ადგილობრივი ხელისუფლების მეთაურისაგან ამგვარი გაფრთხილებისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, 15 დღის შემდეგ, სიპიაგინს პეტერბურგიდან მოუვიდა კანკრინის ბრძანება კიდევ მიეცათ კასტელასათვის სესხად 30.000 მან.

ნავარაუდევთან შედარებით დიდის დაგვიანებით, მაგრამ 1827 წლიდან კასტელას სარეწავმა, როგორც იყო, ბოლოს მაინც დაიწყო მუშაობა.

აბრეშუმის ძაფის ამოსახვევი და სართავი მანუფაქტურის ამოქმედებამდეც საგრძნობი უნდა ყოფილიყო ტეილისში საჭირო რაოდენობით შემუშათა შოენის სიძნელე. და ის კასტელასაგან წინადადების მიღებისთანავე ფინანსთა მინისტრი ჩქარობს რათა სენატურ სარეწავს მოუპოვოს მუქთი მუშახელი. აქამდე გადასახლებამისჯილ დამნაშავე ქალებს შიდა რუსეთიდან აგზავნიდნენ ციმბირში — სახაზინო სარეწავებში სამუშაოდ. 1826 წ. 22 ივლისის მანიფესტით შესაძლებლად იქნა მიჩნეული — სასჯელის შემსუბუქების სახით — მათი გაგზავნა სამუშაოდ სადმე სხვაგანაც. სწორედ ამ დადგენილების საფუძველზე კანკრინი წინადადებას აძლევს გენ.-ადიუტ. სიპიაგინს (ტეილისის სამხედრო გუბ.), რომ რუსეთიდან მოყვანილი ამგვარი ქალების წარმატებით გამოყენება კასტელას მანუფაქტურაში. მით უმეტეს, რომ ასეთი დამნაშავე ქალები, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ იძულებითი მუშაობა, ტეილისში ჯერ-ჯერობით უმნიშვნელო ზომით მოიპოვებოდა, ხოლო კასტელას კი ისინი მრავლად სჭირდებოდა. კანკრინი იწერება, რომ კასტელა „ხალისით მიიღებს თა-

ვის თავზე ვალდებულებას ყოველთვის მისცეს სამუშაო აღნიშნულ
დამნაშავე ქალებს, თუ ისინი იქ გაიგზავნებიან და მთავრობა ფართ
ყოფს ანდა ააშენებს მათვის სამუშაო სახლს, სადაც ისინი, რო-
გორც პატიმრები, მომარაგებული იქნებიან ხაზინიდანვე ჯეროვანი
კმაყოფით". კანკრინის ცბიერობა ამ შემთხვევაში იქამდეც კი ჰკარ-
ვას ყოველგვარ საბურველს, რომ მას ეს განხრახვა მეტად ხელსაყ-
რელად მიაჩნია ხაზინისათვის!

გენ. სიბიაგინისაც (კასტელას მისი გულიც მონადირებული აქვს) ეს წინადადება მისალებად მიაჩნია, „რადგან ამ პატიმრებს ექმნებათ
მუდმივი სამუშაო და კასტელასაც, რომელიც ფიქრობს ამ მხარეში
შემოიღოს მანუფაქტურული მრეწველობის მრავალი დარგი, ეყო-
ლება არა მცირე რაოდენობის მუშა-ქალი, რომელთა შოვნაში უამ-
ხერხოდ, აქ არსებული აღათების გამო, იგი წააწყდება მეტად ძნელ
დაბრკოლებებს".

კასტელამ განაცხადა, რომ „ტფილისში ფაბრიკასთან საჭიროა
ყავდეს არა უმეტეს 200 ქალისა“ და გარდა ამისა მას თავისთვის
სასარგებლოდ მიაჩნდა ასეთივე მუშები ჰყოლოდა იმ ადგილებშიაც,
სადაც ყველაზე უფრო მეტად იწარმოებდა აბრეშუმის პარკის აკ-
რეფა და მისი თავდაპირველი დამუშავება.

1828 წ. თებერვალს იმპერატორმა ხარჯთალრიცხვაზე (21.248
მან.) „მუშათა სახლისა“, რომელიც ხაზინას უნდა აეშენებინა კასტე-
ლას სარეწავთან, წააწერა: „თანახმა ვარ; ამასთანავე ერთად შედგე-
ნილ იქნას განაწესი ამ მუშათა სახლისათვის და განსაკუთრებული
ყურადღება მიექცეს მათი [პატიმარი ქალების] ზეობის გაუმჯობესებ-
ბას, რათა აქედან არ შეიქმნას გარყვნილების სახლი“; თითქოს ამის
განცხადება ყოფილიყო საკმარისი, რათა ეს პატიმარი ქალები უზრუნ-
ველეყოთ უფროსთა ძალადობისაგან!

ამ „მუშათა სახლის“ აშენება უკვე დამთავრდა 1828 წ. დეკემ-
ბერს. მასში დაეტეოდა არა მხოლოდ 200, არამედ 400 მუშა-ქალი.
მალე შეთანხმებულ იქნა საკითხი სათანადო ორგანოებთან (შინ.
საქმ. და იუსტ. სამინისტროებთან) და შიდა რუსეთიდან იწყება აქეთ-
კენ სასამართლო განაჩენით გადასახლება მისჯილი ქალების გზავ-
ნა,—თუმცა ყოველივე ამას თვით კასტელა ვერ მოესწრო.

საინტერესოა გავეცნოთ ამ პატიმარი „ქალების მუშათა სახლის“
განაწესის ძირითადი მუხლების შინაარსს:

... § 2. ყოველი ქალი, რომელიც ჩარიცხული იქნება მუშათა ამ
სახლში, უპირატესად უნდა იყოს ჩაბმული ამ ფაბრიკის მუშაო-
ბაში;

§ 3. ფაბრიკის მმართველი მუშათა სახლის უშუალო უფროსი და რომელიც პასუხისმგებელია ამ სახლის გამგებლობისათვის;

§ 4. ფაბრიკისა და მუშათა სახლის მმართველი თავისი მოქმედების შესახებ ანგარიშგებას უდგენს კასტელას გეგმების განსახილველად წარმოქმნილ კომიტეტს;

§ 5. მუშათა სახლისადმი უშუალო მეთვალყურეობისათვის ინიშნება ზემდეგი, რომელიც იმავე დროს უნდა იყოს ფაბრიკის ზემდებიც და ემორჩილებოდეს ფაბრიკის მმართველს;

§ 6. მუშათა სახლის და მასში მყოფ ქალთა საღარაჯებლად გამოიყოფებოდეს სამხედრო ყარაული;

§ 7. მუშათა სახლში მყოფი ქალები არ უნდა იქნან იქიდან გამოშევებული, უკეთუ არა ფაბრიკაში სამუშაოდ და ამ შემთხვევაში მათ სამეთვალყურეოდ უნდა მიყვებოდეს სამხედრო ყარაული;

§ 8. მუშაობისაგან თავისუფალ დროში მუშათა სახლის ქალები უნდა მისდევდნენ მათი სქესის შესატერ ხელსაქმეს; მათი ნაკეთობისაგან მიღებული ფული უნდა შედიოდეს საერთო სალაროში და მოიხმარებოდეს მათი კმიყოფის გასაუმჯობესებლად.

§ 9. სანამდე მუშათა სახლთან აგებული არ იქნება ეკლესია, მანამ აქ მყოფი პატიმარი ქალები ვალდებული არიან კვირა-უქმეებზე იკრიბებოდნენ საერთო სასადილოში და ისმენდნენ მათგანვე გამოყოფილი კაცისაგან სამღვთო წერილების კითხვას;

§ 10. მუშათა სახლის ყველა ოთახში უნდა იქნას შემოღებული შიგ დაბინავებულთაგან არჩეული უფროსის მეთვალყურეობა;

§ 11. საჭმლის დასამზადებლად მათი წრიდანვე გამოიყოფა საკირო რაოდენობით ქალები, რომლებიც თავისუფლდებიან ფაბრიკაში მუშაობისაგან, მაგრამ თავისუფალ დროს მოანდომებენ ხელსაქმეს;

§ 12. მუშათა სახლისათვის სურსათსანოვაგის, შეშის, სანთლის, ტანისამოსის და სხ. მიწოდებას აწესრიგებს მეიჯარე, რომელიც ამ საქმეს ხელს ჰქიდებს შედეგად საჯარო ვაჭრობისა.

* * *

ასე „წარმატებით“ მიღიოდა მთელი საქმე. კასტელას მიერ დაქრთამული პრესა ლალადებდა იმ „გრანდიოზული მნიშვნელობის სარეწავებზე, რომლებსაც ამ განათლებული და ენერგიული ადამიანის დაუღალავი მოღვაწეობის შედეგად საფუძველი ჩაეყარა საქართველოში, სადაც მან სულ ახლო მომავალში უნდა გამოიწვიოს სოფლის მეურნეობისა, მრეწველობისა და ვაჭრობის აუგვება“; ხოლო „მოსკოვისა და პეტერბურგის ფაბრიკები უნდა გაათავისუფლოს

აბრეშუმის ნედლი მასალის (ნართის) მხრივ იტალიისა, საფრანგეთისა
და ირანის დამოკიდებულებისაგან“.

მაგრამ კასტელამ ვერ შესძლო მის მიერ ესოდენი ვიზუალზო-
ბით დადგმული კომედიის უკანასკნელი მოქმედების გათამაშება:
ივი 1828 წ. 16 ნოემბერს გარდაიცვალა. პასკევიჩმა, რომელიც, რო-
გორც ვიცით, ეჭვის თვალით უყურებდა კასტელას მოღვაწეობას,
ბრძანა: შეესწავლათ სარეწავის მთელი საქმე; ყადაღა დაედვათ კა-
სტელას მთელ ქონებაზე. ამასთანავე იგი ეკითხება კასტელას საქმის
უახლოეს მონაწილე დიდლოს და სხვა წევრებსაც კომპანიისა, თვით
კასტელას ცოლსაც — შეუძლიათ თუ არა მათ ხაზინიდან გაცემული
სესხის უზრუნველყოფა და საქმის გაგრძელება.

კომისიამ გამოარკვია, რომ კასტელას მოღვაწეობა ბევრად უფ-
რო ავანტურისტული ყოფილა, ვინემ ამის წარმოდგენა შეეძლო
გენ. პასკევიჩს.

ამ დროისათვის კომპანიონებისგან კასტელას მიუღია: თავ. გოლი-
ცინისგან 135.571 მან., გორნოზანტისგან — 17.174 მ., დიდ-
ლოსგან — 563 მან., მაიორ ვენიერისგან — 3.600 მან. და კიდევ
სხვადასხვა კერძო პირებისაგან — 23.027 მან, ე. ი. სულ 242.000 მან. ვერ-
ცხლით. ტფილისის ვაჭართაგან ჯერ კიდევ 1825 წ. დადებული კონ-
ტრაქტით კასტელას კომპანიონად აუყვანია სხვათა შორის ტფილისელი
მოქალაქე ქათხუდოვი, რომლისათვისაც გამოუტყუებია 5.000 მან.,
თუმცა ეს ვაჭარი საერთო საქმეში მონაწილედ არც კი შეუყვანია. გარდა
ამისა სახაზინო ექსპედიციიდან მას მიუღია 62.405 მან. ფულად და
502 ფუთი აბრეშუმის პარე, — ღირებული 14.947 მანეთად.

მეორე მხრივ, კასტელას მეთაურობით არსებული სარეწავის ყო-
ველგვარი ნაგებობანი შეტასებულ იქნა 20.607 მან., მასალები, მან-
ქანები, იარაღ-ინსტრუმენტები და სხვ. — 11.754 მან., კასტელას პი-
რადი (საოჯახო და სხვ.) ქონება — 2.054 მან. ამას გარდა, კასტელას
გასესხებული ჰქონია სხვადასხვა პირებზე — 14.392 მან.

მთელი იმ კაპიტალიდან, რომელიც კერძო პირებისა და ხაზინისა-
გან მიიღო, კასტელას უშუალოდ აბრეშუმის მანუფაქტურაზე დაუხარ-
ჯავს მხოლოდ 43.477 მან., ხოლო დანარჩენი თანხა — 200.000 მანეთამ-
დე — მას დაუბანდავს რაღაც სხვა საქმეში, რომელსაც არაფერი აქვს სა-
ერთო ჩვენთვის ცნობილი „სავაჭრო ამხანაგობის“ და არც მის წევრთა
მოღვაწეობასთან¹.

¹ როგორც უკვე ვიცით, კასტელას მიერ ამ თანხის მინიშვნელოვანი ნაწილი
გაცემული იყო ქრთამის სახით ფინ. მინ. კანკრინსა და მაღალი თანამდებობის სწავ-
ლის მიხელებზე.

ასეთი სურათის გადაშლის შემდეგ კომისია ასკვნის: „ყოველიც აქედან ჩანს, რომ კასტელა, რომელსაც მთავრობისგან მიჰქონდა ფული ლები და აბრეშუმის პარკი, და რომელიც სდებდა კონტრაქტებს, რომლითაც, მაგ., თავ. გოლიცინისგან მიიღო ფულები, ყველას ატყუილებდა“. კასტელას მიერ „ესეოდენ დიდალი კაპიტალის ხარჯები სარეწავისათვის არა სასარგებლო საქმეზე მაჩვენებელია იმისა რომ მან, რასაკვირველია, განზრას გამოიყენა ბოროტად მისაღმი მთავრობისა და კერძო პირთა ნდობა, ხოლო შემდეგ, ალბათ, სურდა თავი გამოეცადებინა გაკოტრებულად“.

ამის შემდეგ გენ. პასკევიჩიც საბოლოოდ გაერკვა თავის ეჭვებში, რომ კასტელას „მხოლოდ მიჰქონდა ყოველივე რასაც მას აძლევდნენ და არ ზრუნავდა მომავალზე; მაშასადამე, იგი მოქმედებდა როგორც გაკოტრებული და არა მთავრობისათვის სასარგებლო ახალ წამოწყებათა შემომღებია“. — სრული სიმართლეა: კასტელა ხომ მართლაც გამბას მსგავსად, საფრანგეთში გაკოტრებული ვაჭარი იყო, რომელმაც კოლონიური საქართველო აირჩია ბნელი კომბინაციების მეოქებით ხელახლა გამდიდრების ასპარეზად!

დიდლომ დაკითხვისას განაცხადა, რომ მან კასტელას მოღვაწეობის შესახებ არაფერი იცის გარდა „ხის მორებისა და ფიცრებისა, რომელიც გამბას უნდა მოეწოდებინა იმერეთიდან, და უცხოეთიდან აქეთკენ გამოგზავნილ რამდენიმე ყუთი მანქანებისა და ინსტრუმენტებისა, რისთვისაც უნდა გადაუხადონ იმ პირებს, რომელთა მიერაც გამოგზავნილი იყო ისინი“. გარდა ამისა დიდობმ განაცხადა, რომ მას არა აქვს ქონება და არც შეუძლია რაიმე პასუხისმგებლობა იყისროს, სამაგიეროდ მზათაა თავისი „ცოდნით და გამოცდილებით ხელი შეუწყოს ამ ფაბრიკის განვითარების საქმეს“. გორნოზარგებაშე; კასტელას მეუღლემაც უარი სთქვა როგორც საქმის გაგრძელებაზე ისე მეკვიდრეობაზე (ვალებზე)!

ამრიგად, „ეს ბრწყინვალედ დაწყებული საქმე“ საპნის ბუშტივით გარდა. და რაკი ა/კავკასიაში არ გამოჩნდა ისეთი კაპიტალისტი, რომელსაც შეეძლო ხელი მოეკიდა ამ სარეწავისათვის, ხაზინა იძულებული შეიქნა, — რათა წარმოებაში დაბანდებული კაპიტალი მაინც არ დაეკარგა, — თვითონ მოეკიდა ხელი აბრეშუმის ძაფის ამოსახვევი და სართავი მანუფაქტურისათვის, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მოლიანად ამჟაღებული.

ხაზინის ხელში გადასული „ფაბრიკა“, რომელსაც ხელმძღვანელობდა „საფაბრიკო კომიტეტი“, მთლიანად უნდა აემუშავებინათ 1828 წ. დეკემბრიდანვე. დატოვებულ იქნენ ძველი ოსტატები. პირველ რიგში უნდა მომხდარიყო გადამუშავება უკვე დაგროვილი აბრეშუმის

პარკისა. გარდა მოწყობილი 12 დაზგისა, რომელიც არ კმაროდა 500 ფუთზე მეტი აბრეშუმის გადასამუშავებლად, განიზრახეს მოეწყოლი კიდევ 40 დაზგა, იმ ანგარიშით, რომ ერთ თვეში შესაძლებელი ყოფილიყო 80 ფუთი პარკის გადამუშავება. ერთის სიტყვით, კასტელას დროს დაუმთავრებელი სახეინჯლო, ძაფის ამოსახვევი და სართავი საამქროების მოწყობის დასამთავრებლად კომიტეტის განკარგულებაში გადაირიცხა დამატებით 2,553 მან. ვერცხლით.

კანკრინი, რომელსაც გულში ალბათ უხაროდა მის მიერ „უკვე მოხმარებული“ კასტელას გარდაცვალება, 1829 წ. 26 აპრილის თარიღით იწერება: „არამცთ არ უნდა იქნას შეჩერებული სარეწავში მუშაობა, არამედ, შეძლებისამებრ, გამრავლებულ იქნას აბრეშუმის ძაფის ამოსახვევი დაზგების რიცხვი, ამ წარმოების გასაფართოებლად და დამთავრებული წამოწყების ხაზით დაწყებულ, — უკიდურეს შემთხვევაში ყველაზე უცილებელ ნაგებობათა, — მშენებლობა, კასტელასათვის ბოძებული სესხის ნარჩენის ანგარიშში“.

კასტელას გარდაცვალების შემდეგ გარდა აწყობილი 11 დაზგისა (1 გაფუჭებული აღმოჩნდა) და მისი 6 ღუმელისა, მოეწყო კიდევ 10 ღუმელი 20 დაზგისათვის და „გარდა ამისა შეკეთებულ იქნა 20 დაზგა, რომელთაგან ყველაზე არ წარმოებდა მუშაობა მუშაკთა უყოლობისა გამო, მაგრამ მიმდინარე თვეში ისინი ყველანი იქნებიან ამოქმედებულიონ“ — აღნიშნავს სტრეკალოვი („საფაბრიკი კომიტეტის“ თავჯდომარე) 1829 წ. 11 ივლისის თარიღით კანკრინისათვის მირთმეულ მოხსენებაში.

თავ. გოლიცინმა, როგორც კი გაიგო კასტელას გარდაცვალება და მისი საქმიანობის ავანტურისტული ხასიათი, — სურვილი განაცხადა „როგორც მთავარ კომპანიონმა“, თვითონ აელო თავის თავზე სარეწავის ხელმძღვანელობა. გოლიცინმა მთავრობის ნებართვით დაა თვალიერა (მხოლოდ ახლა, როცა უკვე გვიან იყო!) სარეწავი და „საფაბრიკო კომიტეტს“ წარუდგინა თავისი მეტად ორაზროვანი დასკვნა, საიდანაც ნათლად არ ჩანს მართლაც აპირებდა თუ არა იგი სარეწავისათვის ხელის მოკიდებას. ყოველ შემთხვევაში მისი შემდგომი მონაწილეობა საქმეში ჩერენს ხელთ მყოფი საარქივო დოკუმენტებიდან არა ჩანს.

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ ამ ამბების შემდეგ კასტელას ყოფილ კომპანიონებმა გორნოზანტრიმა და დიდლომ ხელისუფლებას წარუდგინეს პროექტი, კასტელას წამოწყების საფუძველზე დაარსებინათ ახალი წამოწყება, — „აბრეშუმის ძაფის ამოსახვევი და სართავი საიმპერატორო ფაბრიკა“, — რისთვისაც ისინი ხაზინიდან თხოულობდნენ კიდევ 200.000 მანეთს სესხად, რამდენიმე წლის ვადით და

თანაც პრივილეგიის გაგრძელებას 3 წლით. მაგრამ კასტელას მიერ მოხერხებულად განაცურები ადგილობრივი მთავრობის ადგილობრივ მოტყუილება ახლა უკვე არ შეიძლებოდა.

უკველშემთხვევაში ხელისუფლება ამიერიდან იმ აზრისა იყო, რომ „აბრეშუმის ძაფის ამოხვევამ ტფილიაში, ვის ხელშიაც იგი არ უნდა იყოს“, უნდა იარსებოს მცირე მასშტაბით მხოლოდ და მხოლოდ მრთველების კადრთა შესაქმნელად. ეს მრთველები, შეისწავლიან რა ხელობას, შეიძლება გაგზავნილ იქნან აბრეშუმის ძაფის ამოხვევის გაუმჯობესებული წესის გასავრცელებლად იმ ადგილებში, სადაც მეაბრეშუმების ფართედ მისდევენ და უხვად მოიპოვება აბრეშუმის პარკი და საღაც დიდი სართავი სახელოსნოს შენახვა უფრო იაფი დაჯდება, „როგორც ნედლი მასალისა და სხვ. დაბალი ფასის, ისე მუშათა ხელსაყრელ პირობებში დაქირავების“ მეოხებით.

და მართლაც, სათანადო ორგანოების დადგენილებით, 1829 წლის მიწურულიდან ეს წამოშეყება გადაკეთებულ იქნა „აბრეშუმის ძაფის ამოსახვევ სასწავლო სახელოსნოდ“, სადაც „საუკეთესო მეთოდების“ საფუძველზე უნდა გაეწროთვათ „აბრეშუმის ძაფის ამოხვევლები ა/კავკასიის ყველა კუთხეებისათვის“.

ხაზინის ხელში გადასული ამ სარეწავის პროდუქცია, როგორც წინათ, სალდებოდა მოსკოვში. სახელდობრ, 1839 წ. ტფილისის მანუფაქტურაში დამუშავებული აბრეშუმი მოსკოვში იყიდებოდა: ლარული ნართი 810 მან., ორხაული — 630 მან., ხოლო უბრალოდ ამოხვეული და დაურთავი ძაფი — 500 მანეთად ფუთი. 1840 წლიდან¹ ეს ფასები მოსკოვში უფრო უციმა.

როგორც უკვე ვიცით, ამ სარეწავში გარდა დაქირავებული ოსტატებისა და მუშებისა საკმაო რაოდენობით ჩამოტკიცია მანუფაქტურები. ეს უკანასკნელნი არათავისუფალ შრომის წარმოადგენდნენ — თავ. გოლიცინის იმ ყმებთან ერთად, რომლებიც ამ მანუფაქტურაში მუშაობით იხდიდნენ საბატონო ბეგარის. ასეთი მანუფაქტურები, სადაც წარმოებდა პატიმართა არათავისუფალი შრომის ექსპლოატაცია, — რაც თანამედროვეთა მტკიცებით ოდნავადაც არ განსხვავდებოდა მონური შრომის ექსპლოატაციისაგან, — იმ დროს არსებობდა შიდა რუსეთის ქალაქებშიც, ხოლო უფრო ადრე (მე-17-18 სს.) ასეთი მანუფაქტურები ბლომად იყო საფრანგეთსა და პრუსიაშიც².

¹ ამავე წელს ფაბრიკის გამგის ემმერიბის მოხსენების მიხედვით: „Для размотки и трошения шелка употребляются на фабрике машины: для сушки шелка 5, для размотки его же 3, для соединения сырца 2, станок для свертывания трама и органзину 1, в прядильне станков для отмотки коконов в сырец 24“.

² იბ. პ. გუგუშვილი, სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება, ტომი II, წიგნი I, ტფ. 1934, 253—261.

მართალია, კასტელას მიერ ტფილისში დაარსებულ სარეწავში
მუშაობდნენ გაუმჯობესებული და არა ხელოსნური ინსტრუმენტებით, რომელთაც წყაროებში მანქანებს უწოდებენ, მაგრამ ეს სარეწავი
მაინც არ შეიძლება ჩათვალოს ფაბრიკად იმ გაეგებით, როგორც
ეს ესმის პოლიტიკურ ეკონომიკას. ეს იყო მანუფაქტურა: დამყარე-
ბული დაქირავებულ და იძულებით შრომაზე, შრომის დანაწილებასა
და გაუმჯობესებულ იარაღ-ინსტრუმენტებზე, სადაც მანქანის სპორა-
დული გამოყენებაც არ სცვლიდა არსებითად მდგომარეობას. და არა
მხოლოდ იმიტომ, რომ ეს არ იყო მექანიკური დაზგები და გარდა
ამისა მოძრაობაში მოჰყავდა თვითონვე მუშას.

როგორც ძაფის ამოხვევა, ისე რთვაც — ეს ძირითადი ოპერაცი-
ები — უმთავრესად ხელის საქმეს წარმოადგენდა. თუმცა აქ აღილი-
ჰქონდა ბევრად უფრო სრულებილი ინსტრუმენტების გამოყენებას,
ვინემ იყო ადგილობრივი ცნობილი „ევას ღროინდელი“ იარაღები.
ამ მანუფაქტურაში, სადაც მთელ წარმოებას უცხოელი ოსტატები
ხელმძღვანელობდნენ, გატარებული იყო შრომის სისტემატური და-
ნაწილება: ნედლი პარკის შერჩევა, მოხარუვა, ამოხვევა, ამოხვეული
ძაფის გაშრობა და დახარისხება, რთვა, ნართის დახვეწა და დახა-
რისხება — ცალცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, ოპერაციე-
ბის სახით იწარმოებოდა. ამასთანავე ტფილისის აბრეშუმის ძაფსარ-
თავი მანუფაქტურა წარმოადგენდა დამატებას მეტროპოლიის, ე. ი.
მოსკოვის აბრეშუმის საფეიქრო ფაბრიკებისას.

ხაზინის ხელში გადასულ კასტელას ყოფილ სარეწავში ისევ თავი
იჩინა ჩვეულებრივმა კომბინაციებმა — რასაც მოხერხებული მოხელე-
ები აჭახრაკებდნენ. კასტელას ხელიდან დარჩენილი აბრეშუმის პარკი,
რომელიც სესხად იყო მიღებული ფისკის ორგანოებიდან, წარმოებას
საბოლოოდ სამჯერ უფრო ძვირი დაუჯდა, ვინემ ფასობდა ტფილი-
სის ბაზარზე. გარდა ამისა ეს პარკი, რაღვან დროზე არ იყო ამო-
ხვეული, გაშრა და გაფუჭდა, რის გამოც მიღებულ იქნა ცუდი ნარ-
თი. მით უმეტეს, რომ მრთველებიც, გარდა მცირედი გამონაკლისისა,
გამოუცდელნი იყვნენ. მეორე მხრივ, თვით სარეწავის გამგე ტესერი
სულ ითვისებდა სახელმწიფო ქონებასა და შემოსავალს, რის გამოც
ბოლოს, 1834 წ. იგი მოხსნა კიდევაც ბარონ როზენ ნმა; ამ დროიდან
სარეწავს განავებდა ემმერიხი, რომელიც უფრო ისევ საკუთარ
გამორჩენასა და წაგლეჯაზე ფიქრობდა.

ყოველივე ამის გამო, გასაგებია, რომ წარმოება არარენტაბელუ-
რი შეიქნა. 1839 წ. გენ. გოლოვინი აცხადებს, რომ ამ ფაბრიკის
დატოვება არა მხოლოდ უსარგებლოა, არამედ განმანადგურებელია
ხაზინისათვის იმიტომ, რომ გარდა იმ თანხისა, რაც დაჯდა ნაგებო-

ბანი და მანქანები, 1828 — 1832 წწ. განმავლობაში გადაცემული აბრეშუმის პარკიც რომ არ მიგათვალოთ, ხოლო ნაწარმოების გაფიდვიდან მიღებული მთელი შემოსავალი კი ხარჯებს გამოვაკლოთ, მაინც რჩება დიდალი ვალი, რამაც ამჟამად 100.000 მან. ვერცხლით მიაღწია, და რომლის „ანაზღაურების იმედი არსაიდან არ ჩანსო“. ამის გამო გოლოვინი კანკრინისაგან მოითხოვს ნებართვას რათა მოახდინონ „სრული ლიკვიდაცია ამ ფაბრიკის“.

აბრეშუმის მანუფაქტურის შენობები გოლოვინის განკარგულებით მალე გადაკეთეს ჯარისათვის ყაზარმებად, იარაღ-მანქანები მიყიდეს „მებარეშუმებისა და სავაჭრო მესარეშების კავკასიურ საზოგადოებას“, რომელიც იმ ხანებში წარმოიქმნა¹. სარეწავში მომუშავე დამნაშავე ქალების ერთი ნაწილი, რომელთაც შედარებით მცირე დანაშაული ჰქონდათ და თანაც საკმაო დრო (ზოგმა ათ წელზე მეტი) დაკუვეს წარმოებაში — გაათვისუფლეს; ხოლო მეორე ნაწილი, რომელთაც მძიმე ბრალდება ჰქონდათ, კიდევ დასტოვეს 6—10 წლით სამუშაოდ ხსენებული „საზოგადოების“ განკარგულებაში.

ამ „საზოგადოების“ ხელშიც ვერ იხეირა საქმემ, რის გამოც, ნელ-ნელა თითო ოროლად იწყეს სარეწავიდან ძაფის ამოხვევები და სართავი ინსტრუმენტების გაყიდვა კერძო პირებზე,—რა სახითაც ეს იარაღ-ინსტრუმენტები დაითანარტა მთელ ა/კავკასიაში. ასე რომ 50-იანი წლებისათვის უკვე სავსებით მივიწყებული იყო ამ სარეწავის არსებობის ამბავი.

მიუხედავად ასეთი სავალალო ფინალისა, უნდა ვითიქროთ, რომ კასტელას წამოწყებას მაინც არ ჩაუვლია საესებით უშედეგოდ მესარეწაობის ამ დარგისათვის. კასტელამ პირველმა შემოიტანა საქართველოსა და ა/კავკასიაში აბრეშუმის ძაფის ამოხვევისა და რთვის „გაუმჯობესებული, ევროპული წესები“. კასტელას შემდეგ მის „მემკვიდრეობა“ მოვლენილი და კასტელასავით „უდროოდ“ გარდაცვლილი ფრანგი ნეგოციანტი მორენასი 1830 წ. ადგილობრივი მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში სწერს: კასტელამ „შემოიტანა ყველაზე ხელსაყრელი ხერხი აბრეშუმის ძაფის ამოხვევისა და რთვისა და დამტკიცა შესაძლებლობა მრეწველობის ამ დარგის, — რომელმაც უნდა გაამდიდროს საქართველო, — გაუმჯობესებისა“. მორენასი იქვე აღნიშნავს, რომ კასტელას მოლვაწეობის შედეგად „ნუზაში უკვე შემოღებულია აბრეშუმის ძაფის ამოხვევისა და რთვის ევროპული წესით“.

¹ იხ. П. В. Гу гушвили, „Сельское хозяйство и аграрн. отношения в Грузии“ (источн. и материалы), Тбилиси, 1938 т. I, 462.

მორენასის განცხადება, ცხადია, დიდად დაშორებული არაბ-
ნამდვილესთან. კასტელის ავანტურისტულ მოღვაწეობას ერთგვარი
დადებითი შედეგიც მოყვა, თუმცა როგორც ზემოთ დავინახეთ, მეტად-
ძვირი დაუჯდა იგი ა/კავკასიის ხაზინას, ე. ი. მოსახლეობის მასებს.

II. მინის მანუსახტურა

მინის (შუშის) წარმოება ა/კავკასიაში ჩნდება მე-19 საუკუნიდან.
თვითმეტყრობელობა ცდილობდა რა საქართველოს ღვინოების რუ-
სეთში გატანით შეენელებინა საფრანგეთიდან ღვინის იმპორტი,
უნდა ცდილიყო ჩვენი ღვინოების გატანის პირველი პირობის, ე. ი.
ჭურჭლის წარმოებისათვისაც. სწორედ ამ მიმართულებით წარმოებულ
ღვინისძიებათა შედეგად იწყება ჩვენში კასრებისა და მინის წარმოების
წარმოშობა. ცარიშმის ადგილობრივი ხელისუფლება მე-19 საუკუ-
დასაწყისიდანვე (1816 წ.) ცდილობდა ამ მხრივ შესაფერი ნაბიჯების-
გადადგმას, რამდენადაც, კერძოდ, მინის ქარხნის აშენება საქარ-
თველოში მას მიაჩნდა აუცილებელ საჭიროებად და თანაც რენტა-
ბელურ სარეწავად.

1820-იან წლებში, რუსეთს ყოველწლიურად შემოჰქონდა საფრან-
გეთიდან დიდადი შამპანური, რაც იწვევდა რუსეთიდან წლიურად
21 მილ. ფრანგის ჩხრიალა ფულის გადასვლას საფრანგეთში. ცარიშ-
მის მერქანტილურად განწყობილ ხელისუფლებას არ შეეძლო არ ეზრუნა
ამ თანხების ზენარჩუნებისათვის, რაც ამ შემთხვევაში საკუთრად
რუსეთის იმპერიაში (ყირიმში, ბესარაბიაში და განსაკუთრებით სა-
ქართველოში) მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისა და ამ ღვი-
ნოებით ცენტრალური გუბერნიების მომარაგების სახით უნდა გამო-
ხატულიყო. მაგრამ—არ ვეხებით რა აქ მევენახეობა-მეღვინეობის სა-
კითხებს—საქართველოდან და შემდეგ საერთოდ ა/კავკასიიდან რუსეთ-
ში (ზორ მანძილზე) ღვინის გატანა არ შეიძლებოდა ადგილობრივად
გაბატონებული ტრადიციული სატრანსპორტო ჭურჭლით (ტიკებით და-
გუდებით). სწორედ ამიტომ დღის წესრიგში ისმება მინისა და კასრის
წარმოების შემნა. კერძოდ მინის წარმოება¹ აუცილებელი იყო აგრეთვე
სახაზინო (სამხედრო) სააფთიაქო საქმისათვისაც, რომელიც ისევ
ამ დროიდან იწყებს ჩვენში თავისი არსებობის ისტორიას.

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ცენტრიდან გამოწერილი მინის-
წარმოების სპეციალისტი (ივანე ლევა შოვი) საქართველოში ჩამო-
ვიდა 1828 წ.; მან იმავ წელს დაიარა ბორჩალოს და ყაზახის პრო-

¹ რუსეთიდან მინის (შუშის) ნაწარმოების შემოტანას ამნელებდა ამ საქონლის-
მტვრევადობა და ტრანსპორტის სიძვირე.

ვინციები, სილნალის, თელავის, გორის მაზრები, იმერეთი და კველა-
ზე ხელსაყრელად მიიჩნია ბორჯომის ხეობა, როგორც ადგილმდებარებული
რეობით, კლიმატით, ქვიშით, კარგი ღირსების თიხით და სახაზინო
მდიდარი ტყით (რომელზედაც, თუმცა პრეტენზიას აცხადებდნენ თავ.
ავალიშვილები, მაგრამ ცარიზმის ხელისუფლება ამას უსაფუძვლოდ
სთვლიდა, რადგან ტყე ფაქტიურად ახალციხელების სარგებლობაში
იყო, ხოლო ავალიშვილებს მხოლოდ იურიდიულად ექუთვნოდათ და
რაც მთავარია, იმიტომ რომ „რუსის ჯარის მიერ დაპყრობილი
მიწები რუსეთის ხაზინას ექუთვნის“).

1830 წ., დაწყო ბორჯომის ხეობაში მინის „ქარხნის“, ე. ი.
მანუფაქტურის შენება. მშენებლობის ხარჯები გათვალისწინებული
იყო 14.576 მან., ხოლო 1 წლის განმავლობაში ხელფასისა, ნედლი მა-
სალისა და სხვ. ხარჯებისათვის—14.535 მან. და ასეთ პირობებში
წარმოებას პირველსავე წელს უნდა მოეცა 28.850 მანეთის შუშეული
გასაყიდად. მაგრამ 1830 წელს ლევაშოვს მოუკვდა თანაშემწე,
შემდეგ მალე თვითონაც გარდაიცვალა; ისე რომ ადგილობრივ მუშებ-
მა ვერც კი მოასწრეს ხელობის ჯეროვანი შესწავლა. წარმოება
შეიქნა არარენტაბელური, მითუმეტეს რომ გენ. ზავილეისკი, რომ-
ლის გამგებლობაშიაც იყო მანუფაქტურა და რომელსაც არაფერი გაე-
გებოდა ამ სარეწავისა, უფრო გულმოდგინედ ცდილობდა ხაზინიდან
სუბსიდიების მიღებას, ვინერ ამ თანხების თვით წარმოების გაუმჯო-
ბესებისათვის გამოყენებას. იწარმოებოდა მდარე ხარისხის შავი
შუშეული, მსგავსი მოჭიქული თიხისა, რომელიც ბაზარზე ვერ ჰქოუ-
ლობდა მომხმარებელს.

შემდეგ „ქარხანა“ გადატანილ იქნა აწყურში, მტკვრის ნაპირას,
სადაც აღმოჩენილ იქნა კარგი ღირსების ნედლეული. მაგრამ საქმეშ
აქაც ვერ იხეირა და „ქარხანაც“ მალე სავსებით დაიკრიტა.

ამის შემდეგ გორელ მემამულე ელიზარ ერისთავ მა, რომელ-
მაც ჯერ კიდევ მე-19 საუკ. პირველსავე ათეულ წელს¹ მოკიდა ხელი
მინის წარმოებას, მაგრამ იზარალა და მიატოვა,—კვლავ დაიწყო თავის
სოფელ ლვარებში მინის წარმოება. ერისთავს მნიშვნელოვანი დახ-
მარება გაუწია ხაზინამ; „ქარხანამ“ მუშაობა დაიწყო 1843 წელს.
იგი აწარმოებდა მხოლოდ მწვანე ბოთლებს (შუშებს) ღვინისა და
სააფთიაქო საჭიროებისათვის, თუმცა ესეც მდარე ხარისხისა გამოღი-
ოდა. და მიუხედავად იმისა, რომ ეს „ქარხანა“ მეტად პატარა იყო
რუსეთში არსებულ ქარხნებთან შედარებით, პირველსავე წელს მისი

¹ არის გადმოცემა რომ ს. ღვარებში მე-18 საუკუნეშიაც ჰქონდათ ერისთა-
ვებს მინის „ქარხანა“.

ხარჯები აღემატებოდა შემოსავალს 3.000 მანეთით, რაც უმთავრესად იყო შედეგი „შუშეულის (ბოთლების) შეიდევლთა ნაკლებობისა“. 1844 წლიდან, თხოვნის შემდეგ, ე. ერისთავს მიენიჭა ტფილისის „სათადარიგო აუთიაქს“ მინის ჭურჭლებით მომარაგების პრივილეგია. ამ აუთიაქს მანამდე ამარაგებდნენ მოსკოვიდან.

ამ დროიდან ს. ღვარების „ქარხნის“ საქმე გაუმჯობესდა და წინანდელი დეფიციტის ნაცვლად დაიწყო მოგების მოცემა, რამდენადაც ერთისთავი არაფრად აგდებდა „ქარხნისათვის“ მიმაგრებულ ხაკუთარ 200 კმის შრომას. ამ „წარმატებით“ გათამამებული იგი ფიქრობს კიდევ მეორე „ქარხნის“ აშენებისათვისაც-კი, თუმცა მას ამისათვის საჭირო კაპიტალი არ გააჩნია.

მაგრამ ე. ერისთავმა ამ მიზნით მალე ისესხა ფული „პრიკაზიდან“ და გამოიწერა ოსტატები და აგრეთვე ტულის გუბერნიიდან (ქ. ბელევიდან) 1000 ფუთი ცეცხლგამძლე თიხა, რაც მას დაუჯდა ფუთი 3 მან. შემდეგ 1848 წლიდან, მ. ს. ვორონცოვის დახმარებით, თიხის მოტანა მან დაიწყო ყუბანის ნაპირებიდან; აქედან მოტანილი 1 ფუთი თიხა უჯდებოდა მხოლოდ 80 კაპ., რამაც კიდევ უფრო გათამამა ჩვენი ბურუჟაზიული თაოსნობის ფეოდალ-მემამულე. მან მოიწია ინჟენერ-ტექნიკოგი (ბიხოლდტი) და მეპატრონისა და ინჟენერის მიერ წარმოებული მრავალრიცხოვნი ცდების შემდეგ პოტასიუმისა, აქაური სოდისა და გლასუბერის მარილისა და აგრეთვე, აკად. აბის ის რჩევით, ირანიდან გამოწერილი მარილის გამოყენებით, ბოლოს, მიღებულ იქნა „ძალიან კარგი საფანჯრე მინა“, რომლის ნიმუშები 1853 წ. წარედგინა ვორონცოვის. მაგრამ სწორედ ამ დროს, როდესაც მესარეწე ალფროთოვანებული იყო თავისი გამარჯვებით და ხელი უნდა მოეკიდა საფანჯრე მინის მასიური წარმოებისათვის, იშევება ყირიმის ომი. ე. ერისთავი, როგორც სამხედრო პირი, გაწვეულ იქნა ოში, რამაც იგი მოსწყვიტა მინის ქარხნისაგან და აიძულა განეგრძო მხოლოდ შუშის ჭურჭლეულის წარმოება და ხელი აელო ჯერ კიდევ ახალ და საფუძვლიანად აუთვისებელ წარმოებაზე საფანჯრე მინისა.

1855 წ. ღვარების მინის „ქარხანა“ საიდუმლოებით მოცულ ხანძარმა ჩანთქა. დაიღუპა დიდალი მზა ნაწარმიც. ყირიმის ომის შემდეგ თავის მამულში დაბრუნებულ ელ. ერისთავმა ხელი მოკიდა და კვლავ აღადგინა მინის „ქარხანა“, რაც ხსენებულ ომს მოყოლილი სიძვირის პირობებში ბევრად „უფრო მეტი დაუჯდა ვინემ ქარხნის თავდაპირველი აშენება“, კვლავ უფრო გიჩარდა მისი ვალები, რამაც 1864 წ. მიაღწია 50.000 მან., აღდგენილი ქარხანა

ჩვენ ხელთა გვაქს ინკ. ბისოლდტის მიერ 1864 წელს გაკეთებული ამ ქარხნის საკმაოდ დეტალური აღწერა-შეფასება: საქარხნო შენობები (მდ. ლვარების მარჯვენა ნაპირას) გაკეთებული იყო მთლიანად ფიქვისა და ნაძვის ძელებისაგან. ქარხანას ჰქონდა 600 დესიატინამდე ტყე, რითაც უზრუნველყოფილი იყო საწვავი მასალით 25 წლის განმავლობაში.

I. ქარხნის მთავარ შენობაში (სიგრძ.—11, სიგან.—9 საჟ.) იყო:

- მინის სადნობი 6 ტიგელიანი (დერგიანი) ღუმელი (ყოველი დერგის სიმაღლე უდრიდა 13 ვერშ., ზედა დიამეტრი — 12 ვერშ.; ქვედა — 9 ვერშოქს). მინის გამოდნობა გრძელდება 36 საათი, ხოლო დამუშავება — 12 საათი¹. ასე რომ ორი კვირის განმავლობაში გამომუშავდება (წუნის გამოკლებით) 600 ბოთლი, თითოეული წონით 2,5 გირვანქა. სადნობ ღუმელთანვე იყო შეერთებული მასალის საშრობი ღუმელიც. 2. 3 საშანდაკებელი (ვაკატალის) ღუმელი; 3. შეშის საშრობი ღუმელი. 4. 2 გამოსაწვავი ტიგელი. ეს შენობა მის ინსტრუმენტებიანად შეფასებულ იქნა 4000 მან.

II. ქარხანას ჰქონდა სათუნე განყოფილება, სადაც ცეცხლგამძლე თიხისაგან კეთდებოდა ტიგელები, აგური და სხვადასხვა ნაშილები. შუშის სადნობი ღუმელისა. ამ შენობის სიგრძე უდრიდა 11, სიგანე 3 საჟ. ამ შენობაში იყო: საშრობი ღუმელი, თიხის შესანახი და სარევი ხის ყუთები (როტები). შენობასთან გარეთ იყო წყლის თვალი (наливное колесо), რომელსაც მოძრაობაში მოყავდა 3 სანაყველი, რაც საჭირო იყო თიხისა და სხვა მასალათა დასაფხვიერებლად. ეს განყოფილება შეფასებულ იქნა 1000 მ.;

III. წისქვილი და სამჭედლო — 300 მან.;

IV. ძველი შენობა საფანჯრე მინების დასამზადებლად, სიგრძით 9, ხოლო სიგანით 7 საჟენი — 700 მან.;

V. 2 სახლი (ერთი ბალჩით), რომელშიაც ცხოვრობდა 3 სტატის ოჯახი — 400 მან.;

VI. სამზარეულო და ფურნე მუშებისათვის — 500 მან.;

VII. ბელელი მასალათა შესანახად — 300 მან.;

VIII. სააფთიაქო ჭურჭლეულისათვის მინის თავსაცავთა სათრა-შავი (საჩარხხავი) სახელოსნო, სადაც ცხოვრობდა 1 სტატი — 500 მან.;

IX. 2 ძველი სახლი შავ მუშათა საცხოვრებლად და 1 სახლი ზედა-

¹ რასაც სულ უნდებოდა 4 კუბ. საჟ. შეშა.



მხედველის ბინისა და კონტორის სახით — 500 მან., 1 გომური კამებით — 100 მან., გირგარისათვის — 150 მ., 1 საბჭელი — 50 მან., ორი ბელელი — 200 მან.;

X. ქვედა „საქარხნე“ შენობა მინის სადნობი ღუმელით — 150 მან.

ყოველგვარი ნაგებობანი, რომლებიც „ქარხნის“ შემადგენლობაში ერთიანდებიან, შეფასდა 10.000 მანეთამდე, მიწისა და ტყის ჩაუთვლელად. საქარხნო ნაგებობანი არ იყო დაზღვეული და მათს დაზღვევას აძნელებდა ის გარემოება რომ მთლიანად ხისაგან იყო აშენებული.

„ქარხანას“ სრულის დატვირთვით შეეძლო მოეცა თვეში 9-10 ათასი ბოთლი, ხოლო 1 წელიწადში — 108.000 ბოთლი. ბაზარზე (ტფილისში) 1 ბოთლი ფასობდა 10 კაპ., ე. ი. ქარხნის წლიური პროდუქტია გამოიხატებოდა 10.800 მან.; სინამდვილეში ბოთლების საწარმოო წელიწადი აქ გრძელდებოდა არა უმეტეს 6-7 თვისა, ე. ი. საშუალო წლიური პროდუქტია უნდა განისაზღვროს 6.000 მან. წლის დანარჩენი დროის, 6-5 თვის, განმავლობაში მზადდებოდა კავკასიის „სათადარიგო აფთიაქისათვის“ სააფთიაქო ჭურჭლეული, ლირებულებით 6-8 ათას მანეთამდე. ასე რომ ქარხნის — რომელიც წლიურად აკეთებდა 6-7 ათას ფუთ მინის ჭურჭლეულს — მთელი წლიური შემოსავალი უდრიდა 12—14 ათას მანეთს.

ამავე დროს ხარჯები გამოიხატებოდა შემდეგში:

I. ყოველ 1,5—2 თვეში მინის სადნობი ტიგელების გამოცვლასა და წლიურად ორჯერ ღუმელის განახლებას სჭირდებოდა 1.000 ფუთამდე ცეცხლგამძლე თიხა, რომელიც მდ. ყუბანის ნაპირებიდან მოჰქმნდათ და ჯდებოდა 800 მან.;

II. გორიდან წლიურად 3.600 ფუთი სილის მოტანა — 216 მან.;

III. 7.200 ფუთი ნაცრისა და ნარჩენების შეძენა ტფილისის საპნის ქარხნებიდან და მათი ჩამოტანა — 792 მან.;

IV. საკუთარი ტყიდან საკუთარივე ყმების შრომით წლიურად 270 კუბ. საჟენი შეშის მოჭრა, დახეთქა და მოტანა ჯდებოდა — 720 მან.;

V. ლურსმანი, ფიცრები, თივა და შუშეულის შეფუთვის სხვა ხარჯები — 600 მან.;

VI. ლვარებიდან მტკვრით და ურმით წლიურად 60 ურემი (1 ურემზე 1000 კ. ბოთლი) ბოთლის გადატანა — 420 მან.;

VII. 2000 ფუთამდე სააფთიაქო შუშების სტავროპოლში მიტანა — 1600 მან.;

VIII. ქარხნის რემონტი, ტფილისში მაღაზიის ქირა და ნოქრის ხელფასი და სხვადასხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები — 1200 მან.;

IX. „ქარხნის“ დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეთა მინის ჩამომსხელი 3 თსტატი, რომლებიც ნარდად (ცალობით) მუშაობდნენ, თითოეული ლებულობდა წლიურად 133 მან., მათი ერთი თანაშემწე — 3. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის — პ. გუგუშვილი.

60 მან.; მჭედელი—100 მან.; ღურგალი—60 მან.; სამი მუდმივი ლიტერატორი, თითოეული წლიურად ღებულობდა 120 მან.; კიდევ სამი წარმომადგენი მომუშავე ოსტატიდან ყოველი საშუალოდ ღებულობდა 250 მან.; ექვსი ქარგალი, რომელთაგან თითოეული წლიურად ღებულობდა 72 მან.; 4 მდგვებელი (ტრახალები) — 60 მან.; 4 მრეველი (შურალი) — 108 მან.; 1 გამპრიალებელი — 96 მან.] და სხვ. ხელფასის მიმარტებით მთელი ზემოხსნებული ხარჯები შეადგენდა დაახლოებითი 10.000 მანეთამდე; ასე რომ დაბანდებულ კაპიტალზე პროცენტებისა და ყმების შრომის მიუთვლელად სარეწავის წმინდა წლიური შემოსავალი შეადგენდა 2—4 ათას მანეთს.

მაგრამ მინის სარეწავზე მიწერილი იყო ეს. ერისთავის ყმების 200 ოჯახი, რომლებიც „გარდა მცირეოდენი გამონაკლისისა მუშაობენ თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ქარხნისათვის შეშის მოჭრასა და მოტანაზე; ისინივე სწავენ ნაცარს; მათვე მოაქვთ სილა. 『გარდა ამისა მთელი წლის განმავლობაში, განსაზღვრული რიგის მიხედვით ისინი იძლევიან ქარხნისთვის ყოველ ჯერობაზე რამდენიმე კაცს, რომლებიც მუშაობენ ქარხანაში ზავ მუშებად“. როგორც დაქირავებული მუშების ისე ამ ყმების სამუშაო დრო, მეტისმეტად ჭუჭყიანი და ანტიცივიენტური შრომის პირობებში, 14—16 საათი გრძელდებოდა. თვით ეს. ერისთავი საკუთარი ყმების ხელფასს წლიურად 4.000 მანეთამდე ანგარიშობდა, ასე რომ საბოლოო ანგარიშით მინის სარეწავი უკითხეს შემთხვევაში მხოლოდ ხარჯებს თუ ჰქანავდა. 1864 წელს ინკ. ბისოლდტი, რომელმაც სარეწავის მდგომარეობა შეისწავლა, აცხადებდა რომ „მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლად დაქირავებული შრომით და სახაზინო შეკვეთების გარეშე ქარხანას საეჭვოა რომ აქამდე ეარსებაო“.

სარეწავის არარენტაბელობის მთავარ შიზეზად პიხოლდტი ასახელებდა ღუმელების ჯეროვანად მოუწყობლობას (რის გამოც წარმოების სიმკირესთან ერთად იხარჯებოდა დიდმალი შეში) და სათანადო კადრების უყოლობას. სარეწავს არ შეეძლო ეწარმოებინა თუნდაც ნახევრად თეთრი საფანჯრე შუშა შესაფერი ოსტატების უყოლობისა და სათანადოდ მოუწყობლობის გამო. ამასთანავე აქ დიდი მოთხოვნილება იყო საფანჯრე შუშაზე, რომელიც მოქონდათ რუსეთიდან და რომელიც თავისი სიმძიმისა და მტვრევადობის მეოხებით ადგილობრივ ბაზარზე მეტად ძირიად იყოდებოდა.

რაც შეეხება ბოთლებსა, ქილებსა და სააფთიაქო ჭურჭლეულს, ესენი ერისთავის „ქარხნის“ მიერ წარმოებული ბევრად იაფად ფასობდა ვინებ მოსკოვიდან მოტანილი. და არამცუ ამიერკავკასიაში, არამედ იმიერკავკასიაშიც ყველა აფთიაქს ამარავებდა ერისთავის



სარეწავი; კერძოდ ქ. სტავროპოლის აფთიაქს ღვარებიდან მოტანილ
შუშეული თითქმის ორჯერ უფრო იაფად უჯდებოდა, ვინემ მოტკო-
ვიდან გამოწერილი. ხოლო რამდენადაც ეს აფთიაქები სახელმწიფო
იყო, ცხადია, ამდენად, ერისთავის სარეწავი სარფიანი იყო ხაზინი-
სათვისაც. თვით ელ. ერისთავი ნამესტნიკისადმი მირთმეულ ბარათში
აღნიშნავს, რომ მისი „ქარხნის შუშეულობა სახაზინო აფთიაქებს
უჯდებათ მხოლოდ იმდენი, რამდენიც დაეწარჯებოდათ მოსკოვი-
დან მინის ჭურჭლეულის ფოლიისში მხოლოდ მოტანაზე“.

თუ იმ დროისათვის, როდესაც ელ. ვ. ერისთავმა ს. ღვარებში
ხელი მოკიდა მინის წარმოებას, მისი „ქარხანა“ რუსეთში არსებულ
სარეწავებთან შედარებით „პატარა მასტრაბისა“ იყო, სამაგიეროდ
60-იან წლებისათვის რუსეთში ხსენებული ქარხნების უმრავლესობა
გადავიდა ახალ, გაუმჯობესებულ ტექნიკურ ბაზაზე და ამასთა-
ნავე ერთად ყმების შრომაც შეცვლილ იქნა დაქირავებული შრომით.
ამ დროიდან კი ერისთავის სარეწავი, რომელიც ისევ ძველებურ
ყაიდაზე მუშაობდა, მეტად ჩამორჩენილი იყო, როგორც ტექნიკური,
ისევე კადრების მხრივაც. ამას გრძნობს თვითონ მესარეწეც, რო-
მელიც ცდილობს თავისი სარეწავის რეკონსტრუქციას. მაგრამ ამის-
თვის საჭირო კაპიტალი მას არ გააჩნია. და აი სწორედ 1864 წელს,
როდესაც ჩვენშიც დაიწყო საგლეხო რეფორმა, ელ. ერისთავი თხოვ-
ნით მიმართავს კავკასიის ნამესტნიკს, რათა მიეცეს მისი ქარხნის—
რომელიც ერთადერთია მთელ კავკასიაში—რეკონსტრუქციისა და გა-
ფართოებისათვის უპროცენტო სესხი 25.000 მანეთის რაოდენობით.

ელ. ერისთავის თხოვნა შეიწყნარა კავკასიის ნამესტნიკმა დიდმა
მთავარმა მიხეილ მა, რომელმაც მას ხაზინიდან უპროცენტოდ მისკა
25.000 მანეთი, 18 წლის ვადით. ელიტბარ ერისთავმა დიდის ენერ-
გით მოკიდა ხელი საქმეს, დაიწყო ახალ ნაგებობათა აშენება, ოს-
ტატების გამოწერა და საერთოდ სარეწავის გაფართოება. მაგრამ
ეს თაოსნიანი ადამიანი მალე გარდაიცვალა, ხოლო მისმა მემკვიდ-
რებმა უკვე არ ისურვეს განეგრძოთ მისი საქმე, რომელიც არა-
რენტაბელური იყო, მით უმეტეს, რომ 1864 წ. ბოლოდან სარეწავ-
ში ყმათა საბეგრო შრომის აღვილი დაიჭირა დაქირავებულ შრო-
მამ, რამაც კიდევ უფრო გაზარდა წარმოების ხარჯები წარმოების
წინანდელი მასტრაბის შენარჩუნების პირობებში.

ელ. ერისთავის მინის ქარხანაში წარმოების მთელი პროცესები
დამყარებული იყო ხელით შრომაზე. მაგრამ იგი არ იყო უბრალო
სახელოსნო, რამდენადაც ჩვენ აქ გვაქვს მინის ჩამოსხმისა და მის-
გან მზანაწარმის მიღების საქმეში შრომის ხესტემატური დანაწი-
ლება, წარმოების სხვადასხვა სტადიების შინედვით.

სინამდვილეში ეს სარეწავი („ქარხანა“) წარმოადგენდა მანუფაქტურას, თუმცა აქ დაქირავებული შრომის გვერდით საქმე გვაქვს ყმათა მართვას შრომის (საბეგრო შრომის) ექსპლოატაციასთანაც. სწორედ ამიტომ ეს სარეწავი ჩვენ მოგვაგონებს ე. წ. „ბატონის მანუფაქტურას“, რომელიც, როგორც ფორმა გადამუშავებითი მრეწველობისა, გავრცელებული იყო მე-18 და მე-19 საუკ. რეფორმამდელ რუსეთში. მაგრამ თუ „ბატონის მანუფაქტურა“ უმთავრესად დამყარებულია საბეგრო შრომაზე, აქ (ს. ღვარების მანუფაქტურაში) ჩვენ საქმე გვაქვს ყმათა შრომის მხოლოდ სპორადულ გამოყენებასთან, კერძოდ წარმოების მოსამზადებელ სტადიაში; ყმის შრომა აქ მხოლოდ ერთგვარი „დამხმარე ძალაა“. მაგრამ მიუხედავად ამისა ეს მანუფაქტურა მაინც მაჩვენებელია იმისა, თუ როგორ შეუერთდებოდა ხოლმე ჩვენში ბატონის მეურნეობა კაპიტალისტურ სისტემას, გადამუშავებითი მრეწველობის დარგში.

ელ. ერისთავის სარეწავი ძალიან ახლოს მოგვაგონებს იმ ხანებში დას. ევროპაში არსებული ბოთლების მანუფაქტურებს, რომელთა ქლასიკური დახასიათება მოგვცა კ. მარქსმა. ამ დახასიათებიდან ჩვენ დავინახავთ, თუ რამდენად წარმოადგენდა ბოთლის ტიპიურ მანუფაქტურას ელ. ერისთავის სარეწავი.

ბოთლის მანუფაქტურის შესახებ კარლ მარქსი წერს, რომ „იგი ნაწილდება სამ, ერთი მეორისაგან არსებითად განსხვავებულ, ფაზისად. ჯერ ერთი, მოსამზადებელი ფაზისი, როგორიცაა საშუალება დამზადება, ქვიშის, კირის და სხვ. ერთმანეთში არევა და ამ ნარევის თხევად შუშის მასად დაღნობა. ამ პირველ ფაზისში სხვადასხვა ნაწილობრივი მუშები არიან ჩაბმულნი, ისე როგორც საბოლოო ფაზისში, სადაც წარმოებს ლუმელიდან ბოთლების გამოღება, მათი დახარისხება, შეფუთვა და სხვ. ამ ორ ფაზისს შუა წარმოებს ბოთლების დამზადება, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ანუ თხევადი შუშის მასის გადამუშავება. ერთი და იმავე ლუმელის პირთან მთელი ჯვუფი მუშაობს, რომელსაც ინგლისში „hole“-ს (ხვრელს) უწოდებენ. ამ ჯვუფში შედის 1. bottle maker ბოთლების გამკეთებელი ანუ finisher [გამომყანი], 2. blower [ჩაბერავი], 3. gatherer [შემკრები], 4. putter up [დამგროვებელი] ანუ whetter off [გამპრიალებელი] და 5. taker [მიმღები]. ეს ხუთი ნაწილობრივი მუშა ერთი სამუშაო სხეულის ხუთ განსაკუთრებულ ორგანოს წარმოადგენს, იმ სხეულის, რომელსაც მხოლოდ მთლიანად, ე. ი. მხოლოდ როგორც ხუთი იდამიანის უშუალო კოოპერაციას შეუძლია მოქმედება. თუ ამ ხუთწევროვან სხეულს ერთი წევრი აკლია, მთელი სხეული დარღვეულია. მაგრამ ერთსა და იმავე საღნობ ლუმელს

რამდენიმე პირი აქვს,—ინგლისში, მაგალითად, 4—6-მდე; თითოეული პირთან მოთავსებულია თიხისაგან გაკეთებული საღნობი ატენის ლი თხევადი შუშით, სადაც მუშების საკუთარი, ისეთივე ხუთწევროვანი ჯგუფი მუშაობს. ყოველი ცალკე ჯგუფის დაყოფა აქ უშუალოდ შრომის დანაწილებაზეა დაყარებული, მაშინ როდესაც სხვადასხვა ერთგვაროვანი ჯგუფების კავშირი მარტივ კოოპერაციას წარმოადგენს, რომელიც ერთ-ერთ საწარმოო საშუალებას, ამ შემთხვევაში საღნობ ღუმელს, საერთო მოხმარების გზით მეტი ეკონომიით იყენებს. თითოეული ასეთი საღნობი ღუმელი თავისი 4-დან 6-მდე ჯგუფით შუშის სახელოსნოს წარმოადგენს. ხოლო შუშის მანუფაქტურა შეიცავს რამდენიმე ამგვარ სახელოსნოს და ამასთან ერთად იმ ხელსაწყოებს და მუშებს, რომლებიც საჭიროა წარმოების მოსამზადებელი და დამასრულებელი ფაზისებისთვის¹.

ზემოთ ჩვენ მიერ მოცემული ელ. ერისთავის „ქარხნის“ ოლწერი-დან ვტყობილობთ, რომ შრომის დანაწილება აქაც სისტემატურად იყო გატარებული: ბოთლების წარმოების პირველ ფაზაში, მოსამზადებელ ფაზისში, მიმდინარეობდა საშუალებელი (სამინე) მასალის მომზადება, სადაც გარდა დაქირავებული მუშებისა ჩაბმული იყვნენ მესარე-წის ყმებიც; შემდეგ, მეორე ფაზისში წარმოებდა თხევადი მინის მასის გადამუშავება, რაც უკვე მთლიანად დაქირავებული მუშების საქმე იყო. აქ წარმოების პროცესი დანაწილებულია მთელ რიგ დამოუკიდებელ ოპერაციებად; ბოთლების გამოყვანა ანუ ჩამოსხმა, ჩაბერვა, გაპრიალება, სააფთიაქე შუშებისათვის თავსაცობის გაკეთება და სხვ.; შემდეგ, მესამე ფაზისშიაც შრომა დანაწილებულია: ღუმელიდან ბოთლების გამოტანა, მათი დახარისხება, გადასატან ყუთებში ჩალაგება.

მაგრამ, ამას გარდა, მსგავსად მე-19 საუკუნის 50—60-იან წლებში ინგლისში არსებული მინის მსხვილი მანუფაქტურებისა, ელ. ერისთავის სარეწავში თვითონვე ამზადებდნენ თიხისაგან გაკეთებულ საღნობ ტიგელებს და, ამგვარად, აქ პროდუქტის (საქონლის) დამზადების მანუფაქტურა უშუალოდ დაკავშირებული იყო საწარმოო საშუალების მანუფაქტურასთან—რაც ფრიად დამახასიათებელი მოვლენაა რეფორმადელი ა/კავკასიისათვის, სადაც სამიმოსვლო გზათა განუვითარებლობის გამო, ტიგელის (საწ. საშუალების) უცხოეთიდან ან რუსეთიდან მოტანაზე უფრო ხელსაყრელი იყო მისი აქვე დამზადება.

ჩვენს სინამდვილეში კერძოდ, ს. ღვარებში არსებული მინის სარეწავი 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ე. ი. 1864 წელს ჩატა-

¹ კ. მარქსი, „კაპიტალი“ I, ტფ. 1930, გვ. 300.

რებულ საგლეხო რეფორმამდე, წარმოადგენდა ე. შ. „ბატონიშვილი“
მანუფაქტურის“¹ მსგავს სარეწავს, ხოლო ამ დროიდან იგი უნდა
გადაქცეულიყო და გადაიქცა კიდევაც წმინდა კაპიტალისტურ მანუ-
ფაქტურად, რომელსაც, როგორც წესია, ამიერიდან უნდა ეარსება
მხოლოდ დაქირავებული შრომის საფუძველზე, — რომ არა ვსთვეათ
რა იმის შესახებ, თუ რამდენად იყო ეს ეკონომიკურად შესაძლებელი
ჩვენი კოლონიური ქვეყნის სინამდვილეში.

როგორც აღვნიშნეთ, ელ. ერისთავის გარდაცვალების შემდეგ მის-
მა მემკვიდრეებმა აღარ ისურვეს გაგრძელება საქმისა, რომელიც მათ
მხოლოდ ზარალს აძლევდა, მათ 1872 წელს ლვარების „ქარხანა“
იჯარით მისცეს უცხოელ ეპშტეინს, რომელსაც მინის წარმოების
საქმე შესწავლა ბოჭემიაში. ამგვარად, მეიჯარე ბევრად უფრო გა-
მოცდილი და დახელოვნებული იყო წარმოების საქმეში, ვინებ ელ-
ერისთავი. ეპშტეინმა თვით სოფ. ლვარებში აღმოაჩინა ბოთლები-
სათვის საუცხოო სილა, კარგი ხარისხის თიხაკირი (მერგელი) და
თიხიანი თირი. ეს მასალები აღმოჩნდა თვით „ქარხნიდან“ სამასი-
ნაბიჯის მანძილზე. ამის თაობაზე 1872 წელს ეპშტეინი წერდა:
„31 [?] წელიწადი მოქმედებდა ქარხანა და არ იცოდნენ, რომ ამ
მასალათა დიდძალი მარაგი სახელდახელო სიახლოეს იყო და
შეიძლებოდა მათგან საბოთლე შენაერთის დამზადება. ქარხანასთან
ახლოს, თითქმის ჭიშკარზე მყოფი სილა დასტოვეს და ბევრად
უფრო უარესი სილა მოქონდათ გორიდან, 18 ვერსტის სიშორიდან“.

თიხა ლუმელისა და ტიგელებისათვის (დერგებისათვის), როგორც ვი-
ცით, ელ. ერისთავს მოჰქონდა ყუბანის ოლქიდან. მაგრამ იგი შეიცავ-
და მნიშვნელოვან ნაკლს; ამის გამო ეპშტეინმა შესაფერი თიხა
გამოიწერა უცხოეთიდან; შემოიტანა კიდევ მთელი რიგი გაუმჯობე-
სებანი, რითაც თავიდან აიცილა წინანდელი წარმოების ერთი ნაქლიც-
საქმე იმაშია, რომ ელ. ერისთავის მიერ დამზადებულ ბოთლებში ღვინო
ხშირად ძმარდებოდა, რაც ეპშტეინის აზრით იყო შედეგი სამინე შენაერ-
თის ცუდი თვისებისა. ამგვარად, ეპშტეინმა გააუმჯობესა და გააფარ-
თოვა წარმოება, მაგრამ სულ მალე ლვარების მინის ქარხანას სა-
ბოლოოდ უნდა შეეწყვიტა არსებობა, რაშიაც, გარდა თვით მეიჯარის
მდგომარეობისა, ალბათ გარკვეული როლი ითამაშა ამ დროიდან (1872 წ.) ფოთ-ტფილის ზორის სარკინისგზო მიმოსვლის გახსნამ,
რაც, გასაგებია, დიდად გააითვებდა, როგორც რუსეთიდან, ისე უცხო-
ეთიდან მინის სხვადასხვა ნაწარმოებთა შემოტანას.

¹ თვით „ბატონიშვილი მანუფაქტურა“ მხოლოდ ერთგვარი ფორმაა ბატონიშვი-
რი წარმოების კაპიტალისტურ წარმოებაში შეზრდისა და გადასცლისა.

თუმცა, როგორც წყაროებიდან ჩანს, ლვარების ქარხნის ლიკვიდა-
ციის შემდეგ ა/კავკასიაში მინის ნაწარმოები მეტად გაძვირებულია ყოველ
რასაც საბაზი მიუკია ბარონ. ფონ კუჩენბახისათვის, რათა
უკანასკნელს თავის მამულში, ალექსანდერუტეში, ბორჩალოს მაზრა-
ში, სოფ. საფარლოს ახლოს, ტფილისიდან 90 ვერსტის მანძილზე,
კავკასიის მთავრობისაგან სესხად მიღებული 25.000 მან. მეოხებით
1882 წელს აემოქმედებინა მინის საკმაოდ დიდი ქარხანა, მოწყობილი
„საქებით ევროპულ ყაიდაზე“.

კუჩენბახს წლიურად 5.000 ფუთი ცეცხლგამძლე თიხა მოქონდა
გერმანიიდან (1 ფუთი 1 მანეთად უჯდებოდა), სამინე სილა მოიპოე-
ბოდა თვით ქარხანასთან ახლოს, გლაუბერის მარილი მოქონდა ტფი-
ლისის მაზრიდან, ხოლო სოდა, პოტასიუმი და მწვავე ნატრიუმი მოქონ-
და ნაწილობრივ უცხოეთიდან, ხოლო ნაწილობრივ რუსეთიდან. ზოგი-
ერთი ნედლი მასალა ქარხნისათვის მოქონდათ აგრეთვე ყარსის ოლქისა
და ერევნის გუბერნიიდანაც.

კუჩენბახის ქარხანაში წარმოებდა თეთრი, ნახევრად თეთრი და
საბოთლე მინა. აქ უმთავრესად კეთდებოდა სხვადასხვა სიდიდის
ბოთლები და ლამფის შუშები; ქარხანა აწარმოებდა აგრეთვე ჭიქებს,
სურებს, ქილებს და სხვა. საშუალოდ, 80-იანი წლების მიწურული-
სათვის კუჩენბახის ქარხანა ამზადებდა წლიურად 300.000 საღვინე
ბოთლს, 200.000 ლამპის შუშას, 200.000 სააფთიაქო შუშას, 100.000
სურას და სხ., რაც უმთავრესად კავკასიაშივე საღლებოდა. აღსა-
ნიშნავია, რომ 90-იანი წლების დამდევებასათვის — სარკინისგზო ტრანს-
პორტის განვითარების მეოხებით — ორლოვისა და ვიტებსკის გუბერ-
ნიის ქარხნებიც თავიანთ მინის ნაწარმებს კავკასიაში სარტიანად ჰყიდ-
ღნენ იმავე ფასებში, როგორც კუჩენბახი.

ბარონ კუჩენბახის „ნამდვილად ევროპულ ყაიდაზე მოწყობილ
ქარხანაში“ მუშაობდა 60 — 70 მუშა, რომელთაგან 20 იყო გერმანელი
ოსტატი, ხოლო დანარჩენი (შავი მუშები) ადგილობრივ მკვიდროთაგან
შესდეგებოდა. მუშებს შორის იყო ორი ქალი და 30 ბავშვი — ქარგლე-
ბის სახით, რომლებიც ეხმარებოდნენ ოსტატებს. აქ შემოლებული იყო
სანარდო მუშაობის სისტემა. ერთი ოსტატი თანა შემწე 3—4 ბავშვ-
თან ერთად თვეში გამოიმუშავებდა ხოლმე 100—150 მანეთამდე.

ამგვარად, ჩვენ წარმოების ახალი დარგის, კერძოდ მინის წარ-
მოების, მაგალითზე დავინახეთ საქართველოში ე. წ. „ბატონიშვილი
მანუფაქტურის“ წარმოშობა, მისი გადაქცევა რეფორმის შემდეგ
წმინდა კაპიტალისტურ მანუფაქტურად, ხოლო 80-იანი წლების და-
საწყისიდან კიდევ — კაპიტალისტურ ფაბრიკად.



სოფ. დრეში დაარსებული მაუდის ფაბრიკის ისტორიას ჩვენ გვიცით ვიხილავთ როგორც მანუფაქტურული დანართის საფეხურს. ს. დრეს მაუდის ფაბრიკა ამის შესაფერ მაგალითს წარმოადგენს თვით თავისი შინაგანი სტრუქტურის მიხედვით. აქ ჩვენ, ეკონომიკური თვალსაზრისით, ერთ მეურნეულ ერთეულში, ე. ი. ერთ სარეწავში საქმე გვაძეს მანუფაქტურული და ფაბრიკული წარმოების შეერთებასთან, საღაც უპირატესი აღგილი ჯერ კიდევ ხელით წარმოებას (მანუფაქტურას) უჭირავს. მაუდის ამ ფაბრიკაში ხელის 9 და მხოლოდ ორი მექანიკური საფეიქრო დგიმი იყო. მაგრამ ჯერ ახლოს გავეცნოთ ამ სარეწავის ისტორიას.

1852 წ. 24 იანვარს პრუსიელმა კარლ მეიცნერმა მ. ს. ვორონცოვს წარუდინა კონდიცია ტფილისის რაიონში (სოფ. დრეში მდ. ვერაზე) მაუდის ფაბრიკის მოწყობისა. ამავე დროს კ. მეიცნერი სათანადო პირობა-ხელშეკრულებით შეეკრა ანდრევსკის, რომელსაც ეკუთვნოდა ზემოხსენებული სოფელი. ანდრევსკიმ კ. მეიცნერს დაუთმო ფაბრიკისათვის საჭირო მიწის ნაკვეთი. კ. მეიცნერი მ. ვორონცოვს სთხოვდა როგორც კონდიციის დამტკიცებას, ასევე მისთვის უპროცენტო სესხის სახით 15.000 ვერცხ. მან. მიცემას ხაზინიდან.

სოფ. დრეში მაუდის ფაბრიკაში დადგმული მანქანები მოძრაობაში უნდა მოეყვანა წყლის ენერგიას; ამისათვის გამოყენებული იქნებოდა მდ. ვერა. ამავე სოფელზე უნდა გაევლო იალაღებზე მიმავალ ცხვრის ფარის, რის გამოც აქვე მოწყობოდა ცხვრის გაკრეძაც და მატყლის გარეცხვა-დახარისხებაც. ფაბრიკის მიერ დამზადებული იქნებოდა მაუდი უმთავრესად კავკასიის კორპუსის არმიის შესამოსად. ფაბრიკის მოწყობა-მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო ერთი წლის განმავლობაში. გეგმის თანახმად ფაბრიკას ჰქონდა სამი საამქრო: 1. სააპარატო, 2. საფეიქრო და 3. მაუდის გამომყვანი.

პირველ საამქროში იყო: 1. მატყლის საპენტი — ერთი ორბორ-ბლიინი მანქანა, 2. მატყლის საჩეჩი მანქანა, 3. მატყლის სართავი და ნართის სახვევი: — ერთი ქულიდან ძაფის გამომყვანი (равнительная) მანქანა 60 თითოსტარით და ოთხი სუფთად მრთველი მანქანა 60 თითისტრით. მეორე საამქროში იყო ხელის ცხრა დგიმი და ორი მექანიკური დგიმი. მესამე საამქროში იყო: 1. ერთი მთელავი მანქანა, 2. ერთი გამრეცხავი მანქანა; 3. მაუდის საშრობი ორი ჩაოჩო; 4. ორი სამღებრო ქვაბი; 5. ერთი სიგრძივი საკრეჭი მანქანა და 6. ერთი ბერკეტიანი პრესი.

ფაბრიკის სამსავე საამქროში სრული დატვირთვის დროს ნაცა-
რაულები იყო 260 მუშის დაბანდება. ფაბრიკას ერთი წეება მუშაობის
პირობებში წლიურად უნდა დაემზადებინა 16.000 არშინი მაუდი, რის-
თვისაც მას უნდა გადაემუშავებინა 1044 ფუთი ნართი. 1 არშინ მოქ-
სოვილ მაუდს მოუნდებოდა 2,5 გირვანქა ნართი. 1 არშინი მაუდის
ღირებულება ნავარაუდევი იყო 95 კაპ. ვერცხ., ე. ი. ფაბრიკა დაამ-
ზადებდა წლიურად დაახლოებით 15.000 მან. მაუდს, მაშინ როდესაც
წარმოების მთელი ხარჯები შესდგებოდა: მასალებზე — 5495 მან. და
მუშების ხელფასის სახით გასაცემი 7756 მან.; ამგვარად, ამ ხარჯე-
ბის გამოკლებით რჩებოდა 1749 მან., — თუ მხედველობაში არ მივი-
ღებთ გადასახადს მიწებისათვის, რომელიც ფაბრიკას ეჭირა, გათ-
ბობას, განათებას, შენობისა და მანქანების ამორტიზაციას, წარმოებაში
მოთავსებული კაპიტალის $\frac{1}{10}$ და სხვ. ხარჯებს, როგორც ამას
ვარაუდობდა თვით ქ. მეიცნერი.

უმთავრესი მომენტი, რომელიც წინ უსწრებდა ამ წამოწყებას, როგორც აღმძვრელი მიზეზი: ა/კავკასიაში დამზადებული მატყლი, რომელიც 40-იან წლების ბოლოს გაიგზავნა ოდესაში, მოსკოვში და ლონდონში, მოწონებულ იქნა იქაურ ბაზრებზე, სადაც ის შეაფასეს სამ და ოთხჯერ მეტად ვინემ შესყიდული იყო ადგილზე. ამავე დროს, მიუხედავად ცდებისა, ვერ მოხერხდა ამ მატყლის მნიშვნელოვანი ზომით და რეგულარულად ექსპორტი, როგორც რუსეთის, ასევე უცხოეთის ბაზრებზე; რადგან ადგილობრივად არ არსებობდა სათანადო მოწყო-
ბილობანი, რათა მომხდარიყო მატყლის დახარისხება, გარეცხა-და-
სუფთავება სანამ მას გაგზავნიდნენ საზღვარგარეთის ბაზარზე, სადაც
ჩვენებურ მატყლს კონკურენცია უნდა გაეწია ძლიერ მეტოქეებთან.

გ. ს. კორონცოვმა 1852 წ. დასაწყისს დაამტკიცა მეიცნერის მიერ წარმოდგენილი კონდიცია ფაბრიკის მოწყობის შესახებ და გასცა აგრეთვე 15.000 მანეთიც, რაც სესხად ითხოვა მესარეწემ. მეიცნერი მოაწყობდა რა მაუდის ფაბრიკას, ამავე დროს მის მიერ მოწყობილი მატყლის სარეცხი, საპენტი, საშრობი და დამხარისხებელი სახელო-
სნოები შესაძლებლობას შექმნიდა რათა აქედან კარგი ხარისხის მატყლი გაეგზავნათ რუსეთისა და უცხოეთის ბაზრებზე; ხოლო მეორე ხარისხისას გადაამუშავებდა თვით მეიცნერის ფაბრიკა საარმიო მაუდად.

მიიღო რა 15.000 მან., მეიცნერი შეუდგა საქმიანობას; მაგრამ იმთავითვე გამოირკვა, ჯერ ერთი, რომ მეიცნერის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა და გეგმა არ ყოფილა რეალური. მიუხედავად იმისა რომ მან ყოველგვარი საჭირო მანქანები მოსკოვში შეიძინა, მათი

მოწყობა ბევრად უფრო მეტი დაჯდა ვინემ იყო ნავარიუდევი. 1853 წ. ოქტომბერის 20-ით გეგმით ფაბრიკის ამჟავების ვადისათვის ძლიერდა მოასწორების მან მუშაობის დაწყება ფაბრიკის შენობის აგებაზე. 1853 წ. თებერვალს ხელისუფლებამ მას მისცა სესხად დამატებით 5.000 მან. იმავე წლის აპრილს კიდევ 3.600 მან., მოსკოვიდან მანქანებისა და მუშების გამოსაწერად. 1853 წ. აგვისტოს განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელე ილია შევიჩი ატყობინებს ვორონცოვს, რომ ფაბრიკაზე უკვე დაიხარჯა ხაზინიდან გაცემული 23.600 მან¹. და იმისათვის რათა ის საბოლოოდ იქნეს დამთავრებულ-მოწყობილი კიდევ საჭიროა 13.000 მანეთი, რაც მეიცნერს არა აქვსო. კიდევ მეტი. ხსენებულ მოხელემ გაიგო, რომ მეიცნერს, მსგავსად კასტელასი, საერთოდაც არ ჰქონია არავითარი კაპიტალი, — მაშინ როდესაც ვორონცოვი და საერთოდ აქაური ხელისუფლება მას იცნობდა როგორც მსხვილ ვაჭარს, — და რომ მას მართებს ფაბრიკის მუშებისათვის მისაცემი ხელფასი და აგრეთვე ფაბრიკისათვის შეძენილ მოწყობილობათა მომწოდებლებისათვის გადაუხდელი 2.000 მან.; რომ მეიცნერი საერთოდ ვერ აღმოჩნდა სათანადო სიცხიზლის ადამიანი; რომ მას არაფერი გაეგება საერთოდ მაუდის ფაბრიკის საქმისა და რომ კიდევაც მიეცეს მას ხსენებული 13.000 მან., მაინც არ არის იმედი მის მიერ საქმის ბოლომდე მიყვანისა. ამის შემდეგ ნამესტნიკმა ფაბრიკის საქმე მოსათვებლად მიანდო ილია შევიჩის, რომელსაც 1853 წ. განმავლობაში მისცა ამისათვის გამოთხოვილი 13.000 მანეთი.

1853 წ. მიწურულს მ. ვორონცოვმა იმპერატორისაგან გამოითხოვა, რათა ფაბრიკისათვის, რომლის მოწყობა ძირითადში უკვე დამთავრებული იყო, მიენიჭებინათ პრივილეგია 10 წლის განმავლობაში მიეწოდებინა მუქი, მწვანე და შავი მაუდი ყოველწლიურად 90.000 არშინის რაოდენობით ა/კავკასიაში მყოფი ჯარების შესამოსად, გარკვეულ ვადებში და ყოველწლიურად, — შიდა რუსეთში არმიისა და ფლოტისათვის და აგრეთვე ტფილისში კავკასიის ცალკე კორპუსისათვის მისაწოდებელ მაუდშე დადგენილ ფასებში.

მაგრამ, როგორც ცნობილია, სულ სხვა შეხედულების იყო რუსეთის მეფიაბრიკეთა ინტერესების ერთგული დარაჯი ფინანსთა მინისტრი, რომელიც წინალუდგა სოფ. დრეში აშენებული მაუდის ფაბრიკისათვის ამგვარი უპირატესობის მინიჭებას, რადგან: „ეს ზარალს მიაყენებდა შიდა (რუსეთის) გუბერნიებში არსებულ ფაბრიკებს, რომლებიც

¹ გასაგებია, რომ მეიცნერმა მიღებული 23.600 მანეთიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოახმარა ამ საქმეს, — დანარჩენი კი მიითვისა.

ამზადებენ არმიისათვის მაუდს, მით უმეტეს რომ ხსენებულ 1854 წელს ა/კავკასიაში მყოფი ჯარის მომარავება ტანისამოსით გაცემულია იჯარით შიდა გუბერნიების ფაბრიკებისათვის“. ცენტ-რალურმა ხელისუფლებამ კითხვის ნიშნის ქვეშ დასვა ისიც, შეიძლებოდა თუ არა დრეს მაუდის ფაბრიკისათვის მიეცათ ნება შემდგომი წლიდან მაინც ჩაბმულიყო არმიისათვის მაუდის მიმწოდებელ შიდა რუსეთის მაუდის ფაბრიკებთან კონკურენციაში.

1854 წ. დასასრულისათვის ილიაშვილის თაოსნობით დრეს ფაბრიკის მოწყობა სავსებით დამთავრდა ზემოთ მოყვანილი გეგმის მიხედვით; მაგრამ რაღანაც მან ვერ მიიღო შესაძლებლობა თავისი ნაწარმოები მიეწოდებინა არმიისათვის, და, ამგვარად, მიეღო არსებობის წყარო, დათხოვნილ იქნენ მუშები, გარდა იმათი, რომლებიც აუცილებელი იყვნენ იმისათვის, რათა ფაბრიკას სავსებით არ შეეწყვიტა მოქმედება. არმიიდან შეკვეთებს, და, მაშასადამე. აგანსებს მოკლებულ ფაბრიკას საბრუნავი კაპიტალი არ გააჩნდა, რის გამოც მას მხოლოდ საკოდავი არსებობის გაგრძელება თუ შეეძლო.

1854 წ. ბოლოს ფაბრიკამ დაამთავრა პრეტურა და დაჩითვა-გამზადება 1853 წელს მოქსოვილი მაუდისა და ბაზარზე გაიტანა თავისი პირველი პროდუქცია, რომელიც დაბალი ხარისხისა იყო; — რაღან 1853 წ. მოქსოვილი მაუდი პრესისა და კარდის გვიან მიღების გამო საბოლოოდ დაამზადა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, რა ხნის განმავლობაშიაც ერთად დალაგებული მაუდი თავის სიმხურვალემ და თაგვებმა საქმიოდ გააფუჭა.

1854 წლის გასულს ფინანსთა მინისტრი იტყობინება, რომ მან დრეს მაუდის ფაბრიკა 1855 წლის არმიისათვის მაუდის მიმწოდებელ ფაბრიკათა რიცხვში არ შეიტანა; მიზეზად ასახელებდა ფორმალური ხასიათის დაბრკოლებებს: არ ჰქონდა მიღებული დახასიათება აქაური ფაბრიკის წარმოების ხარისხისა და რაოდენობის შესახებ. ამგვარად, ყოველმხრივ შევიწროებული ფაბრიკის ხარჯების დასაფარავად ნამესტნიკის კანცელარიამ 1855 წ. დასაწყისს გასცა კიდევ 500 მანეთი.

ფაბრიკა ამზადებდა უხეშ მაუდს, რაც ვარგოდა მხოლოდ ზამთრის ტანისამოსისათვის, რის გამოც ზაფხულის დამდეგიდან ტფილისის ბაზრებზე შესწყდა ამ მაუდის გასალება. 1855 წ. თებერვალს ფაბრიკის მიერ ტფილისში გასაყიდად მოჟანილი 500 მანეთის საქონელი არ გაიყიდა. ამავე დროს ფაბრიკის საწყობში კიდევ ელაგა 1000 მან. საქონელი, ხოლო ფაბრიკის გალი 15 თებერვალს უდრიდა 2487 მანეთს. ეს იყო გადაუხდელი ხელფასი და სხ. მარტის გასულს ილიაშვილმა ეს თანხა მიიღო ისევ ხაზინიდან. 1855 წლის 15 თებერვალს დათხოვნილ

იქნენ დარჩენილი მუშებიც და დარჩა მხოლოდ 1 ძაფის გამომყვანი
(равнительник), 2 ფეიქარი, ერთი მეთვალყურე და ორი შავი მუშავის
ესენი საბოლოოდ ამთავრებენ აქამდე მოქსოვილი მაუდის დამზადე-
ბის უკანასკნელ სტადიებს.

(აღსანიშნავია, რომ 1854 წ. მიწურულიდან, როდესაც ფაბრიკა
შედარებით კარგი მომავლის იმედით საზრდოობდა, დაიწყო ტფილის-
ში წებოზე და სამლებრო მასალებზე ფასების აწევა).

ამის შემდეგ მთავრობა კვლავ შეუდგა ძებნას ქერძო პირისა,
რომელიც ხელს მოკიდებდა ამ ფაბრიკას, მაგრამ ამაოდ; აქ ვაჭრობაში
დაბანდებული კაპიტალი ბევრად უფრო მეტ სარგებელს უქადდა
თაოსნიან მესარეწეებს. გვენ. მურავიოვი თუმცა შეეცადა 1856 წ. ისევ
აემოძრავებინა ეს ფაბრიკა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია.

შემდეგ კავკასიის ნამესტნიკად დანიშნულ თავ. ბარია ტინსკის
დროს გამოჩნდა ფრანგი ვაჭარი რიშონიე, რომელმაც სათანადო
ხელისუფლებასთან დადებული ხელშეკრულებით იყისრა ქარხნის ამუ-
შავება. რიშონიეს, გარდა მაუდის კეთებისა, ხელი უნდა მიეყო მატ-
ულის დახარისხებისა და რეცხვისათვისაც.

რიშონიემ, მსგავსად მისი წინამორბედისა, მოახერხა ხაზინიდან
სესხად მიღება 12.500 მანეთისა და სულ მალე, „აითვისა“ რა ეს
თანხა, საქმე „საერთოდ განუხორციელებელ წამოწყებად“ გამოაც-
ხადა. 1860 წელს ს. დრეს ფაბრიკა საბოლოოდ დაიხურა. ფაბრიკის
იარაღ-მანქანები და მოწყობილობანი გადმოტანილ იქნა ტფილისში¹.

თითქმის ასეთივე ისტორია აქვს, სხვა მრავალთა შორის, ამავე
ხანებში ნიდერლანდელ დეფურუს მიერ ქ. ქუთაისში დაარსებულ
აბრეშუმის ძაფის ამოსახვევ „ქარხანასაც“. გოხშტრაზერისა და
კომპ. მიერ ორპირში (სამეცნიეროში) დაარსებული აბრეშუმის ძაფის
ამოსახვევი ფაბრიკის შესახებ-კი სხვა დროს გვექნება მსჯელობა.

1937. IV. 12.

¹ საქართველოსა და ა/კავკასიაში მანუფაქტურული წარმოების ისტორიისა-
თვის არსებული ძირითადი წყაროები ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია. წინამდებარე
ნარკვევის წერისას ვემყარებოდით უმთავრესად საქ. ცენტრ. საარქივო სამმართ-
ვლოს მთავარ ისტორიულ არქივში დაცულ ფონდებს: I. ф. ОВД, დ. №№ 54,
55, 56, 57, 58, 59, 60; 1827—1839 გრ. լ. 32+363+273+180+48+23+111;
II. ф. КТВГ. დ. №№ 218, 231, 1830—1831 გრ.; III. ф. КГУГ დ. № 1737,
1827 გ. ლ. 235; IV. ф. ККН, დ. № 469/648, 1849—1870 გ.გ.; აგრეთვე კან-
კასიის არქეოგრაფიული კომისიის მასალებსაც. გამოქვეყნებული წყაროებიდან ალ-
სანიშნავია: „Акты Кавказской Археографической Комиссии“ т. I—XII,
1866—1904 გг.

შინამრეწველობა ა/კავკასიაში

(ექონომიური ეტიუდი)

შინამრეწველობა ანუ საოჯახო მრეწველობა წარმოადგენს გადა-
 მუშავებითი მრეწველობის ისეთ ფორმას, რომელიც დამახასიათებე-
 ლია ნატურალური მეურნეობისათვის, რომლის ნაშთებიც ყოველთვის
 მოიპოვება კაპიტალისტური ურთიერთობის წიაღში, სადაც-კი არსე-
 ბობს წვრილი გლეხობა. საოჯახო მრეწველობად იწოდება „ნედლი
 მასალის გადამუშავება იმავე მეურნეობაში (გლეხის ოჯახში), რომე-
 ლიც მას მოიპოვებს¹“. შინამრეწველობა მიწათმოქმედებილან არ არის
 გამოყოფილი და უკანასკნელთან ერთად შეადგენს ერთ მთელს.

გლეხის ხელი იმთავითვე ათას რამებზე ცოდვილობდა. გლეხი,
 თავისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობით, ძველი დროი-
 დანვე ყველაფრის „ხელოსანი“ უნდა ყოფილიყო და სწორედ ამიტომ
 იშვიათად ხდებოდა რაიმეს ოსტატი. განსაკუთრებით ზამთრობით,
 მიწათმოქმედებითი სამუშაოებილან თავისუფალ დროს გლეხი ანდო-
 მებდა მისსავე მეურნეობაში მოპოვებული ნედლი მასალის ტექნიკურ
 გაზამუშავებას. როგორც წესი, მთელი ოჯახის სახმარი პროდუქტების
 უმნიშვნელოვანესი ნაწილი მაინც, თუ ყველა არა, გლეხისავე ოჯახ-
 ში და ამავე ოჯახის წევრთა მიერ უნდა ყოფილიყო წარმოებული.

მაგრამ საკუთარ მოთხოვნილებათა დასაქმაყოფილებლად წარ-
 მოებულ პროდუქტთაგან თანდათან გამოეყოფა რამდენიმე, უფრო
 ხშირად ერთი, პროდუქტი, რომელსაც გლეხი აწარმოებს აგრეთვე
 საბატონო, საეკლესიო, სახელმწიფო და სხვ. ბეგარების გადასახდე-
 ლად და სხვა, მისსავე მეურნეობაში მოუპოვებელ, პროდუქტებზე
 გადასაცვლელად. გაცვლა-გამოცვლის, კავშირგაბმულობის, საქალაქო
 ცხოვრების განვითარების პროცესში, როდესაც ხსენებული ნატურა-
 ლური ბეგარები ფულად ფორმას ღებულობს, გლეხი ან საშოგარზე უნდა
 გავიდეს, ანდა ძველებურად თავისსავე ოჯახში მოპოვებული ნედლი
 მასალა გადამუშაოს, რათა უკვე წარმოქმნილ ბაზარზე ამ პროდუ-

¹ Ленин, „Сочинения“ III, 254.

ქტის გაყიდვიდან მოგებული ფულით გადაიხადოს უკვე კომუნისტული ქმნილი ბეგარები. ამგვარი, ან დაახლოებით ამგვარი, პროცესის მეოხებით გლეხი ხდება შინამრეწველი, რომელიც, ბაზარზე რეალიზაციის მიზნით, ეწვა ამა თუ იმ ნედლი მასალის გადამუშავებას; შემდეგში იგი უფრო და უფრო ხელოვნდება და გარკვეულ წარმატებებს აღწევს ნაკეთობის კულტურაში.

როგორც ვხედავთ, შინამრეწველობის ბუნებრივ საფუძველს წარმოადგენს წარმოების პერიოდისა და სამუშაო დროის პერიოდის ერთომეორისაგან დაშორიშორება, როდესაც უკანასკნელი პერიოდი პირველის მხოლოდ ნაწილს შეადგენს. ასეთ პირობებში მიწათმოქმედების დამატების სახით წარმოიქმნება სოფლური დამხმარე მრეწველობა, რომელიც კაპიტალისტური თაოსნობის განვითარების პროცესში გადაიქცევა დასაყრდენად კაპიტალისტისათვის, იქ პირველად ვაჭრის სახით რომ შეიქრება.

ამ დროიდან ძეველებური შინამრეწველობა, ადრე თუ გვიან, ჰკარგავს დამოუკიდებელი გლეხური მეურნეობის ხასიათს; შინამრეწველი თავისსავე მეურნეობაში მოპოვებული მასალიდან გადადის ბაზარზე ნაყიდ ანდა ვაჭარ-შემსყიდველის მასალის დამუშავებაზე. ვაჭარი საბოლოოდ იმორჩილებს შინამრეწველს, რომელიც დაყავს დაქირავებული მუშის და კიდევ უფრო უარეს მდგომარეობამდე.

ჩვენ ვლებულობთ კაპიტალისტურ შინამრეწველობას, რომელიც მუშაობს ბაზრისათვის, — საქონლის მწარმოებელია¹. ამგვარ შინამრეწველთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება მოწყვეტილი იყოს მიწათმოქმედებას; მათ უკვე არ ეკუთვნით არც შრომის იარაღები და არც თავიანთი შრომის პროდუქტი. შემოსავალი „წვრილი მიწათმოქმედ - შინამრეწველისა, რომელსაც დიქირავებული მუშები არა ჰყავს — დაქირავებული მუშის ხელფასზე დიდი კი არა, ხშირად მასზე მცირეა“².

მეორე მხრივ, შეძლებული შინამრეწველი ააშკარავებს კულაქურ ტენდენციას; ეწევა მეზობელი გლეხის ექსპლოატაციას; იგი სარგებლობს თავისი ოჯახის წევრთა მრავალრიცხვანობითაც, რაც ხელს უწყობს წარმოების უფრო ფართე ნიაღაგზე დაყენებას, რათა უფრო მეტად გამოიყენოს დაქირავებული შრომა. ამ ნიადაგზე „საოჯახო კომპერაცია“ ხშირად ხდება საწინდარი კაპიტალისტური მარტივი კომპერაციის განვითარებისა.

¹ იხ. ქ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. I, ტფ. 1930, 408—425; ტ. II, 200—206.

² ლენინ, „Сочинения“, II, 1935, 225; ქართ. გამოც. 1928 ტფ. ტ. II, 329.

ამგვარი შინამრეწველობა, რაკი იგი წარმოიშობა, უკვე ნამდევის ლად კაპიტალისტური წარმოებაა, თუმცა მოკლებულია მანქანებს და დამყარებულია ხელით შრომაზე და თანაც არ არის (ან შეიძლება იყოს) შოწვეტილი მიწათმოქმედებას. ლენინმა რუსეთში შინამრეწველობის განვითარებისა და მეურნეული ორგანიზაციის შესწავლის საფუძველზე მოგვცა ბრწყინვალე დახასიათება თუ როგორ წარმოიშობა მეურნეობის ნატურალური ფორმების საფუძველზე კაპიტალიზმი; სახელმობრ, თუ როგორ იქცევა კაპიტალად კერძო პირთა ხელში თავმოყრილი „მონაგარი“, რომელიც სავაჭრო კაპიტალის სახით ხელთ იგდებს შინამრეწველთა პროდუქციის ჩატარებისას შორეულ ბაზრებზე, იმორჩილებს მწარმოებელთა მასებს, ქმნის კაპიტალისტურ მანუფაქტურას, კაპიტალისტურ საოჯახო სისტემას მსხვილი წარმოებისა, და, ბოლოს, ბაზრის გაფართოებისა, კონკურენციის გაძლიერებისა და ტექნიკის გაუმჯობესების პროცესში, იქცევა სამრეწველო კაპიტალად, აყალიბებს მსხვილ მანქანურ წარმოებას¹.

* * *

საქართველოსა და ა/კავკასიაში წვრილ სარეწავთა ზრდა, რომელიც გამოხატავდა პირველდაწყებით ნაბიჯებს კაპიტალიზმის განვითარებისას, უმთავრესად ორი სახით გვევლინებოდა: 1. ცენტრალური რუსეთის ეკონომიტურად დაწინაურებული გუბერნიებიდან წვრილ მრეწველთა და ხელოსანთა გადმოსახლების და 2. ახალი წვრილი ხარეწავების წარმოქმნისა და ადგილობრივ მკვიდრთა შორის წინა-თაც ახალი ხარეწავთა გაფართოების გზით.

ქვემოთ, განვიხილავთ რა ჩვენში შინამრეწველობის განვითარებას კონკრეტულ მასალათა საფუძველზე, დავრწმუნდებით ამ დებულების სისტორიუში.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ათეულ წლებში მთელ ეკონომიურ ცხოვრებასთან ერთად ნატურალური მეურნეობის დამახასიათებელი შინამრეწველობაც მეტად დაცემული იყო. ოჯახი მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილებისათვის ეწეოდა სათანადო ნედლეულის გადამუშავებას და მხოლოდ უმნიშვნელო ზომით აკეთებდა მას გადასაცვლელად, — ისეთ პროდუქტებზე, რომელთა წარმოება ადგილობრივად არ შეიძლებოდა, — ანდა სახელმწიფო თუ საბატონო ნატურალური ბეგარების გადასახდელად.

რეფორმამდელ პერიოდში ა/კავკასიის ზოგიერთ მთიელ ტომთა (მაგ. აფხაზთა) „ზედაფენებს“ სირცხვილად მიაჩნდათ რაიმე სასა-

¹ იხ. Ленин, „Сочинения“, I, 127—128.



რეწაო ხელოსნობისათვის ხელის მოკიდება. ისინი უფრო მხედველობის რული მოსახვეჭელით იყვნენ გატაცებული და აღამიანთა წარტყვევნა. და მეკობრეობა უფრო სასახლო საქმედ მიაჩნდათ. მაგრამ თარე-შების თანდათანმა აღკვეთამ, გაცვლის, მიმოსვლის და კავშირგაბმუ-ლობის, ახალ მოთხოვნილებათა და „მშეიღობიანი“ ცხოვრების გან-ვითარებამ, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ელემენტებმა, რომლებიც მძლავრად მოაბიჯებდნენ, ეს ხალხები ჩაითრია თავის ორომ-ტრიალში და თოფისა, ხმლისა და სატევრის ნაცვლად ხელ-ში თოხი, ჩაქუჩი, ნამგალი, თითისტარი და სოფლის მეურნეობისა. და ხელოსნობის სხვადასხვა იარაღები ააღებინა.

* * *

ა/კავკასიაში განვითარებულ შინამრეწველობის სხვადასხვა დარგ-თა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს საფეიქ-რო მრეწველობას, სხვადასხვაგვარი შალეულის, აბრეშუმეულის, ნოხების, ფარდაგების წარმოებას; აგრეთვე ქარგვას, ქორვას და სხვ.

ა/კავკასიის სხვადასხვა რაიონებში შინამრეწველობის სხვადა-სხვა სახეთა განვითარებაში გარკვეულ როლს თამაშობდა ბუნებრივ-კლიმატური პირობები და მის ნიადაგზე გაშლილი სოფლის მეურნეო-ბის ძირითადი დარგები. მაგ., მთიან და იმ რაიონებში, სადაც განვი-თარებულია მეჯოგეობა უფრო მისდევენ მატყლის შინამრეწველურ გადამუშავებას, ხოლო ბარში, მიწათმოქმედების რაიონებში — აბრე-შუმის, ბამბის და სხვ. ბოჭქოვან მცენარეთა (სელი, კანაფი) გადა-მუშავებას.

შალეულის შინამრეწველობა უშუალო კავშირშია მეცხვარეობას-თან. მსოფლიო ომის წინა წლებში ა/კავკასიიდან ყოველწლივ გაქონ-დათ დაახლოებით 250—275 ათასი ფუთი მატყლი, ეს იყო მხოლოდ 30% მთელი წარმოებისა; ე. ი. დაახლოებით 600—625 ათასი ფუთი მატყლის გადამუშავება აქვე ხდება შინამრეწველთა მიერ.

მაგრამ უფრო აღრე, სახელდობრ 70-იან წლებაშედე გასული საუ-კუნისა, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აგრეთვე აქლების მატყლი, რისგანაც შინამრეწველნი აკეთებდნენ საუკეთესო ხარისხის მაუდს. ამ დრომდე თითქმის მთელი ტვირთბრუნვა ტფილისი-ბაქო-დერ-ბენტი-ასტრახანი, ტფილისი-ჯულფა-თავრიზი და მერე თვით ინდო-ეთამდე წარმოებდა უმთავრესად აქლემთა ქარავნებით, მაგრამ სარ-კინისგზო ტრანსპორტის განვითარებას მოჰყვა მეაქლემების დაცემა. და ამასთანავე ერთად აქლების მატყლის გადამუშავებელი შინა-მრეწველობაც, — დაპკარგა რა ნედლეული (იქლების მატყლი), — უნდა-

თუ რამდენად ფართე ხასიათს ატარებდა ჩვენში ეს „შინამრეწველობა, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ სოფლის მოსახლეობის (გლეხობის) უდიდესი უმრავლესობა შემოსილი იყო „შინაური შალით“. ფართოდ იყო აგრეთვე გავრცელებული ნოხები, ფარდაგები, ხალიჩები. რაც შეეხება ყაბალას, ნაბადს, ხურჯის, მაფრაშას, ესენი ხომ მთლიანად შინამრეწველური ნაკეთობისა მოიხმარებოდა ჩვენში.

განვიხილოთ მატყლის გადამუშავებაზე დამყარებული შინამრეწველობის მთავარი სახეები.

ჩულის წარმოება შინამრეწველობის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და უმარტივესი დარგია, რომელიც განვითარებული მეჯოგეობის მიმდევარ ა/კავკასიელ ტომთა შორის. მეჩულეობის პროდუქტებია: ქეჩა, ნაბაღი, სხვადასხვა ფერისა და ფორმის ნაბდის ქუდი და სხვა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ნაბდის წარმოება. ნაბადი მთელ ა/კავკასიაში ფრიად გავრცელებული წამოსასხამია, მაგრამ იგი კავკასიაში სამხედრო ამუნიციის ობიექტებაც წარმოადგენდა.

ნაბდის წარმოების განვითარების მაგალითზე შეიძლება თვალი გაფალებნოთ ა/კავკასიაში შინამრეწველობის საფუძველზე. ფაბრიკის წარმოშობის პროცესს. მსხვილმა შემსყიდველმა გ. ადელხანოვმა 90-იანი წლების დასაწყისში გაითვალისწინა რა ნაბაღზე არსებული დიდი მოთხოვნილება, ხელი მოკიდა მისი მასიური წარმოების ორგანიზებას, რა ნიადაგზედაც ტფილისში წარმოიქმნა აქციონერული საზოგადოება, რომელმაც გახსნა ჩულეულის ფაბრიკა. ამ ფაბრიკას, რომელიც უმთავრესად ქაზახთა ჯარებისათვის ნაბდის მიწოდებაზე იყო დამყარებული — შეეძლო წლიურად 100.000 ნაბდის წარმოება.

ა/კავკასიაში ჩულეულის, კერძოდ ნაბდების, შინამრეწველურ წარმოებას მისდევდნენ ქუთასისი, სენაკის და ზუგდიდის მაზრებში, სადაც ხდებოდა უმთავრესად შესყიდული (მოტანილი) მატყლის გადამუშავება. მაგრამ ნაბდის წარმოება განსაკუთრებით განვითარებული იყო ყაბარდოელთა, დალისტნელთა და ჩაჩანთა შორის.

მასური ხასიათისა იყო ნაბდის ქუდის წარმოება. ა/კავკასიაში უმთავრესად ნაბდის სამგვარი ქუდი იწარმოება: ე. წ. ტეტიური თიანეთისა და დუშეთის მაზრებში, მეგრული და სვანური. თვისებით ამ ქუდების მასალა დიდად ემსგავსება კასტორს. შინამრეწველობის ეს პროდუქტია სცილდებოდა სარაიონო ბაზრებს და იგი შესამჩნევი რაოდენობით გაქონდათ საქართველოდან, როგორც ა/კავკასიის, ისე იმიერ-კავკასიისა და რუსეთის, განსაკუთრებით სააგარაკო, 4. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის—პ. გუგუშვილი.

ბაზრებზედაც. ხოლო ნედლეულს (მატყლს), მაგ., სვანები იძნენ ნენ
თერგისა და ყუბანის ოლქში, სადაც თავის მხრივ გადასაცვლელად
ზურგით მიქონდათ სვანური ხელობის კალათები, არაყი, ჩირი, თაფ-
ლი და სხვ. თიანეთის მაზრაში, სადაც ნაბღის ქუდის დამზადებას
უკვე 80-იანი წლებიდან მიეკა საბაზრო წარმოების ხასიათი, ერთი
შინამრეწველი წლიურად საშუალოდ ამზადებდა 400-მდე ქუდის, საი-
დანაც ოჯახს წმინდა შემოსავლის სახით რჩებოდა არა ნაკლებ 32
მანეთისა.

შალის. შინამრეწველობა განსაკუთრებით გავრცელებული იყო
რაჭის, ქუთაისის, სენაკის, ზუგდიდის, ახალციხის, ახალქალაქის,
გუმბრის, ახალ-ბაიაზეთის, ნახიჭევანის, ყაზახის, შუშის, ზანგეზურის,
ყუბის, შამახის, გეოგჟიას მაზრებში და ოსეტში.

როგორც საერთოდ შინამრეწველობის თანდათანი განვითარების,
ისე კერძოდ შალეულის შინამრეწველობის შესახებ სტატისტიკური
ცნობები არ მოგვეპოვება. მხოლოდ 1912 წელს მოხდა პირველად
საცდელი აღწერა ქუთაისის მაზრაში შალის შინამრეწველობისა. ამ
აღწერით ირკვევა, რომ მთელ მაზრაში შალის წარმოებას მისდევ-
დნენ 37 თემში, სულ 6.574 შინამრეწველი, რაც მაზრის მთელი მოსა-
ხლეობის 3,7% შეადგენდა. ასევე უნდა ყოფილიყო, დაახლოებით, ეს
შინამრეწველობა გაფრცელებული ქუთაისის გუბერნიის სხვა მაზრებ-
შიაც, სადაც იგი მიწათმოქმედების დამატებას წარმოადგენდა. ამა-
ვე ხანებში მთელ ა/კავკასიაში წლიურად შალის შინამრეწველური
წარმოების ლირებულებას ანგარიშობდნენ დაახლოებით 3—3,5 მი-
ლიონ მანეთამდე.

ზოგიერთ (მაგ.: თიანეთის, გორის, ახალციხის) მაზრებში შალს
გარდა ქსოვლენენ წინდას, ხელთათმანს, პაიჭის, ზონარს, აპეურს, ჩი-
თას, თათს (ფეხსაცმელია), ქალის მოსახამ შალს, პირბადეს, ყაბა-
ლას, ტომაზას. აქვე უნდა მოვიხსენიოთ თხის ან აქლემის ლინლ-
ლისაგან ქსოვა თივთიკისა, რომელიც ძეირად ფასობდა და კარ-
გადაც იყო განვითარებული, მაგრამ 80-იანი წლებიდან აქლემებთან
ერთად თივთიკის წარმოებაც გაქრა. შალის შინამრეწველობა ოჯახს
წლიურად აძლევდა დაახლოებით 25 გან. წმინდა შემოსაგალს.

ნონის შინამრეწველობა ფართედ იყო გავრცელებული ა/კავკა-
სიაში, მაგრამ განსაკუთრებით დაწინაურებული იყო ამ მხრივ ბაქოს
გუბერნია, კერძოდ ყუბის მაზრა, სადაც 1912 წ. აღწერის მიხედვით
მთელი 111 სოფლიდან მენოხეობას მისდევდა 97, სახელდობრ 39.979
შინამრეწველი, რომელიც მთელი მაზრის მოსახლეობის 22,7%, და
საერთოდ შინამრეწველთა 80,5% შეადგენდნენ. ყუბელი შინამრეწ-
ველი მთელ ა/კავკასიაში განირჩეოდნენ დახელოვნებით და წარმოე-
50

ზის უმჯობესი ტექნიკით, რის გამოც მათი ნაწარმოებიც საუკეთესო
ხარისხისა იყო. შემდეგი ადგილი ეჭირა ბაქოს და ჯევათის მაზრებში,
საღაც ამ სარეწავს მისდევდა მთელი მოსახლეობის $14,4\%$, ხოლო
მთელ შინამრეწველთა $84,4\%$. მენოხეობა ფართედ იყო გავრცელე-
ბული აგრეთვე შამახისა და ლენქორანის მაზრაში. ლენქორანის მაზ-
რაში ამზადებდნენ აგრეთვე ჯეჯიმს, ხურჯინს და მაფრაშას.

განჯის გუბერნიაში მენოხეობა კველაზე უფრო გავრცელებული
იყო შუშის, ჯევანშირის, კარიაგინისა და ზანგეზურის მაზრებში. საერ-
თოდ ყარაბახის ყოფილი სახანოს პროვინციები ძველიდანვე განთქ-
მული იყო მაღალი გემოვნების მხატვრული ნოხებით, რომელიც
ბლობად გაქონდათ რუსეთის, დას. ევროპის და აზიის ბაზრებზე
შუშელ ვაჭარ-შემსყიდველებს, რომელთაც ადრიდანვე ფართო ნიადაგ-
ზე ჰქონდათ დაყენებული ნოხების რეალიზაციის საქმე. კერძოდ,
ქ. შუშა იყო ცენტრი ყარაბახული ნოხების როგორც შარმოების,
ისე გასალებისა. შუშელ ვაჭრებმა ასევე ადრე მოიტანეს აქ ანილი-
ნის სალებავები და უცხოური, ევროპული, გემოვნების ფერად-ხატები,
რამაც განდევნა რა ადგილობრივი მცენარეული სალებავები ამითვე,
საბოლოო ანგარიშში, გამოიწვია აქ დაცემა ნოხის წარმოებისა: ძე-
ლებური, ადგილობრივი მცენარეული სალებავი ათეულ და ასეულ
წლობით ინარჩუნებდნენ თავიანთ ფერად-ხატებს, ხოლო ქიმური
სალებავები მაღე (2 – 3 წ.) ხუნდებოდა, — რაც 1890-იანი წლე-
ბიდან შეიქნა ყარაბახულ ნოხზე მოთხოვნილების დაცემის ერთერთი
მთავარი მიზეზი.

ყარაბახში აწარმოებდნენ როგორც ნოხს ისე ფარდაგს, ჯეჯიმს,
ხურჯინს, მაფრაშას და სხვ.; განჯის მაზრაში მენოხეობა თუმცა უფრო
დაბალ დონეზე იდგა, მაგრამ ფართედ იყო გავრცელებული. 1909 წ.
ცნობით აქ მთელი მოსახლეობის $48,22\%$, ხოლო შინამრეწველთა
 $55,92\%$ მისდევდა მენოხეობას თავისი მხატვრული გემოვნებით გან-
საკუთრებული ადგილი ეჭირა ყაზახის მაზრის ნოხს, რომელსაც ძალი-
ან უახლოვდებოდა ბორჩალოს და ყარაიაზის ნოხიც. ახალციხისა
და ახალქალაქის მაზრებში შედარებით ნაკლებად იყო ნოხის წარ-
მოება გავრცელებული.

ერევნის გუბერნიაში ნოხის წარმოებას მისდევდნენ ქურთები, რომ-
ლებიც ამზადებდნენ ფარდაგებს ორიგინალური ფერადებით. ეს ფარ-
დაგები იხმარებოდა განსაკუთრებით პორტიკებად. ქურთები, თუმ-
ცა ნაკლებად, აწარმოებდნენ ნოხებსაც.

1908/9 წ. ცნობით ყუბის მაზრაში მენოხეობის შინამრეწვე-
ლობა გლეხის ოჯახს აძლევდა მთელი მისი წმინდა შემოსავლის $40,9\%$,
ხურმალინის, ეჭმიაწინის და გუმბრის მაზრის ქურთთა მოსახლეობას



— 31%, შუშის, ზანგეზურის, ჯევანშირის და კარიაგინის მაზრების შინამრეწველ-გლეხობას — 38%. ამგვარად, ჩევნ ვხედავთ, რომ ნოხის შინამრეწველობა, მისი გავრცელების რაიონებში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს და ზოგან იგი უკვე, ან თითქმის უკვე, გადაცილებულია დაშატებითი სარეწავის მდგომარეობას, ამდენადვე, შინამრეწველის არსებობის ძირითად წყაროდაა გადაქცეული. ამ რაიონებში შინამრეწველობამ ჯერ კიდევ 80—90-იანი წლებიდან მიიღო ხასიათი საოჯახო კაპიტალის ფური სარეწავისა, სადაც ვაჭარ-შემსყიდველის (სავაჭრო კაპიტალის) მიერ შინამრეწველი უკვე საბოლოოდ დაყვანილია დაქირავებული მუშის მდგომარეობამდე, რომელსაც შემსყიდველი თავის კაბალში იგდებს მევანშეობის მეოხებითაც.

მსოფლიო ომის წინაწლებში ა/კავკასიის შესაბამ რაიონებში მთელი მოსახლეობის 10% ჩამოჟღვილი იყო ნოხის შინამრეწველურ წარმოებაში. ამ შინამრეწველთა საშუალო წლიურ შემოსავალს (ხელფასს) ვარაუდობდნენ 3,8 მილ. მანეთამდე, ხოლო პროდუქციის ღირებულებას კი — 9,5 მილ. მანეთამდე. მთელი ამ პროდუქციის 50%-მდე მოიხმარებოდა ა/კავკასიაშივე, ხოლო დანარჩენი გაქონდათ რუსეთსა და საზღვარგარეთ, სადაც ა/კავკასიის ნოხებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან კონკურენციას უწევდა ირანული და მცირეაზის ნოხები, რომელთა რეალიზაცია ფართო ნიადაგზე ჰქონდათ ორგანიზებული ინგლისელ და გერმანელ მსხვილ ვაჭარ-ექსპორტერებს.

აბრეშუმის ქსოვილები ა/კავკასიაში მზადდებოდა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში. მაგრამ იგი უმთავრესად საკუთარი, საოჯახო მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად იყო განკუთვნილი. მე-19 საუკ-20-იანი და 30-იანი წლებიდან მას უკვე საქმაო ზომით მიეცა საბაზრო წარმოების ხასიათი, ხოლო 40—50-იან წლებიდან აბრეშუმის ფეიქ-რობა უკვე შეიქნა ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე და მნიშვნელოვანი დარგი შინამრეწველობისა. მაგრამ 50—60-იან წლებიდან, როდესაც საფრანგეთსა და იტალიაში აბრეშუმის ჭიის ავალმყოფობის გაჩენის მეოხებით, ა/კავკასიის აბრეშუმის პარკი და ნართი გადაიქცა უპირატესად საქაბორტო საქონლად, იდგილობრივ შინამრეწველობას გადასამუშავებლად რჩება ექსპორტერთაგან დაწუნებული, მდარე ხარისხის, აბრეშუმი; ამ გარემოებას ზედ დაერთო კონკურენცია აბრეშუმის ფაბრიკული ნაწარმოების მხრივ და ამ მოვლენებმა 70-იანი წლებიდან მოყოლებული გამოიწვიეს ა/კავკასიაში აბრეშუმის შინამრეწველობის ჩქარი ტემპით დაცემა, მით უფრო, რომ უკანასკნელი დამყარებული იყო პრიმიტიულ ტექნიკაზე და არ იცნობდა

შრომის დანაწილებას. ჩვენში, მაგ., დას. საქართველოში, ერთი დღე იგივე ხელი (ქალისა), რომელიც მისდევდა აბრეშუმის კიის მოშენებას, იყო გარდა ამისა პარკიდან ძაფის ამომხვევები, მრთველი, ფეიქარი, მღებავი და შეძლებისამებრ იგივე ეწეოდა აპრეტურასაც.

აბრეშუმის შინამრეწველური ფეიქრობა განსაკუთრებით განვითარებული იყო თვით მეაბრეშუმების — შამახის, ნუხის, განჯის, შუშის, სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის, შორაპნის და სხვ.— მაზრებში.

გარდა მატყლისა და აბრეშუმის შინამრეწველური გადამუშავებისა, ა/კავკასიაში მეტნაკლები ზომით ცნობილი იყო აგრეთვე ბამბის, სელის, კანაფის გადამუშავებაც, მაგრამ შედარებით უმნიშვნელო ზომით და ძირითადში თვით საოჯახო მოხმარებისათვის წარმოებდა.

* * *

სამღებრო სარეწავი ერთ-ერთი ავტონდელი ფორმაა კაპიტალისტური შინამრეწველობისა. საფეიქრო შინამრეწველობასთან უახლოეს კავშირში მყოფი სამღებრო ხელოვნება, როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, ა/კავკასიაში ადრიდანვეა განვითარებული. იგი მე-18 საუკ. და უფრო ადრე ხშირად საექლესიო ანუ სამეფო ოჯახის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა¹. ლებედის წესები და სამღებრო მცენარეთა შერჩევა არ არაიშვითად შეადგენდა საგვარეულო საიდუმლოებას. კარგად შეღებილ შალეულს, ნოხს, აბრეშუმს და საერთოდ საფეიქრო ნაწარმოებს ყველგან და ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა.

სამღებრო მცენარეების, მაგ., ენდროს, მოყვანა დიდი ხნის წინეთაც ცნობილი იყო ა/კავკასიაში. მე-19 საუკ. 60-იან წლებში აქ (მაგ., ს. ლოჭინში) ჩნდება უკვე ენდროს პლანტაციები. ამავე დროს ენდრო ექსპორტის საგანიც იყო.

ლებედის სეზონი ჩვეულებრივ, რამდენადც იგი დამოკიდებულია სამღებრო მცენარეთა დამწიფებაზედაც, შემოგომის გასულს იწყება. მე-19 საუკ. 80—90-იანი წლებიდან ენდროს და სხვ. მცენარეულ საღებავებს ჩვენში უკვე სდევნის ქიმიური საღებავები. სანამ შინამრეწველობა დამყარებული იყო მცენარეულ საღებავებზე, იგი, მის სირთულესთან ერთად, კარგი ხარისხის პროდუქციას იძლეოდა. ქიმიური (ხელოვნური) საღებავების შემოსვლამ უარყოფითად იმოქმედა, მაგ., ნოხის კულტურაზე.

¹ ის. ნ. ბერძენიშვილი, „სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში“ (მსკი, ნაკვეთი VI, 1937).

სამღებროს შინასარეწავი თუმცა შრომის მეტისმეტად მძიმე 

ანტიჭიგიენურ პირობებთანაა დაკავშირებული, მაგრამ, შედარებით, უფრო მოსავლიანი დარგი იყო. იგი მე-19 საუკ., მაგ., საქართველოში უფრო მეტად მემამულეთა და ვაჭარ-მრეწველთა ხელში იყო, რომლებიც ეწეოდნენ, როგორც თვით სამღებროს მუშების (რეფორმამდე—ყმების, ხოლო შემდეგ „დროებით ვალდებულ“ გლეხთა და საშოვარზე გასულთა), ისე შინამრეწველ ფეიქართა ექსპლოატაციას. 80-იანი წლებიდან შინამრეწველურმა სამღებრომ ზოგიერთ მაზრებში უკვე მანუფაქტურული ხასიათი მიიღო.

* * *

ნის დამმუშავებელი შინამრეწველობის გავრცელება უმთავრესად ემთხვევა მეტყეობის რაიონებს. ჩვენი შინამრეწველი გლეხი ხისგან აკეთებდა მრავალგვარ ნაწარმს: სოფლის მურნეობის იარაღების (ცულის, ნამგლის, გუთნის, ცელის) ხის ნაწილებს, სალეჭს, თითის-ტარს, საჩეჩელს, ვარცლს, როფს, გეჯას, თაბახს, საწნეხელს, ურემს, ნიჩაბს, ქოშს, აკეანს, კოვზს, ავეჯეულობას და მრავალგვარ ჭურჭლეულს. ამათ გარდა განსაკუთრებით აღსანიშნავია მუსიკალური ინსტრუმენტების (ჩონგური და სხვ.) კეთება კახეთში, სამეგრელოში, იმერეთში.

მე-19 საუკ. 80-იანი წლებიდან ჩვენებური ღვინოების რუსეთის ბაზარზე გატანის გაფართოებამ გამოიწვია მექასრეობის განვითარება. კასრებს ქალაქებში ან მსხვილ მეცნახეთა მამულებში არსებულ სპეციალურ სახელოსნოებში აკეთებდნენ. ასეთი სახელოსნო ხშირად ატარებს ხასიათს მანუფაქტურული ტიპის სარეწავისა, რომელიც ღებულობს სოფლელ შინამრეწველთა მიერ მუხისა და წიფელისაგან გაკეთებულ საკასრე ტკეჩს (კლეპკა), მუხისას საღვინე კასრისათვის, ხოლო წიტლისას ციმბირის კარაქისათვის, რომელიც გაქონდათ ინგლისსა და დანიაში. ციმბირის კარაქის უცხოელი ექსპორტერები მოითხოვდნენ მაინცადამაინც წიტლის კასრებს და ზოგიერთი მათგანი სათანადო შეკვეთას იგზავნიდა საქართველოში, სადაც შინამრეწველურად შეადგებოდა საკასრე ტკეჩი და ამ სახით იგზავნებოდა საკასრე მანუფაქტურებში ან ქარხნებში. ამ შემთხვევაში ჩვენ, სხვათა შორის, საქმე გვაქმს წარმოების ორგანიზაციული ფორმის საინტერესო მოვლენასთან, სადაც შინამრეწველობა გადაქცეულია დამატებად მანუფაქტურის ან ქარხნისა, რომელიც დიდი მანძილითაა (კოლონიიდან მეტროპოლიამდე) პირველისაგან დაშორებული.

საკასრე ტკეჩები მზადდებოდა ნატანების, რიონის, მარელისის, მოლითის, წითას, სურამის, გომის, კასპის და სხვ. სარკინისგზზი სად გურთა მიღამოებში, საიდანაც, მაგ., 1909 წ. რკინის გზით გაგზავნილ იქნა 200.000 ფ., ხოლო 1912/13 წ. — 450.000 ფუთი საკასრე ტკეჩი. ეს ტკეჩი უზთავრესად გაქონდათ რუსეთში, ზავი ზღვის სანაპიროებიდან, ფოთის ნავთსაღგურით; მნიშვნელოვანი ზომით გაქონდათ აგრეთვე იფნის საკასრე ტკეჩი, ხოლო კახეთიდან მუხისა მიღილდა ტფილისის საკასრე სახელოსნოებში. ამგარად, როგორც ვხედავთ, საკასრე ტკეჩის შინამრეწველობა ხდება დამატება შიდა რუსეთის და ტფილისის საკასრე ქარხნებისა და მანუფაქტურებისა.

მოსახსენებელია აგრეთვე ყავრის წარმოება და მაგარი ჯიშის ხებისგან (ბზა, შინდი) სათუთუნის, კოვჭის, ჯოხის, შალაშინის ბუდის, ჩიბუხის და სხვ. წარმოება.

* * *

ხის გაღამმუშავებელ შინამრეწველობასთან ახლო კავშირშია სხვადასხვაგარი წნულების წარმოება, როგორიცაა მეტნაკლები ზომის კალათები, გოდრები, რომელთაც შინამრეწველი გლეხი ზამთრის პერიოდში აკეთებს ბაზრისათვის. შემდეგ ჩალისაგან დაწნული კალათები, ქუდები, ჭილობები და სხვ., რომლებიც ბლომად გაქონდათ ადგილობრივ ბაზრებზე, როგორც თვით მწარმოებელთ, ისე შემსყიდველ-ვაჭრებსაც. ჩალის წნული ღარიბი მოსახლეობის ფართო მოხმარების საგანს შეადგენდა.

შინამრეწველურ ფორმას ატარებდა აგრეთვე მენახშირეობა, რაც განსაკუთრებით იყო განვითარებული აღმ. საქართველოში (ციხის-ჯვარში, გლდანში, ბორჩალოში, ტფილისის მაზრაში); მეფისება, რისი განდევა მელვინეობიდან დაიწყო კასრების წარმოების განვითარების გავლენით, ხოლო მეთულუხეობიდან უკვე დიდი ხანია რაც სავსებით გაქრა როგორც კასრების შემოწრის, ისე განსაკუთრებით წყალსაღენების გაყვანის მეოხებით; რქისა და ძელის დამუშავება. ჯიხვის და სხ. ცხოველთა რქის ყანწებად დამუშავება და ოქრო-ვერცხლით მოჭედვა მეტად გავრცელებული იყო საქართველოში, მაგრამ რუსეთის ფაბრიკების ჭიქების შემოსვლასა და მოსახლეობის გემოვნებაში მომხდარ ცვლილებებს შედეგად მოყვა, როგორც ყანწების ისე რქის სავარცხლების წარმოების გამოდევნა, აგრეთვე ძელებისა და რქებისაგან ვერცხლით მოჭედილი საჩოხე მასრების მოხმარების, და მაშასადამე, წარმოების შეწყვეტაც — ევროპული კოსტიუმის გავრცელებით; ძუის დამუშავება; ქარგვა აბრეშუმით,

გერცხლით, ოქრომკედით, რაც საქართველოში ერთ დროს ფრიდუ
იყო განვითარებული და აქედან გატანილი უცხოეთის ბაზრზე
ძვირად ფასობდა, და, რაც გამოდევნა შემოტანილმა საფეიქრო ფაბ-
რიკების იაფ საქონელმა და გემოვნება-მოდებში მომხდარ ცვლი-
ლებებმა.

* * *

ლითონეულის შინამრეწველური გადამუშავება, სახელდობრ რკი-
ნისა და სპილენძის მაღნის მოპოება და გადამუშავება, მერე მათგან
სხვადასხვა იარაღისა და ჭურჭლეულის კეთება ა/კავკასიის ხალხებში,
კერძოდ საქართველოში, უძველესი დროიდანვე იყო განვითარებული¹.
მნიშვნელოვანი ზომით წარმოებდა აგრეთვე შემოტანილი რკინის
გადამუშავებაც. მე-19 საუკ. დასაწყისში ა/კავკასიაში რკინის შინა-
მრეწველურ მოპოებას აღვილი ჰქონდა ს. წედისში (რაჭაში), ს. ბაიანში
(განჯის მაზრაში) და სხვ.

კერძოდ ს. წედისში, 1826 წელს მომხდარი აღწერის თანახმად,
მოქმედებდა რკინის გამოსადნობი 19 ბრძმედი, რომლებიც მიაგავდნენ
ჩვეულებრივ სამჭედლო ქურებს. წედისური ბრძმედი იტევდა 1 ფუთ
მაღანს, საიდანაც შეიძლებოდა გამომდნარიყო 6 გირვანქა და მეტი
წმინდა რკინა. ბრძმედის ერთი დატვირთვის გამოდნობა გრძელდე-
ბოდა 6 საათამდე და მოითხოვდა 3,5 ფუთ ნახშირს. 1 ბრძმედშე
საჭირო იყო 3 მომუშავე: 1 ოსტატი და 2 შეგირდი (საბერველთან).
როგორც ვხედავთ, ამ სახით მიღებულ რკინაზე დიდი შრომა იხარ-
ჯებოდა, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს. თუ რამდენად ძვირი იყო
ჩვენში მაშინ რკინა.

წედისური რკინისგან აღვილობრივი და მეზობელ თემების მჭედ-
ლები აკეთებდნენ სამიწათმოქმედო იარაღებს (ცელს, დანას, ცულს,
ნამგალს, წალდს), აგრეთვე ხმალს, სატევარს და სხვ. როგორც მაღ-
ნის მოპოებას მაღაროებში (რომელთა სილრმე 1826 წელს ზოგან
15 საენამდე აღწევდა), ისე გამოდნობას რკინისა და მისგან ხსნე-
ბული იარაღების კეთებას ხშირად ერთიდაიგივე ადამიანი მისდევდა
და ყოველგვარი ოპერაციები დამყარებული იყო პრიმიტიულ იარა-
ღებზე.

ა/კავკასიაში ლითონთა შინამრეწველური დამუშავება აღწევდა
თვით თოვლების, დამბაჩების და რევოლვრების კეთებამდე, მაგრამ
50-იანი წლებიდან თვითმპურობელობამ ა/კავკასიის ხალხებს ცეცხლ-

¹ იხ. აკად. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, I, 1928
ტფ. გვ. 5—32.

მსროლელი იარაღების კეთება საერთოდ აუკრძალა — ამ ხალხთა (განსაკუთრებით მთიელთა) საბოლოოდ დაპყრობის და „დამშვიდებელ“ გაადვილების მიზნით. ამასთან ერთად შემოტანილ (ტულიდან, ბელგიიდან) ქარხნულ გაუმჯობესებულ და იაფ თოფებმა და რევოლუციებმა საბოლოოდ დასცა შინამრეწველობის ეს დარვი. ამის შემდეგ თოფ-იარაღის შინამრეწველო შეეძლოთ შარმოებინათ მხოლოდ ცივი იარაღები, რომელთა შორის განსაკუთრებით იყო განვითარებული სატევრებისა და ხმლების წარმოება, რასაც შესამჩნევი ზომით იცავდა ის გარემოებაც, რომ ისინი წარმოადგენდნენ აუცილებელ ატრიბუტს ადგილობრივი კოსტიუმისა (ჩოხისა). თუმცა მე-19 საუკ. ბოლოდან, — ამ ადგილობრივი კოსტიუმის ევროპული კოსტიუმის მიერ ძირითადში გამოდევნის შემდეგ, — მაინც სწრაფად ეცემა ხმალ-სატევრის შინამრეწველობა.

მე-19 საუკ. მეორე ნახევრიდან ფართოვდება მჭედლურ-ზეინკ-ლური შინამრეწველობაც. ცეცხლმტე იარაღების წარმოების აღკვეთის შემდეგ ამათი და ხმალ-სატევრის შეკეთების საქმე უკვე ზეინკ-ლის ხელში გადადის, თოფ-იარაღის მკეთებლებიც უნდა გადაქცეულიყნენ ზეინკლებად, რომლებიც უმთავრესად მისდევდნენ სოფლის მეურნეობის იარაღების კეთებასა და შეკეთებას. უფრო წინათ მჭედელ-ზეინკალი წლის უმეტესი დროის განმავლობაში მიწათმოქმედებას მისდევდა, მაგ., ს. საწირეში (ქუთ. მაზ.), რაჭაში, ტყიბულში. მაგრამ 70-იანი წლებიდან მათგან გამოიყოფა შინამრეწველები, რომლებიც წლის უმეტეს დროს და ხშირად მთელ წელიწადებაც ზეინკ-ლობენ — რამდენადაც იზრდება მოთხოვნილება რკინის ნაწარმოებზე, კერძოდ სოფლის მეურნეობის იარაღებზე, საღაც სულ უფრო გაბატონებულ ადგილს იჭერს რკინა.

ზეინკლობა და მჭედლობა სოფლად სავსებით არ იყო, უფრო სწორად, იშვიათად იყო ერთმანეთისაგან გამოყოფილი. მათი საწარმოო იარაღები უმთავრესად თვით ზეინკალ-მჭედლის მიერგე იყო გაკეთებული და ამდენადვე არასრულქმნილი უნდა ყოფილიყო. ამ შინამრეწველო მხოლოდ აუცილებელი იარაღები გააჩნდათ და ერთ-სადაიმავე იარაღს ხმალობდნენ მრავალ სხვადასხვა ოპერაციისათვის, რომელიც ძირითადში ემპირიულ-რუტინული ჩარჩოებით განისაზღვრებოდა.

სოფლის მჭედელ-ზეინკალი ხელფასს უფრო ხშირად ნატურით ლებულობს; იგი მომსახურეობას უწევს მთელ თემს ან სოფელს, მაგრამ, გარდა ამისა, თავისი ნაწარმოები გააქვს მახლობელ ბაზარზედაც. მე-19 საუკუნის მიწურულიდან შინამრეწველები ხელს ჰქილებენ არა მხოლოდ ადგილობრივი გუთნის რკინის ნაწილების კეთებას, კეთე-

ბას ბარის, ნიჩაბის, თოხის, დანის, მაკრატლის, სამართებლისა
და სხ., არამედ მათ შორის ყველაზე დახელოვნებული ხელს ჰქილე-
ბენ შეკეთებას სოფლის მეურნეობის ქარხნული იარაღ-მანქანებისას,
როგორიცაა, მაგ., ეკვერტისა, საკისა და გენც გუთანი, სალეწები,
სანიავებლები, რომლებიც 90-იანი წლებიდან უკვე შესამჩნევად შემოი-
წრნენ ჩვენში. ხოლო ზოგი უფრო გამბედავი და გამოცდილი შინა-
მრეწველი იწყებს გაკეთებასაც, ქარხნულის წაბაძვით, ასეთი გუთ-
ნებისა და სანიავებლებისას.

ცარიზმი (მეტროპოლია) მე-19 საუკ. ბოლოდანვე ლებულობს
შესაფერ ზომებს, რათა ამ შინამრეწველობის საფუძველზე ა/კავკასია-
ში (ქოლონიაში) არ განვითარდეს სოფლის მეურნეობის იარაღთა
ქარხნული წარმოება და ამ გზით მომავალში (როცა შიდა რუსეთში
განვითარდება სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობა) აქაური
ბაზარი არ დაკვარგონ მეტროპოლის ქარხნებმა.

სპილენძის ნაკეთობანი ა/კავკასიაში დიდის პოპულარობით
სარგებლობენ. მესპილენძეობა უმთავრესად საქალაქო ხელოსნობის
სახით იყო გავრცელებული, მაგრამ იგი სოფლადაც, შინამრეწველო-
ბის ფორმითაც, მნიშვნელოვანი ზომით გვხვდება. მესპილენძეობის
განვითარებას ხელს უწყობდა სპილენძის ადგილობრივი საბადოები
(ალავერდისა და ზანგეზურისა), თუმცა მიმდინარე საუკუნის დასაწ-
ყისიდან აქ ბლომად მისდევენ რუსეთიდან შემოტანილი სპილენძის
გადამუშავებასაც. სპილენძისაგან აქეთებენ: მრავალგვარ ქვაბს, თეთშს,
ტაშტს, თუნგს, შანდალს, ხელსაბანს, კოფზს, და სხვ. ესენი ხშირად
წარმოადგენდნენ მათი მკეთებელი ოსტატების განვითარებულ მხატ-
ვრულ ალლოსა და გემოვნებას.

მაგრამ მხატვრული გემოვნებით განსაკუთრებით განიჩრევიან ოქრო-
ვერცხლზე მომუშავე შინამრეწველთა ნაკეთობანი, რომლებიც იზი-
დავდნენ არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ რუს, ეკროპელ და
ამერიკელ მომხმარებელთა ყურადღებასაც. ოქრო-ვერცხლზე მომუ-
შავე შინამრეწველთა უმთავრესი საქმიანობა გამოიხატებოდა: ხმლის,
სატევრის, თოფის, დაბბაჩის, რევოლვერის, ქამრის, ცხენის მოკაზ-
მულობის და სხვ. მოჭედვა-მოსავალებაში ვერცხლით, ოქროთი,
მინანქრით, ძვლისა და რქის მხატვრული სამკაულებით, რაც შესამ-
ჩნევ გულმოლგინებას, მოთმინებას, დახელოვნებას და მხატვრულ ალ-
ლოს მოითხოვდა.

თოფ-იარაღის მოსავალება-მოჭედვაზე მოთხოვნილების შემცირების
პროცესში ეს შინამრეწველები უფრო აფართოვებენ წარმოებას საო-
ჯახო მოხმარების ნივთებისა და ტანსაცმელთა სამკაულებისა: კოვზის,
ჭიქაბუდის, საყურის, საათის ძეშვის, კალმისტარის, ბეჭდის, მუნდ-
58

შტუკის, ჯოხის და სხვ.; ისინივე მისდევენ, განსაკუთრებით ანალიზის მაზრაში, ფილიგრანულ ნაკეთობათა დამზადებას ვერცხლის მავთულისაგან. ეს უკანასკნელი წარმოება 900-იანი წლებიდან უკვე ეცემა.

* * *

შეთუნეობა ა/კავკასიის ხალხებში უძველესი დროიდანვეა ცნობილი. ძველი ა/კავკასიური კერამიკის ნაშთები თავისი ფორმის მრავალგვარობით და სურათ-ხატებით მოგვითხრობენ ამ წარმოების განვითარების მაღალი დონის შესახებ. კერძოდ მე-19 საუკ. ა/კავკასიაში მეთუნეობის კენტრი იყო ს. შროშა, ხარაგული, მარტვილი, ძირულა (შორაპნის მაზრა), კურსები (ქუთ. მაზ.), ანაგა (სიღნ. მაზ.), არტოზა (თელავის მაზრა), მცხეთა, ნამიკოლოვო (სენაკ. მ.) ერევანი და ს. იუვა (ერევნ. მ.)

ა/კავკასიის მეთუნეობაში იმთავითვე შედის: ქვევრის, კოკის, დოქის, ჯამის, საწყალსადენო მილის, ქოთნის, კეცის, კრამიტის და სხ. და თითოეული ამ სახელწოდების მრავალგვარი სიდიდის და ფორმის ნაკეთობათა წარმოება. ა/კავკასიის ხალხთაგან მეთუნეობა ყველაზე უფრო განვითარებულია საქართველოში. აქ დამზადებული თიხის ჭურჭლეულობიდან საყოველთაო ყურადღებას იპყრობს განსაკუთრებით კრამიტებისა და ქვევრების წარმოება. ქვევრებს აკეთებენ 1 ვედროიანიდან დაწყებული 500 ვედროიანამდე. უდიდეს ქვევრებში გასაწმენდად კიბეებით ჩადის რამდენიმე კაცი. ამ უზარმაზარი ქვევრების კეთების ტექნიკა ფრიად საინტერესოა; აქ ყველაფერი ხელით კეთდება გულმოლგინე და დიდის მოთმინებით აღჭურვილი ოსტატის მიერ. პატარა ჭურჭლების გამოსაყვანად ხმარობენ მბრუნავ სათუნე დაზგას.

შეთუნეთა შორის 90-იანი წლებიდან ხშირად ჰქონდა ადგილი შრომის კომპერაციის (მაგ. ს. ბოსლევში და სხვ.). მეთუნეობის მიმდევარი სოფლები ჰქონიან დროებით ნაღს (არტელს), როგორც აღგილობრივ სამუშაოდ, ისე მაშინაც, როცა სხვა ადგილებში გადიან საწარმოებლად. ამას შეიძლება ეწოდოს კაპიტალისტური მარტივი კომპერაცია, რაც წარმოების წინანდელ დაქამატულობასთან შედარებით უდაოდ პროგრესული მოვლენაა წვრილ გლეხურ სარეწავებში, სადაც ეს კომპერაცია ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

ჩევნში შეთუნეობის განვითარებას ხელს უწყობდა კარგი ღირსების თიხის საბადოები, მაგრამ მეთუნეობის შინამრეწველობის ტექნიკაში არავითარი გაუმჯობესება არ შედიოდა: ამასთანავე ერთად

მეთუნეობას სასტიკ კონკურენციას უწევს, განსაკურებით რკინის გზების გაყვანის შემდეგ, ჯერ მექასრეობა და მერე უკანასკნელობა ერთად შუშეულისა და ქაშანურის ჭურჭლეულობა, აგრეთვე რკინის სახურავები (კრამიტს) და ლითონისა და ცემენტის მიღები (თიხისას).

მეთუნეობის პროდუქციის რეალიზაციას თვით შინამრეწველებიც ეწევიან, მაგრამ, რამდენადაც რეალიზაციის პერიოდები ხშირად თან ხვდება მიწათმოქმედებაშიაც მუშა-ხელის საჭიროებას, ბაზარი ისე თუ ისე მნიშვნელოვნადაა დაშორებული წარმოების ადგილს და სხვ. შინამრეწველთაგან უკვე 80—90-იანი წლებშიც გამოეყვნენ შესყიდველი-ვაჭრები, რომლებიც განსაკუთრებით იმორჩილებენ და ყვლეფენ წვრილ გლეხებს, რომლებიც ზოგან მასობრივად მისდევენ მეთუნეობას. მაგ., სს. ბოსლევში, რკვიაში, გეზრულში მთელი გლეხობის დაახლოებით 50%, მისდევდა თიხის ჭურჭლეულისა და კრამიტის წარმოებას. მათ შორის იყვნენ ბობოლა გლეხები — შინამრეწველები და იმავე დროს შემსყიდველ-ვაჭრები, რომლებიც სავაჭშო კაპიტალის მეოხებით და სხვა კულაკური მეთოდებით იკაბალებდნენ წვრილ ცოლშვილიან ღარიბ გლეხებს.

აქვეა მოსახსენებელი აგურის, თავსაბანი მიწის (ფლორიდინის), ქვის კეცის და სხვ. ნაწარმის, გიშრის და სხვ. დამზადება, რომელიც მეტნაკლები ზომით განვითარებული იყო ა/კავკასიის სხვადასხვა რაიონებში და რომელთა შორის ზოგიერთი ნაწარმი, მაგ., გიშრის ნაკეთობანი ქუთაისის მაზრიდან, ერთ დროს (70—80-იან წლებში) საქესპორტო საგანსაც შეადგენდა; მაგრამ ფაბრიკული პროდუქციის კონკურენციამ, როგორც მრავალი სხვა ძველი ადგილობრივი შინამრეწველობის დარგები, ისე ესეც გამოდევნა.

ამგვარ შინამრეწველობათა გამოიდევნის შესახებ ვ. ლენინი წერდა, რომ რეფორმების მერმინდელ ხანებში კავკასიაში „ეცემოდა იარაღის ძელებური წარმოება ტულიდან და ბელგიდან შემოტანილ ნაწარმოებთა კონკურენციის გამო, ეცემოდა რკინის შინამრეწველური დამუშავება შემოტანილი რუსული პროდუქტის კონკურენციით, აგრეთვე ეცემოდა სპილენძის, ოქრო-ვერცხლის; თიხის, ქონის და სოდის, ტყავის და სხვ. შინამრეწველური დამზადება; ყველა ეს პროდუქტი უფრო იაფად მზადდებოდა რუსეთის ფაბრიკებში, რომელიც კავკასიაში აგზავნილენ თავის ნაწარმოებთ. ეცემოდა რქების დამუშავება ყანწებად საქართველოში ფეოდალური წყობილების და ისტორიული ნადიმების დაცემის გამო; ეცემოდა ქუდის სარეწავი აზიური კოსტიუმის შეცვლის გამო ევროპულით, ეცემოდა ტიკე-



ბის და ჭურების წარმოება ადგილობრივ ლეინოსთვის, რომელიც პირების ველად გამოვიდა გასაყიდად (რაც იშვევდა კასრის წარმოების განვითარებას) და თავის მხრივ იპყრობდა რუსეთის ბაზარს¹.

* * *

ამგვარად, ჩვენ გავეცანით საქართველოსა და ა/კავკასიაში შინა-მრეწველობის ზოგიერთი მთავარი დარგების წარმოშობისა და განვითარების პროცესებს მსოფლიო იმპერიალისტურ ომამდე. გარდა ზემოთ უკვე აღნიშნულ პირობათა, ა/კავკასიაში შინამრეწველობის განვითარება-გავრცელებას ხელს უწყობდა: საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განუვითარებლობა, ნედლეულის სიუხვე, უშუალო მწარმოებელთა სარგებლობაში მყოფი სახნავი მიწის სიმცირე, და, ამგვარად, მიწათმოქმედებაში სოფლის მუშა-ხელის დაბანდების ჟეზღუდულობა, სამიმოსვლო გზათა განუვითარებლობა და მთიანი ადგილების კულტურულ-ეკონომიური ცენტრებიდან მოწვევეტილობა, საშინამრეწველო მუშა-ხელის, კერძოდ ქალის სოციალური მდგომარეობა და სხვ.

ეს შინამრეწველობა სულ ბოლომდე, ე. ი. მაშინაც, როცა ის კაპიტალისტური სარეწავის ხასიათს ღებულობს, დამყარებული იყო პრიმიტიულ ტექნიკაზე. კიდევ მეტი. კაპიტალისტური შინამრეწველობა თავის მუშა-ხელის მოთხოვნილების მინიმუმამდე დაყვანის, ე. ი. მეტად დაბალი ხელფასის მეოხებით ტექნიკურ პროგრესს აბრკოლებს, რაც განსაკუთრებით მტკიცე ხასიათს ღებულობდა ა/კავკასიაში ცარიზმის კოლონიური სამრეწველო პოლიტიკის მეოხებით. მიუხედავად თავისი რუტინულ-ემპირიული წარმოების პროცესებისა და პრიმიტიულ საწარმოო საშუალებათა, შინამრეწველობას ჩვენში თუ მაინც შეეძლო გარკვეული კონკურენცია გაეწია ფაბრიკული ნაწარმოებისათვის, ეს მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი პირობებისა და განსაკუთრებით-კი მუშა-ხელის მეტისმეტი სიიაფით შეიძლებოდა მომხდარიყო.

როგორც ცნობილია, 900-იანი წლებიდან საქართველოში მასობრივად დაიწყო ადგილობრივი შალიდან ეგრძობული კოსტიუმების შეკერვა. ამ გარემოებამ დას. საქართველოს შინამრეწველთა შორის თანდათან გამოიშვია ზალის ნაწრის, — რომელიც აქამდე ადგილობრივი კოსტიუმის (უფრო ჩიხის) შესაკერად იყო განკუთვნილი, — დაგრძელება, რაც მით უფრო გაადვილდა, რამდენადც ამავე ხანებში აქ გაჩნდა, ადგილობრივთან შედარებით, გაუმჯობესებული, მოსკოვის

¹ ვ. ლენინი, რჩ. ნაწ. ტ. I. ტფ. 1934, გვ. 210—211.

ეს მაგალითი საინტერესო ილუსტრაციაა იმისა, თუ რაოდენ
ცხოველმყოფელობას და ახალ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებასთან
შეგუების უნარს იჩენდა თავის მხრივ თვით შინამრეწველობა.

* * *

შინამრეწველობაში, როგორც გაკვრით უკვე აღვნიშნეთ, მუშა-
თა შრომის პირობები მეტად მძიმე იყო. აქ უმთავრესად (მაგალი-
თად საფეიქრო სარეწავებში) გამოყენებული იყო ქალის და აგრეთვე
ბავშვის შრომაც. შინამრეწველობის მიმდევარი ლარიბი გლეხის ოჯა-
ხი, რომელიც დამორჩილებული ყავდა შემსყიდველ-კულაკს, აუტა-
ნელ მდგომარეობაში გარდებოდა. მისი ოჯახის ყველა შრომისუნა-
რიანი წევრი ჩაბმული იყო მუშაობაში, რის გამოც, რომ არა ესთქვათ
რა თვითგანვითარებისა და საკუთარი კულტურული დონის ამაღლე-
ბისათვის, არავის ეცალა დროზე საჭმლის გაკეთებისათვის, დაგვისა
და გარეცხვისათვის, შრომის უნარს მოქლებულ მოხუცთა და ოჯა-
ხის სხვა წევრთა (ავადმყოფთა, ბავშვთა) მოვლისათვის, გინის სათ-
ბობის და სხვ. მომარაგებისათვის. აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ, მაგ.,
შალის მქსოვი შინამრეწველის ოჯახში იდგა არა მარტო საფეიქრო
დაზება, არამედ აქვე წარმოებდა მარყლის გარეცხვა, დაპენტეა, დარ-
თვა და სხ. მეტად ჭუჭუანი ოპერაციები, რომელნიც შინამრეწვე-
ლობის პირობებში სახლში, სადაც ეს ოპერაციები სრულდება, ქმიან
სიმყრალეს, სიშმორეს და ამ ანტიპიგინური პირობების დამახასია-
თებელ დაავადებათ, მით უმეტეს, რომ აქ იგივე სახლი არის საცხოვ-
რებელი ბინაც.

დაქსაქსულ და უორგანიზაციონ ლარიბ შინამრეწველთა ამ არაადა-
მიანური შრომისა და ცხოვრების პირობებზე დამყარებული იყო
მდიდარ შინამრეწველ-შემსყიდველთა, მევანშე-კულაკთა, ვაჭარ-შუამა-
ვალთა და ვაჭარ-მრეწველთა მთელი სარტიანობა. შემსყიდველი, მაგ.,
ხონის, სენაკის, ზუგდიდის რაიონებში ისე იაფად ყიდულობდა შინა-
მრეწველურ ქუდებს, რომ ა/კავკასიის, იმიერ/კავკასიის და ყირი-
მის კურორტებზე შეეძლო ეს საქონელი 3, 4, 5-ჯერ უფრო მეტა-
დაც გაეყიდა. შემსყიდველი ძალიან ხშირად ისე იაფად ყიდულობდა
შალს შინამრეწველ ქალისგან, რომ უკანასკნელი „კმაყოფილი რჩე-
ბოდა“, თუ მატყლის ფასს მაინც აინაზღაურებდა. ასეთ შემთხვევაში
შინამრეწველი სავსებით ჰკარგავდა თავის ისედაც მცირე ხელფასს.

აქ აშეარავდება სხვათაშორის მთელი ის უარყოფითი მხარეები,
რომელიც შინამრეწველობას ახასიათებს როგორც წარმოებას უზრუნველყოფილობას განცალკევებულ, დაქსაქსულ მწარმოებელთა, რომელთაც
მხოლოდ ბაზარი აკავშირებს. აქ ერთი მწარმოებლის პროდუქტს,
რომელიც განკუთვნილია სხვისი მოხმარებისათვის, ამ უკანასკნელამ-
დე მიღწევა და, მაშასადამე, მწარმოებლისათვის სხვა საზოგადოებ-
რივი პროდუქტის მიღების უფლების მიცემა შეუძლია მხოლოდ მას
შემდეგ, რაც იგი ფულის ფორმას მიიღებს, ე. ი. მას შემდეგ, რაც
წინასწარ მოხვდება საზოგადოებრივ აღრიცხვაში, როგორც თვისობ-
რივი ისე რაოდენობრივი მხრივ. ხოლო ეს აღრიცხვა-კი წარმოებს
მწარმოებლის ზურგს უკან, საბაზრო რყევადობათა შეოხებით სწო-
რედ ამ, მწარმოებლისათვის მიუწვდომელ და მისგან დამოუკიდე-
ბელ, საბაზრო რყევას არ შეუძლია არ დაბადოს უთანასწორობა
მწარმოებელთა შორის, არ გააძლიეროს ეს უთანასწორობა, იქვევს
რა ერთთა გაღატაკებას, ხოლო მეორეთა ხელში თავმოყრას ფულისა
—საზოგადოებრივი შრომის პროდუქტისა.

აქედან უკვე ნათელია თუ რა მიზეზითაა ძლიერი ფულის მფლო-
ბელი, შემსყიდველი. მისი სიძლიერე იმაშია, რომ შინამრეწველთა
შორის, რომლებიც დღიდან დღემდე, სულ დიდი კვირიდან კვირამ-
დე ცხოვრობენ, ის ერთი ფლობს ფულს, ე. ი. წინანდელი საზო-
გადოებრივი შრომის პროდუქტს, რომელიც მის ხელში კიდევაც
იქვევა კაპიტალად, „სხვა შინამრეწველთა ზედმეტი პროდუქტის
მითვისების იარაღად“¹.

ყოველივე ამასთან ერთად ისიც უდაოა, რომ ა/კავკასიაში შინა-
მრეწველობის სხვადასხვა დარგთა განვითარება იწვევდა შრომის სა-
ზოგადოებრივი დანაწილების ზრდას. ამას გარდა შინამრეწველობის
განვითარების მაგალითზე ვხედავთ, თუ როგორ იქნა დაყვანილი
გლეხი დაქირავებული მუშის მდგომარეობამდე შინამრეწველობაშიაც.
გლეხობის დაშლისა და წვრილ გლეხურ სარეწავთა განვითარებას
შორის უშუალო კავშირი არსებობს. სამიწათმოქმედო გლეხობის და-
შლის აუცილებელ დამატებად თან სდევს წვრილ გლეხურ სარეწავთა
ზრდა. „ნატურალური მეურნეობის დაცემისადამიხედვით ნედლეულის
გადამუშავების სახეები ერთი მეორეზე იქცევიან მრეწველობის ცალკე
დარგებად: გლეხური ბურუუაზიისა და სოფლის პროლეტარიატის
წარნოქმნა აღიდებდა მოთხოვნილებას წვრილ გლეხურ სარეწავთა
პროდუქტებზე, იძლეოდა რა იმავე დროს ამ სარეწავებისათვის თა-
ვისუფალ მუშა-ხელსა და თავისუფალ ფულად საშუალებებსაც“².

¹ В. Ленин, „Сочинения“ I, 281.

² В. Ленин, „Сочинения“ III, 264.

მეფის რუსეთი ყოველმხრივ ცდილობდა ა/კავკასიაში, როგორც კოლონიაში, ხელი შეეშალა გადამუშავებითი მრეწველობის განვითარებისათვის. ცარიზმის კოლონიური სამრეწველო პოლიტიკის მთელი გულისყური იქითქენ იყო მიმართული რათა აქ ქარხნულ-ფაბრიკული მრეწველობა არ წარმოშობილიყო შინამრეწველობის არსებული დარგების საფუძველზე. ხოლო თვით შინამრეწველობის, უმთავრესად როგორც მეტროპოლიის ფაბრიკებისა და ქარხნების დამატების, განვითარებას, იგი არ აბრკოლებდა, რამდენადაც შინამრეწველურ ნაწარმოებს არ შეეძლო მნიშვნელოვანი კონკურენცია გაეწია აღგილობრივ ბაზებზე მეტროპოლიის ფაბრიკატისათვის.

სწორედ ასეთი მიზანდასახულობა უნდა ჰქონოდა მიმდინარე საუკუნის დასაწყისს ტფილისში წარმოქმნილ კავკასიის საშინამრეწველო კომიტეტს, რომელიც შესდგებოდა კავკასიის აღგილობრივი მთავრობის უმაღლესი ორგანოების წორმომადგენელთაგან. კომიტეტს, თანახმად მის მიერ გამოქვეყნებული სამოქმედო პროგრამისა, ხელი უნდა შეეწყო შინამრეწველთა შორის გაუმჯობესებულ იარაღ-ინსტრუმენტებისა, კარგი ხარისხის ნედლი მასალისა და უკანასკნელის გადამუშავების უკეთესი მეთოდების დანერგვისათვის; იგი მიზანად ისახავდა კავკასიაში შინამრეწველობის მდგრადირეობის შესწავლასაც. მაგრამ, რომ არა ვსთქვათ რა სხვა დაბრკოლებებზე, კომიტეტს მისი მნიშვნელოვანად ფართო ამოცანების განხორციელება მხოლოდ უმნიშვნელოზომით შეეძლო, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მას ამისათვის სულ მცირეოდენი ფულადი საშუალება გააჩნდა.

თუმცა, განსაკუთრებით მსოფლიო ომის წინა წლებში, ხელი მინიშვნებულ კომიტეტმა საქამოდ გაშალა თავისი მოღვაწეობა და ზოგიერთი ანგარიშგასაშევი ნაბაჯიც გადადგა კავკასიაში შინამრეწველობის საჭიროებათა მოწესრიგების საქმეში. ამ მხრივ შეგვიძლია დავისახელოთ კომიტეტის მიერ საფეიქრო შინამრეწველობის, კერძოდ მენოხეობის (რომელიც „სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შინამრეწველობად“ იქნა აღიარებული) ძველი ქულტურის აღსაღვენად და გასაუმჯობესებლად დაარსებული სასწავლო-საჩვენებელი სახელოსნოები: ს. ყაზბეგში (სტეფან-წმინდაში), ს. ჩაიკვნდში (განჯის მაზ.), იმაშ-ყულიკენდში (ყუბის მ.), ქ. ნახიჭევანში, იგდირში (ერევნ. გუბ.), მცხეთაში (დედათა მონასტრის სკოლასთან) და ოზურგეთში (უმთავრესად აბრეშუმის შინამრეწველური ფეიქრობის გასაუმჯობესებლად). შემდეგ დაარსებულ იქნა აგრეთვე სამხატვრო სახელოსნო, რომლის მიზანი იყო თავმოყრა, შესწავლა და აღდგენა ძველებური აღგილობრივი

წალხური ორნამენტებისა და ამათი კვლავ ჩანერგვა შინამრეწველ
 თა ნაკეთობაში. აქაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჩალხურის
 ბის უკვე გამქრალი ძველებური სურათ-ხატების აღდგენისა და გავ-
 რცელების საქმეს. კომიტეტს ჰქონდა შინამრეწველობის მუზეუმი,
 რომელიც ემსახურებოდა ასეთსავე წმინდა პრაქტიკულ მიზნებს. სულ
 ბოლოს კომიტეტმა ხელი მოკიდა აგრეთვე შინამრეწველთათვის ნედ-
 ლი მასალის მიმწოდებელ ბაზარზე არსებულ მოთხოვნილებათა შესა-
 ფერი შეკვეთების მიმცემი და აგრეთვე მათი ნაკეთობის შემსყიდ-
 ველ-გამსაღებელი კონტორების მოწყობას. თავისთავად ცხადია, რომ
 ეს კონტორები უნდა გადაქცეულიყვნენ მსხვილ ვაჭარ-შემსყიდველთა
 ორგანოებად, რისი მეოხებითაც უკანასკნელი უფრო მოხერხებულად
 და ორგანიზებულად გასწევდნენ შინამრეწველთა ფართო მასების
 ექსპლოატაციას. მსოფლიო ომისა და შემდეგ მენტევიების, მუსავა-
 თისტებისა და დაშნაკების ა/კავკასიაში ბატონობის პერიოდში კო-
 დევაც გაშალა ფართოდ თავისი ფრთები ვაჭარ-შემსყიდველთა ამ
 ორგანიზაციამ, მაგრამ ა/კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყა-
 რებით შინამრეწველთა მასებმა, როგორც საერთოდ მშრომელმა მო-
 სახლებამ, საბოლოოდ გადაიგდეს თავიდან ყოველი ჯურის ექს-
 პლოატატორთა ულელი.

1936. XII. 15.

ძირითადი ლიტერატურა და ფურცელები

1. კავკასიის საშინამრეწველო კომიტეტის არქივი (სცსს. მია).
2. „Кустарная промышленность на Кавказе“. Вып. I, II, 1902, Тифлис.
3. „Труды первого съезда деятелей по кустарной промышленности Кав-
каза“, 1902. Т.
4. „Материалы для изучения экономического быта госуд. крестьян Закав-
казского края“, т. т. I—VII.
5. „Акты Кавказской Археографической Комиссии“, т. т. I—XII.
6. „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“,
т. IX, вып. I, „Промысловия занятия в некоторых населен. пунктах
Закавказья“.
7. ინქ. ვ. კაკაბაძე, „Шинამრეწველობა საქართველოში“, 1926, ტფ.
8. ა. ს. ფირალოვი, „Краткий очерк кустарных промыслов Кавказа“,
II, изд. 1913. СПБ.
9. ო. ვ. მარგარაფი, „Очерк кустарн. промышл. Сев. Кавказа“, 1882 г. М.
10. კ. ხატისოვი, „Кустарн. промыслы Зак. кр.“ (ОИКПР т. II, 1894).
11. ი. ლევაშოვი, „Кустар. промыслы Тифл. губ“. (ОИКПР т. II).
5. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის—პ. გუგუშვილი.

- 1888 წ.
ვიზუალური
12. ს. გულიშვამბაროვი, „Обзор фабрик и заводов Тифл. губ.“ 1888.
 13. მისივე, „Обзор фабрик и заводов Закавк. края“, 1894, Т.
 14. ი. გოპაძე, „Заметки о состоянии промышленности в Ахалцихском уезде“, (СМОПК, т. I, 1881).
 15. პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი, „Das gewerbe in Georgien unter besonderer Berücksichtigung der primitiven Betriebsformen“, 1901. Tübingen, განყ. I. თავი I—IV.

რედაქციის საგანი

რედაქციია არ იზიარებს მთლიანად იმ შეფასებას, რომელსაც ავტორი აძლევს კავკასიის საშინამრეწველო კომიტეტის საქმიანობას (გვ. 64—65). აღნიშნული საქმიანობის დადებითი შედეგები უნდა მიეწეროს არა ამ ოფიციალური ორგანოს ბიუროებრატიული შემადგენლობის კეთილ განზრახვებს, არამედ აღვილობრივი ეროვნულ-გამათავისუფლებელი და კულტურული მოძრაობის მოღვაწეთა ენერგიას.

რედ.

„საქართველოს ქველთაგან და ჩვეულებითად ქართ- ველ მეფეთა დროთა უფლებულის პლატი“¹

ამ ქართული აღათობრივი სამართლის ანუ „ჩვეულებითად ჰეჭულ-
 თა“ შეკრებისა და ჩატერის ისტორია შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

ჯერ კიდევ 1801 წლის 12 სექტემბრის თარილით უმართებულეს
 სენატისადმი გაცემულ უქაზს — „Об учреждении внутреннего в Гру-
 зии управления“ — დართულს ალექსანდრე I მანიფესტში „საქართ-
 ველოს ხალხისადმი“, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „Каждый пре-
 будет при преимуществах состояния своего, при свободном от-
 правлении своей веры и при собственности своей неприкосно-
 венно“. შემდეგ აღნიშნულია, რომ სისხლის სამართლის საქმეში
 შემოღებული იქნება რუსეთის საიმპერიო კანონმდებლობა, ხოლო
 „дела гражданские имеют быть производимы по настоящим
 грузинским обычаям, кои следует привести в из-
 вестность, и по „уложению“ изданному царем Вахтан-
 том, яко по коренному грузинскому закону. Главнокомандующий
 вместе с правителем Грузии должны начертать из „уложения“
 сего и из обычаев народных правила поведения всех в Грузии
 учреждаемых правительств“².

აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიის პირველ წლებში კოვალენ-
 სკისა და ლაზარევის მუხანათური მმართველობის დროს, რო-
 გორც მრავალ სხვა საზეიმოდ წარმოთქმულ დაპირებათა შესრულე-
 ბის, ისე კერძოდ ქართული ადათების შეკრებისა და ვახტანგ VI კა-
 ნონების თარგმნის და გამოცემის შესახებ ზრუნვით თავი არავის
 შეუწუხებია. 1802 წლის მიწურულს საქართველოს მთავარსარდლად
 დანიშნულ გენ. პავლე ციციანოვმა მხოლოდ დაავალა თავად

¹ 1937 წ. 2 ნოემბერს მოხსენდა სტალინის სახელმობის ტფილის სა-
 ხელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფოს და სამართ-
 ლის ზოგადი თეორიის კათედრას.

² 1-oe ПСЗРИ, т. XXV, № 20007, стр. 871—76.


ჩოლოყაშვილს რუსულად ეთარგმნა ვახტანგ VI კანონების ფლეი
ის ნაწილი, რომელიც სამოქალაქო საქმეებს შეეხებოდა. როგორც
ჩანს, ჩოლოყაშვილს მართლაც დაუწყია ამ კანონების თარგმნა,
მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიუყვანია პ. ციციანოვის მთავარ-
სარდლობის მთელი წესი (1802—1806 წწ.) განმავლობაში.

1808 წლის 21 ნოემბრის თარიღით საქართველოს პროკურორი-
სადმი გაგზავნილ მიმართვაში¹ იუსტიციის მინისტრი თავ. პ. ვ. ლო-
პუ ხინი ბრძანებს, რომ მას „სჭირდება ჰქონდეს დაწვრილებითი
ცნობები საქართველოში არსებული წინანდელი მისი კანონების,
განსაკუთრებით კი ვახტანგის კანონების, შესახებ“, რისთვისაც მი-
ნისტრი წინადადებას იძლევა: დაუყოვნებლივ გაეგზავნოს მას ზუსტი
პირები ამ კანონებისა, სათანადო განმარტებებით, სახელდობრ, თუ
რომელი მუხლებით (ნაწილით) ამ კანონებისა ხელმძღვანელობენ
ახლა სასამართლო დაწესებულებები და ხომ არ არის კიდევ სხვა
დადგენილებები ან ისეთი ჩვეულებები, რომელნიც მიი-
ღებიან როგორც კანონები.

1809 წ. 14 თებერვალს ადგილობრივი პროკურორი საქართვე-
ლოს უზენასი მთავრობის საერთო საკრებულოს (Верховного Грузин-
ского Правительства общему собранию) მიმართავს, რათა უკანა-
სქელმა მისცეს მას (პროკურორს) ვახტანგის კანონების პირები და
ნუსხები ისეთ დადგენილებათა და ჩვეულებათა, რომლებიც
იხმარება პრაქტიკაში თანახმად კანონისა². იმავე წლის
9 მარტის თარიღით გრაფი ივ. ვ. გუდოვიჩი აცნობებს „საქ-
რებულოს“, რომ უმართებულება სენატმა თავისი უქაშით დაავალა
მას (გუდოვიჩს): „Дабы я собрал все коренные по обычаем вве-
денные законы по коим судятся обитатели Грузии [и] представ-
ил оные в сенат³“. ამის გამო კი გენ. გუდოვიჩი წინადადებას
იძლევს საქ. უზენ. მთავრობის საერთო საკრებულოს, რათა უკანასქელ-
მა გადასინჯოს მაიორ. ჩოლოყაშვილის მიერ რუსულად თარგ-
მილი ვახტანგის კანონების ის ნაწილი, რომელიც სამოქალაქო საქმეებს
შეეხება, შეადაროს, შეამოწმოს, მოთავსებულია თუ არა ყველა ისინი
მის თარგმაში და თუ რაიმე აკლია, შეავსოს. ამასთანავე იმავე „საქ-
რებულოს“ დაევალა ადათების სახით არსებული კანონების აღნუსხვა,
ცალცალკე მუხლებად ჩაწერა და შემდეგ გუდოვიჩისათვის წარდგენა⁴.

¹ იხ. საქართველოს ცენტრალური ფონდი 5-ა, ВГПКЭ, 1809 გ. დ. № 110,
„Об Обычаях Грузии“, ქ. 1.

² იქვე, ფურცელი 2.

³ იქვე, ფ. 4.

⁴ იქვე, ფ. 5.

1809 წლის 12 მარტის თარიღით გაგზავნილ მიმართვაში გრაფი
ვუდოვიჩი „საკრებულოს“ სწერს: „буде господа грузинские со-
ветники отзовутся неведением какие обычаем введенныe зако-
ны употреблялись при рассмотрении дел при жизни царей, то я
согласен чтобы для приведения их в известность созвать быв-
ших тогда мдиванбегов и маршалов“¹. როგორც ჩანს, „საერთო
საკრებულოს“ წევრებს თავი ვერ უცნიათ კომპეტენტურად მათთვის
დაკისრებული დავალებისათვის, რის გამოც საჭიროდ მიუჩნდებიათ მე-
ფიების ღროინდელი მდივანბეგებისა და თავადაზნაურობის წინა-
მძღოლთა დახმარება.

1810 წლის 11 მარტს უმართებულესი სენატის მიერ გაცემული
უქაში კიდევ მოითხოვს, გენერალ-ფელდმარშალ გუდოვიჩის ად-
გილზე დანიშნული, გენ. ტორმასოვისაგან ამ საქმის დაჩქა-
რებას. იმავე წლის 5 სექტემბერს ტორმასოვი, უგზავნის რა სენატს
რუსულად თარგმნილ² ვახტაგის კანონების სამოქალაქო ნაწილს,
თანაც აცნობებს: „Что-жъ касается до грузинских законов, вве-
денных обычаем, то... для приведения оных в точную ясность,
были созываемы в общее собрание мдиванбеги и маршалы с
членами оного для объяснения существовавших обычаем; но по
разным голосам об одном предмете не можно было ничего опре-
делить или найти основательного и твердого; а потому общее
собрание представляло мне употребить на сей предмет одних
членов общего собрания из грузинских князей, которые получив
тетрадь за печатью и подpisом председательствующего в общем
собрании, должны собираемые ими сведения о обычаях едино-
гласных записывать в оную, на что я уже дал мое разрешение,
предложив общему собранию иметь возможное старание об ус-
пешном приведении сего в исполнение“, და როგორც კი შესრუ-
ლებული იქნება ონუსხვა და შეკრება ამ ადაოებისა, პპირდება მათს
დაუყოვნებლივ წარდგენას უმართებულეს სენატში³.

ამ დოკუმენტიდან, როგორც ზემოთ მოყვანილი საბუთებიდანაც,
სხვათა შორის აშკარად ჩანს ერთი მეტად საინტერესო და საგულის-

¹ იქვე, ფ. 6—9.

² როგორც ჩანს 1810 წ. 6 სექტემბერს „საკრებულოში“, მისი წევრების
ნადვორნი სოფეტნიკ ჭილა შვილისა (ჩილიავებისა) და კოლ. ასესორ თავ.
შიომ თუ მანი შვილის მიერ წარმოდგენილი მოხსენებიდან: ჩოლოფა შვილის
მიერ ნათარგმნი ვახტაგის კანონებისათვის რედაქტორობა გაუწევია
პოლკ. ორბელიანს (იქვე, ფ. 26—30).

³ АКАК, Т. IV, 1870, Т., под ред. А. Берже, № 41, стр. 45.



ხმო გარემოება: ქართველ თავადაზნაურობის წარმომადგენელნი, რომელიც მოწოდებული იყვნენ აღნუსხათ და ჩაეტერათ ქართული „ჩვეულებითი ჰსჯული“, მთელ რიგ უთანხმოებას აწყდებიან ერთ-მანეთს შორის იმ „ადათების“ დადგენის საქმეში, რომლებიც,—როგორც ჯერ კიდევ მეფების დროიდანვე განმტკიცებული და მიღებული, მაშასადამე, მეფის მდივანბეგებად ნამყოფთათვის მაინც, უდაოდა გარკვეული უნდა ყოფილიყო; ხომ არ იღგა მათს წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ ესარგებლათ გამოცვლილი პოლიტიკური შდგომარეობით, რათა უფრო გაეფართოებინათ და განემტკიცებინათ თავიანთი პრივილეგიები? — ეს საკითხი ქვემოთ გამოქვეყნებული ადათობრივი კანონებისა და ვახტანგის კანონების საფუძვლიანში შესწავლამ და შედარებამ უნდა გადასჭრას.

მაგრამ დავუბრუნდეთ კვლავ ადათების შეკრების ისტორიას.

დასახელებულ ბრძანებათა და განკარგულებათა შემდეგ 1810 წ. 6 ოქტომბერს საქართველოს მთავარსარდალი გენ. ტორმასოვი განმეორებითს თანხმობას უცხადებს „საქრებულოს“, რათა დაევალოს ქართველ თავადთაგან შემდგარ საერთო საკრებულოს წევრებს დაჩქარებითი აღნუსხვა მეფების დროს არსებული ადათებისა¹. საქმე მაინც კუს ნაბიჯით მიღიოდა. განსაკუთრებით იმიტომაც გვიანდებოდა ადათების შეკრება, რომ ქართლ-ქახეთის თავადაზნაურთა მარშლები (წინამდლოლი) პროვინციებში (მაზრებში) ცხოვრობდნენ და თვით „საერთო საკრებულოს“ წევრებიც უმეტესად სხვადასხვა პროვინციებში, სამხედრო თუ სამოქალაქო დაწესებულებებში, შსახურობდნენ, რის გამოც ტფილისში მათი შეკრება იშვიათად ხდებოდა. ეს გარემოება ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტიდან.

უზენაესის საქართველოს მმართებლობის საზოგადო შეკრებულებას

წევრთა მისისათა თავადთა კოლექსკის ასესორთა დიმიტრი თუმანოვისა და დიმატრი ორბელიანოვისა, კავალერის როსებ ჯანდივროვისაგან

მ თ ხ ს ე ნ ე ბ ა

ამ შეკრებილებას უმდაბლესად მოვახსენებთ რომელ ბრძანება გვქონდა ჩვენ ყოველთა ქართველთაგან წევრთა ამ შეკრებულებისათა, რათა აღვეწერა ყოველ ხუთშაბათს ჩვეულებანი საქართველოისანი,

¹ საქ. ცენტრალური მია. ვGamma, ქ. № 110, ფ. 13—18

რომელნიც ხმარებულ-იყუნენ და არიან ერთა შორის, რომელნიც
მეფის ვახტანგის წესდებულების გარდა შეწყნარებულ-არიან საქონი
თველოსა შინა, და რადგან დავრჩომილ ვართ ამ მხოლოდ ჩვენ სამნი
წევრნი და სხუანი გაგზავნილ არიან მმართებლობისაგან სხუასა და
სხუასა აღვილსა ხელმწიფის სამსახურზედ, ამისთვის, მანამ ყველანი
წევრნი თავს არ მოიყრიან, ჩვენგან მარტოკა არ შეიძლება ამის
აღწერა, რომელსაც უმდაბლესად მოვახსენებთ ამ შეკრებულებას
საუწყებელად. ოკდომბრის 28-სა დღესა 1810-სა წელსა.

სოვეტნიკი თავადი დიმიტრი თუმანოვი.

სოვეტნიკი თავადი დიმიტრი ორბელიანი.

თავადი როსებ ჯანდიეროვი¹.

1811 წ. 7 ივნისს ტორმასოვი კვლავ ახსენებს „საკრებულოს“
რომ „აქამდე ვერ ვხედავ ვერავითარ წარმატებას მაგ საქმეშიო“,
ამასთანავე უმართებულესი სენატი მოითხოვს საჩქაროდ იქნეს შედ-
გენილი და გადაგზავნილი ეს აღათობრივი სამართალით და ფიცხელ
ბრძანებას იძლევა საქმის სასწრაფოდ დასრულებისათვის².

1815 წ. 11 აგვისტოს თარილით დაწერილს მემორიალურ ბარათში
უკვე ნათქვამია, რომ დეისტ. სტატ. სოვეტნიკ მალინსკის თავ-
მჯდომარეობით შედგენილი იყო, ზოგიერთ მოხელეთაგან, განსაკუთრე-
ბული კომიტეტი (օციბუმის კომიტეტი), რომელმაც უკვე დაამთავრა
აღათების აღნუსხვაო³. ხოლო იმავე თარილით საქ. მთავარსარ-
დალ გენ. რტიშჩევისათვის წარდგენილ მოხსენებაში გენ.-მაიორი
სიმონოვიჩი აღნიშნავს, რომ „უკვე სავსებით დასრულებულ იქნა
ქართველთა აღათების თავმოყრა“, რისთვისაც იგი ამავე მოხსენე-
ბასთან ერთად აღენს „აღათების“ კრებულს „на грузинском ди-
алекте, с переводом на русский“. ამავე მოხსენებიდან ჩანს, რომ
აღათების შემკრები კომიტეტის თავმჯდომარედ მალინსკის შემდეგ
ყოფილა თვითონ სიმონოვიჩი, ხოლო წევრებად: თავადები
სტატსკი სოვეტნიკი ფალავანდიშვილი, პოდპოლკ. ივანე
ანდრონიკაშვილი, კოლექსკი სეკრეტარი დარჩო ბებუ-
თაშვილი, ნადვორნი სოვეტნიკი ზურაბ ორბელიანი და
პრაპ. თამაზ ქობულაშვილი, „которые чиновники, зани-
маясь собиранием сих законов, привели в совершенное окон-
чание“—თ—წერს გენ.მ. სიმონოვიჩი⁴.

¹ იქვე, ფურც. 23.

² იქვე, ფურც. 26—30

³ იქვე, ფურც. 31.

⁴ АКАК, Т. V, 1873, Т. № 313, стр. 255.



ამგვარად, როგორც იქნა, დასრულდა „ჩეულებითთა ჰსჯულთა“¹ შეკრება, რაშიც უშუალო და ძირითადი მონაწილენი, როგორც უკანასკნელი დოკუმენტიდან ჩანს, იყვნენ თავადები: ფალავანდიშვილი, ი. ანდრონიკაშვილი, დ. ბებუთაშვილი, ზ. ორბელიანი და თ. ქობულაშვილი, რომელთაც ვინ უწყის, არა მარტო შემკრებ-ჩამწერთა, არამედ იქნებ, ნაწილობრივ მაინც, ავტორთა პრეტენზის გამოცხადების უფლებაც-კი აქვთ.

„ჩეულებითთა ჰსჯულთა“ რუსული თარგმანი („Обычай, введенные при грузинских царях законом“) უკანასკნელად 1887 წელს გამოსცა ა. ს. ფრენკელმა, დიმ. ბაქრაძის რედაქციით²; რაც შეეხება ქართულ დედანს, იგი დღემდე არამცთუ არ ყოფილა გამოქვეყნებული, არამედ საერთოდ მისი არსებობაც არ იყო ცნობილი, როგორც გ. ქ. ბაგრატიონ-მუხრანსკისათვის, რომელმაც გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში დაბეჭდა, თავისი დროისათვის, ფრიად საინტერესო მონოგრაფია მე-19 საუკუნეში ვახტანგის კანონთა მოქმედების შესახებ³, ისე თვით დიმ. ბაქრაძისათვისაც, რომელმაც გამოსცა მისი რუსული თარგმანი. „ადათების“ ქართული ტექსტი ჩეენ ვიპოვნეთ საქართველოს ცენტრალურ საარქივო სამმართველოს მთავარი საისტორიო არქივის მე-5ა — ფონდში: „Казенная Экспедиция Верховного Грузинского Правительства“ საქმის № 110, 1809 წ., „Об Обычаях Грузин“. ამავე საქმეშია დაცული მიმოწერაც „ადათების“ შეკრებისა და თარგმნის შესახებ.

ვახტანგ VI კანონებისა და გამოქვეყნებული „ადათების“ მე-19 საუკუნეში მოქმედების ისტორია ფრიად საინტერესოა და სპეციალური მონოგრაფიის საგანს წარმოადგენს. ქართულ იურიდიკულ ინსტიტუტთა ისტორია მე-19 საუკ. ჯერ კიდევ სავსებით ხელუხლებელი თემაა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დაძველებულსა და თანაც მნიშვნელოვანი პირველწყაროების გარეშე დაწერილს გ. ბაგრატიონ-მუხრანსკის ნარკვეეს. ამ საკითხზე შეჩერება აქ უადგილოც იქნება, მაგრამ ის კი უნდა აღნიშნო, რომ „ადათების“ აღმნისაველ თუ „შემთხვევლ“ თავადობას — როგორც ამას „ადათების“ ვახტანგის კანონებთან ზერელე შედარება გვარშემუნებს — შესამჩნევი ნაბიჯი გადაუდგამს წინ კერძოდ ბატონყმური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება-გამკაცრებისათვის. გარდა ამისა „ადათები“ სავსებით უდრტვინველად ეწევა ვახტანგის განქიქებას და ყოველმხრივ მისიწრაფის ისარგებლოს გამოცვლილი პოლიტიკური მდგომარეობით,

¹ „Сборник законов ц. Вахтанга VI“, 1887, Т. стр. 366—382.

² „Юридическое обозрение“, 1886 г. № 265, и пр.



რათა შექმნას გაბატონებული ბრწყინვალე წოდებისათვის ხელისაფაუნდი და სამართლებრივი უფრო მკვიდრი წოდებრივი პრივილეგიები, რამდენადაც ის დაწერილ კანონად უნდა გადაქცეულიყო, რომლის ურყოველ განხორციელებას უზრუნველყოფდა თვითმპყრობელობა.

ტყუილად როდი ხდებოდა გაცხარებული შეხლა-შემოხლა და უთანხმოებანი „ადათების“ დამჯენ ქართველ თავადებს შორის. თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნეთ, ყოველივე ეს სპეციალისტის მიერ წარმოებული კვლევა-ძიებით უნდა იქნას საბოლოოდ დადგენილი.

დასასრულ, ქვემოთ გამოქვეყნებული „ადათების“ ტექსტისათვის უნდა აღნიშნოთ:

ცალკეულკე მუხლებისათვის გაკეთებულ შენიშვნებში ხსენებული ვახტანგის ქანონის პირველ წიგნად იგულისხმება თვით ვახტანგ VI კანონები; მეორე წიგნად ბერძნული კანონები (ვახტანგისავე რედაქციით), მესამე წიგნად — სომხური კანონები, მეშვიდე წიგნად — მოსეს კანონები; დანარჩენი შენიშვნებშივეა აღნიშნული.

ჩვენი დედანი დაწერილია ორ სვეტად დაყოფილ თაბახზე. პირველ სვეტში თანმიმდევრობით ჩაწერილია „ადათები“, ხოლო მეორე, უფრო ვიწრო, სვეტში — შენიშვნები, რომელთაც ჩვენ ყოველ შესაბამი მუხლის ქვემოთ ვძეჭდავთ. კუთხოვან ფრჩხილებში [] ჩასმული სიტყვები და ასოები ჩვენია. ტექსტი თავდაპირველი მართლწერითაა დაბეჭდილი; ჟუვასწორეთ აშკარა წერითი ლაპსუსები და კიდევ ზოგან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, სადაც უამისოდ აზრი გაუგებარი იქნებოდა; მოვიშველიეთ სასვენი ნიშნები.

1937. II. 28.

საქართველოს ძიელთაგან და ჩიეულებითად ჩართველ შეცვალა დროთა შემოღებული პეჯული

I

საზოგადო მამულისა და ყმის მონახულეთაოფის

1. ნასყიდობის სიგელს თვით ყმისა და მამულის გამსყიდველნი დაუწერდნენ, ანუ, წერის არცოდნისა გამო, გარეშე კაცს დააწერინებდენ და მისცემდენ მსყიდველს იქ დამხუდურთ ლირს გვამო დამოწმებით; გარნა მათ არათერი მეფის სასარგებლოდ პოშლინა არ ედვათ, და მხოლოდ ტფილისა შინა ნასყიდობის სიგელი დაიწერებოდა ტფილისის მელიქის გამოძიებით და ლირსად რწმუნებულის მოქალაქეთ დამოწმებით და რუბლზედ ერთი შაური პოშლინა, ეკვლესიის ყმათ გარდა, გამოერთმეოდათ მათის შერიგებისამებრ მსყიდველს ანუ გამსყიდველს მეფის სასარგებლოდ და უკეთუ შერიგებული არ იქნებოდნენ პოშლინა მხოლოდ გამსყიდველს გამოერთმეოდა და ისეთინი სიგელი შემდგომ ხელმოწერისა და ბეჭდის დასმისა არ მოიშლებოდა და არც მიმსყიდველს ანუ მემკვიდრესა მისა ეძლო გამოხსნა გამსყიდველის ყმისა და მამულისა:

შენიშვნა: მეფის ვახტანგის კანონის მესამეს წიგნის სმ, სმა და სმგ მუხლი არ მოხმარებულა.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

ყმისა და მამულის სყიდვა პირველ გამსყიდავის მონათესავეს შეხვდებოდა შემდგომ მომიჯნავესა იმ ფასათ რაერთსაც სხვანი შეაძლევდნენ და უკეთუ ისინი არ ისურვებდენ სყიდვას მერმე ყველას შეეძლო სყიდვა არამედ ვინც მეტს ფას მისცემდა სიგელი იმის სახელზედ დაიწერებოდა:

შენიშვნა: მეფის ვახტანგის კანონის მეორეს წიგნის იგ მუხლი ამ ჩვეულებისამებრ მოხმარებულარს.

2. მრავალ არიან საქართველოსა შინა ნასყიდობის სიგელი და ხელწერილი არა მქონებელნი წელთა თვის რიცხვთა და არცა დამტკიცებული ბეჭდით ანუ საკუთრის ხელმოწერით, არამედ ნაცულად ბეჭდისა და ხელმოწერისა დასმულ არიან ნიშნად ჯვარნი და მელნით

დაწებებულის თითოთ გაშავებულნი ადგილნი; გარნა ესეთნი სიგელნი ნამდვილ აღიარებულ იყვნენ, უკეთუ სიგელსა მას შინაგან წერებულნი მამულნი და ყმანი ეჭირვებოდა მსყიდველს და ექნებოდა მით სარგებლობა.

II

ხაზოგადო თამასუქით გალისათვის

3. თამასუქი და ხელწერილი რომელიც მიმცემისაგან ნამდვილ აღიარებულ იქმნებოდა, უკეთუ ისი მიაწევდა სასამართლო ადგილთა შინა, იმას არა რაი დააყენებდა თუ არ ბათილამა, და დასაცველად საზოგადო ესტიბრისა¹ და ვაჭრობის წარმართებისათვის აიძულებენ ყოვლის ლონითა მოვალეს გარდახდისათვის, არა ქონებისა გამო ხელად თეთრისა გასყიდვით ანუ დაგირავებით მოძრავის და უძრავის ქონებისა თვინიერ ყოვლისა პალლაციისა და სამართლის წარმოებისა, ხოლო უკეთუ მოვალეს ექნებოდა მასესხებელისაგან ბარათი თამასუქის რიცხვში მიცემულისათვის ისი რიცხვი გამოეანგარიშებოდა რაერთიც ბარათით ცხად იყოფებოდა.

4. ვალისათვის ოდესაც საჩივარი მიაწევდა სასამართლოდ, რომ თამასუქში სარგებელი წერებულიყო მაშინ ჯერეთ მიუცემელს სარგებელს თუმანქედ თვეში ორშაურს გაუჩენდნენ, მაშინაც თუნდა თამასუქში მეტის სარგებლის მიცემაც წერებულიყო:

შენიშვნა: მეფის ვახტანგის კანონის მესამეს წიგნის სლბ, მეხუთეს წიგნის მვ, მეშვიდეს წიგნის ლთ მუხლი არ მოხმარებულარს.

5. ესეც მოხდებოდა მოვალე სარგებელს თვე და თვე ძლევას დაუწყებდა თეთრის პატრონს ასე, რომ ხეთს ანუ ექვს წელს გაევლო [ვალის] აღებიდამ და სარგებელი მიცემული ჰქონიყო და თავნი ისევ დარჩიმილ ყოფილიყო, და მასუკან რამდენიმე ხანი გასულიყო სარგებელი აღარ ეძლია ასე, რომ თავნს სარგებელი შესწორებიყო და იქნებოდა კიდეც გარდამატებოდა, მაგრამ როდისაც საჩივარი შეექმნებოდათ იმ პირველიდ მიცემულს სარგებელს ველარ უანგარიშებდენ თეთრის პატრონს, არამედ თავნს ერთი ორად გამოართმევდენ და მასესხებელს მიცემდენ:

შენიშვნა: მეფის ვახტანგის კანონის პრეველის წიგნის რკე მუხლი ამ ჩვულებისამებრ მოხმარებულარს.

6. ვისაც ექნებოდა თამასუქი ანუ სხვა წერილი ვალით და

¹ რუსულ თარგმანში „ესტიბრისა“-ს შესაბამ ადგილას სწერია „კრედიტისა“.



ვადაშედ მოვალე არ გარდუხდიდა იმ თეთრს საჩივრის შემდგომ მიცე-
მამდის სარგებლით მიაცემინებდენ თუნდა თამასუქში სარგებელის კ-
ხსენებულ არ ყოფილიყო, ხოლო თუ ვისმე ბარათით ანუ ნუსხით
ემართებოდა ვისიმე თეთრი და სარგებლის მიცემისათვის წერილით
შეკრულ არ იქნებოდა, მაშინ გავლილის ხანისათვის სარგებელს არ
გაუჩენდნენ.

III

საზოგადო გირ[ა]ოთ აღებულის გალისათვის

7. ვინც აიღებდა ვალს და დაუგირავებდა რასმე თეთრის პატ-
რონს მოძრავს ანუ უძრავს ქონებას და იმათში ლაპარაკი შეიქნებოდა
ასე, რომ სასამართლოდ მიწევნულ იყო, მაშინ თუ დამგირავებელი
გაშინვე გირაოდამ ხელს აიღებდა თეთრის პატრონი ვეღარას იტ-
ყოდა, თუნდა ნაკლებათაც ლირებულ-იყო უნდა თავის გირაოს დას-
ჯერებიყო, უკეთუ მოვალე შეკრულ არ იქნებოდა პირობით, რომ
თუ შემთხვევით გირაო საკმარ არ ყოფილიყო სხვას ქონებიდამ შე-
ესრულებინა და თუ გააცოდვილებდა და ალაპარაკებდა არც გირა-
ოს მოაკლებდენ და საჩივრიდამ თეთრის მიცემამდინ სარგებლით მია-
ცემინებდენ, თუნდა გირაოდამაც არ შესრულებ-იყო:

შენიშვნა: მეფის ვახტანგის კანონის ბერძულის მეორეს წიგ-
ნის რა მუხლი ამ ჩვეულებისამებრ იხმარებოდა.

8. რომელსაც მასესხებელს ნასესხების თავინისათვის გირაოთ ექ-
ნებოდა როგორიმე მოძრავი თუ უძრავი ქონება იმას არა რომლი-
სამე მიზეზით მოაკლებდენ თავის გირაოს, და უკეთუ ისი გირაო
იქნებოდა სხვასთანაც დაგირავებული ოდესაც გაყიდდნენ იმას, პირ-
ველად სიგ[ე]ლით მოგირავნეს მიეცემოდა თეთრი და მასუკან შემ-
დგომსა და უკეთუ უსიგელოდ იქნებოდა გირაოდ, მაშინ პირველ
მოგირავნის თეთრის მიცემის შემდგომ დანარჩომს მეორეს მისცემდენ.

9. თუ რომ პირველის მოგირავნის გირაოს ფასიდამ თეთრის მი-
ცემისას იმდენი თეთრი არ დარჩებოდა, რომ უკანასკნელ მოგირავ-
ნეთაც მისცემიყო კმაყოფი, მაშინ რადგანაც მოვალეს ერთი მამული
მოტყუებით სიგლით და უსიგლოდ ორისა და სამის გვამისათვის და-
ევირავებინა ამისათვის იმათვისაც სხვა უგირავნ[ო] მასესხებელსავით
მიაცემინებდენ კმაყოფას.

10. რომელსა კაცსაც როგორიმე თავის მამული რამდენისამე რი-
ცხვისათვის გირაოთ მიცემული ექნებოდა ვისთვისმე ამ სახით, რომ
სარგებლის ნაცვლად გირაოს შემოსავლიდამ ესარგებლა და გირაოს
წიგნშიაც ესრედ დაწერილ იქნებოდა „რერთხანსაც შენი თეთრი

ჩემთან დარჩეს არც შენ თეთრის სარგებელი მოხვევო და არც მე ჩემ გირაოდ მოცემულის მამულის „შემოსავალი“, ამისთანას შემთხვევაში ვიდრემდის მასეხებელს თავნს სრულებით არ მისცემდენ გირაოს არ ჩამოართმევდენ რაც უნდა დიდხანს მასესხებელს სჭრიყო გირაო და სარგებლის მიხედვით გირაოს შემოსავლიდამ სარგებლობაც მეტი ქონიყო:

შენიშვნა: მეფის ვახტანგის კანონის სომხურის მესამეს წიგნის სლებლი ამ ჩვეულებისმებრ მოხმარებულარს.

11. ბევრჯერ მომხდარა, რომ ვალს აიღებდენ და თეთრის პატრონს მისცემდნენ მოძრავს თუ უძრავს მეტად ლირებულს ქონებას გირაოთ და წიგნშიაც სხვათა შორის დაუწერდნენ „შენს თეთრში ეს მამული დაგივირავეთ, თუ ამ ვადას გარდავაცილო და შენი თეთრი არ მოგცე გირაო შენი იყოს“; ამ გვარს საქმეს სპარსულის ენით ბეუშათი ეწოდება, მაგრამ ამგვარი წერილი საქართველოსა შინა შეუწყნარებელი იყო და არც უსაქმნია: გარნა მასესხებელს კანონისამებრ კმაყოფა მიეცემოდა ხოლმე.

12. ქამსა აღა-მაჰმად ხანისაგან ტფილისის აოხრებისა და დაწვისას მოხდა საჩივარნი სახლისა და დუქნის მოგირავნეთაგან, მაშინ მეფემან ირაკლიმ მოხელეთ თან დასწრებით დასდგა კანონად ტფილისა შინა რომელთაც აქუნდათ სახლი გირაოთ რაერთის თეთრისათვისაც მათ მოგირავნეთ მეოთხედი მოუკლო და სამი წილი მიაცემინა მოგალეს მასესხებელისათვის და რომელთაც დუქანი ჰქონდათ გირაოთ და დამწვარიყო მოგირავნეს ააშენებინა და დამგირავებელს მასუკან თეთრი მიაცემინა მასესხებლისათვის რაერთიც ემართა, თუ ორნი სამნი მოგირავნენი იყვნენ თავთავის კვალად დაუკლო თეთრი; არა თუ ეს მხოლოდ ტფილისისათვის დასდგა არამედ საყოველთაოდ, რომ სადაც ესეთი ცხადი საზოგადო წახდენა ქალაქთა და დაბათა შემთხვევიყო მასესხებელთ მოგალისათვის ზემო თქმულისამებრ შეემსუბუქებინა.

IV

საზოგადო ვალის გარდუმხდელთათვის

13. უკეთუ თავადნი ანუ აზნაურნი და მოქალაქენი აიღებდენ ვალს და თეთრის პატრონს აღარ გარდუხდიდნენ ბოროტ განზრახვით ასე რომ ექნებოდათ ალაგი გარდახდისა და თავს არ მქონებლად გამოაცხადებდენ და იმ გვარის მიზეზით გააჯანჯლებდენ თეთრის გარდახდას, მაშინ მოსამართლე[ნი] ძალის დატანებით ყმასა და მამულს გაუყიდენ და ისე მიაცემინებდენ თეთრის პატრონისათვის კმაყოფას;

არამედ მოგალის შვილს მამის სიკუდილს უკან პის გამო მემკვიდრეობის უარყოფა არ ეძღვო.

14. უკეთუ ვაჭარნი ანუ გლეხნი აიღებდენ ვალს და ამგვარ მიზეზებს მისცემდენ როგორც ზემო მუხლსა შინა წერილ არს თეთრის პატრონთ ასე რომ არა როგორიმე დაზიანება შემთხვევიყოთ მტრით, ცეცხლით და წყლით, არამედ მხოლოდ თეთრის პატრონის გაცოდვილებისათვის მოიფიქრებდენ რასმე, მაშინ მოსამართლენი დაიკერდნენ მათ მოვალეთ და ძალდატანებით გამოართმევდენ თეთრს:

შენიშვნა: მეფის ვახტანგის კანონის სომხურის მესამეს წიგნის [და] მა მუხლი არ მოხმარებულარს.

15. Հռմելու բոցալը ծորոշվածներուն զալս առ գարճութեածութա և օմաս Մյահնցեցութա, Հռոմ տազու Կողմուսատցու մոյցը լորյեցութեածութա և Մյահնցպահեցելու ոյնեցութա, Արամեց Կողմու մեռլութ միութեազու, Բնիշանու և Տորու Տանախացու մոյցըմութա և Սեցա Կոցալունց մոցալու յանցեած ալուտալութեածութա Մյահնցութա և Բուսակիմահեցելու նուտու գարժա:

შენიშვნა: მეფის ვახტანგის კანონის სომხურის მესამეს წიგნის რლდ მუხლი ცოლისა და რძლის მზითვის ვალში მიცემისათვის არ მოხვარებულა.

16. უკეთუ გლეხი ვინწე აიღებდა ვალს თავის ბატონის დაუკითხავად და იმის საჩივარი მიაწევდა სასამართლოდ, მაშინ მოიყვანდნენ გლეხს და რაც მოძრავი ქონება ექნებოდა იქიდამ გარდააწყვეტინებდენ ვალს და უკეთუ ვერ აუდგებოდა ვადას დაადებინებდენ რომ მოეგო და გარდეხადა, მამულსა და კაცს-კი არ მისცემდენ, ამიტომ რომ იმისის ბატონის დაუკითხავად მიუკია მასესხებელს თეთრი და თუ მებატონის ბეჭდით და ნებით იქნებოდა აღებული მამულსაც მისცემდენ და კაცსაც, თუ მოძრავის ქონებით არ აუდგებოდა.

17. დედაქაცს არ შეეძლო ქმრის¹ დაუკითხავად ვალის აღება
და არც ქმარი გარდუხდიდა მას და თუ ქმარი უკოლებოდა სხვას
მხარეს გამგზავრებული ანუ რომლისამე საიჯახოს საჭიროებისათვის
აიღებდა და მოახმარებდა ისეთი ვალი შეიწყნარებოდა და ქმრის¹
ქონებიდამ გარდიხდებოდა.

18. თუ ვინმე მოვალე წავიდოდა სხვას მხარეს და მასესხებელი იჩივლებდა მაშინ თუ ის ვალის ამღები იმ ქვეყნის საბრძანებელში იქნებოდა მოაყვანინებდენ მას იქ საცა მასესხებელი ცხოვრებდა ან საცემივლა, და თუ სამძღვარს გარეთ იქნებოდა იქაურს მეუფროსეს მი-

¹ წელნაწერში: „ქრმის“.

სწერდნენ მეგობრულად და სთხოვდენ იმ კაცის გამოგზავნას, თუ ამ
მოვიდოდა რაც ქონება ექნებოდა იქიდამ მისცემდენ კმაყოფას.

19. მოვალეს რომელსაც შეხვდებოდა მოულოდინებელი დაზიანება
ესე იგი ცეცხლით, წყლით, გაქურდვით, მტრისაგან დარბევით, და
ანუ გაჭრობით და ის ცხადად ცნობილ იქნებოდა მაშინ თუ როგო-
რიმე წინათ იმედი დაინახვებოდა, რომ რამდენსამე დროს უკან შეიძ-
ლებდა ვალის გარდახდას მეფის ბრძანებით და მასესხებელთ თან-
ხმობით დაუნიშნევდენ ვადას და იმ ვადამდის შეძლებისამებრ ვალს
გარდაახდევინებდენ და თუ იმედი ისი არ იყო, მაშინ ყოველსავე ქო-
ნებას გაუყიდნენ და მასესხებელთ თავნისა და სარგებლის მიხედვით
ვის რაერთი შეხვდებოდა გაუწილევდენ, გარნა გირაოს მქონებელი
გირაოსა თვისსა არ მოაკლდებოდა.

20. მოვალე რომელიც გარდიცვლებოდა და დარჩებოდა უასაკო
შეიღლი მაგრამ ქონება არა იმდენი, რომ მითი ვალის გარდახდა შეს-
ძლებიყო ამისთანას შემთხვევაში უკეთუ გამოძიებით დაინახვებოდა
რომ რამდენსამე დროს შემდგომ ის ობლად დარჩომილი შეიძლებდა
ვალის გარდახდას, მაშინ მოიხმარებდენ ცდას რომ მასესხებელი ვა-
დის მიცემისათვის ეთანახმავებინათ და ისე ვადას მისცემდნენ არა-
მედ ვალის გარდახდამდის არა როგორისამე ქონების გასყიდვა მასე-
სხებელთ უთანახმოდ არ შეეძლო.

შენიშვნა: მოვალის შეიღლს არ შეეძლო მეფის ვახტანგის
კანონის პირველის წიგნის რლთ და სომხურის მესამის წიგნის
რვგ მუხლს მინდობიყო და მამისა არც ქონება ენდომა და არც
ვალის] გარდახდა.

21. უკეთუ მცირეს წლოვანის მოვალის შეიღლისაგან არაფერი მო-
მავალს დროს ვალის გარდახდის იმედი არ დაინახვებოდა და არც
მასესხებელი ვალ[ა]ს მისცემდნენ, მაშინ გაუყიდნენ ქონებასა და მა-
სესხებელ[თ] გაუწილევდნენ თავნისა და სარგებლის მიხედვით და თუ
რომელიმე მასესხებელი უარშიობით თვისდა შეხვედრილს რიცხვს
არ მიიღებდა და დააცლიდა მას მოვალის ობოლს მაშინ ის ოდესაც
მოვალის ობოლი მოიქონიებდა შემძლებელ[ი] იყო გამოერთმევინა
ვალი თვისი შეძლებისამებრ.

22. მამის უმორჩილოს შეიღლისაგან აღებულს ვალს მამას ვერა
სთხოვდნენ კანონის ძალით, მაგრამ მამის სიკვდილს უკან თუნდა
ვალის ამღები შეიღლიც აღარ ყოფილიყო ცოცხალი იმ ვალს მამის
ქონებიდამ რაც ამღებს წილი შეხვდებოდა იქიდამ მიაცემინებდენ.

შენიშვნა: მეფის ვახტანგის კანონის პირველის წიგნის რმ
მუხლი ამ ჩვეულებისამებრ მოიხმარებოდა.

23. ყოველი ამხანაგობის და პირობის წერილი მოვაჭრე ამხანაგთა ვექილთა და ო[ი]რქაშივთა [ნოქართა] შორის დადებული აღსრულდებოდა სრულს ძალსა ზედა და ვერა რომელი მხარე ვერ შეიძლებდა იმის დარღვევას და ყოველთვის მოექცევოდნენ მათ შორის ქმნილის წერილისამებრ.

24. თუ რომელიმე ამხანაგი ვექილი და თირქაშივი თავიანთ შორის დადებულის წერილისა პირობისა და ანუ ამხანაგისაგან მიწერილის უკანასკნელის წიგნის წინააღმდეგ მოიქცევოდა, მაშინ მეორის ამხანაგის ნებაზედ იყო დამოკიდებულ უკეთუ თავიანთის ვაჭრობით მოგებას დაინახავდა თავისდა სასარგებლოდ პირობის წერილისამებრ დაიდებდა მოგებიდამ წილს და თუ ერთის მხრისაგან პირობის გარდასვლით დაზიანება შემთხვევოდათ თავნისა თვისსა თვეში თუმნის თავს ორის შაურის სარგებლით გამოართომევდა.

25. თუ ამხანაგთა ვექილთა და თირქაშივთა სხვასადასხვას ალაგს ყოფნით ერთმანერთან ანგარიშისა ანუ სხვას საჟიროებისათვის მოკითხვის წიგნით მიწერ-მოწერა ექნებოდათ ისი წიგნი დავის შემთხვევისას შეწყნარებულ იქნებოდა სრულს ძალსაზედა და რომელსა წიგნსა შინაცა თქმულ იქნებოდა, რომ იმას იმისი მართებს ესეოდენ რიცხვი თეთრი ანუ სხვა რაიმე ამისთანანი მიღებულ იქნებოდნენ ნაცვლად თამასუქისა და მიმწერი თანამდებ იყო უცვალებელის მიცემისა როგორისაც წოდებისა უნდა ყოფილიყო მასესხებელი ანუ მოვალე უკეთუ უკანასკნელი დამაყენებელი წერილი არ იქნებოდა.

26. ოდესაც ამხანაგთა ვექილთა და თირქაშივთა შორის სავაჭრო ანგარიშისათვის სხვადასხვა დავა უჯათი, და საძიებელი მოხდებოდა და იჩივლებდენ მაშინ იმ ღროს პატივცემულ ვაჭართ ჰკითხვევდნენ თავიანთს ვაჭრობაში იმ გვარის შემთხვევისათვის მოხმარებულს რიგს და ისე მოექცეოდნენ.

27. ვისაც ექნებოდა ვისთანმე ანგარიშით დავა გინა დავთრით და ისინი იმ დავის გარდასაწყვეტელად არ მოინდომებდენ კეთილმნებელობით ბჭის აღმორჩევას და შეიტანდნენ საჩივარს მაშინ იმ საანგარიშებლის შესაფერს ვაჭართ მიანდობდენ მათის ანგარიშის ნახვას და შემდგომ იმ ვაჭართაგან ქმნილის ანგარიშის გაშინჯვით მისცემდენ გარდაწყვეტილობას.

28. რომელიც შეიღი მამის სიცოცხლეში სარისტაში და აღებ-მიცემაში ყოფნისას აიღებდა ვალს რომ იმას აღებ-მიცემა მამის ცოდნით ჰქონიყო, და ან ოჯახზედ დახარჯული და მოხმარებული ექ-

ნებოდა რომ მაშინ იმ ვალის გარდახდისათვის მამა ისე მოვალე იყო
ვითარცა თავისაგან აღებულისა.

29. რომელიც ვაჭარი სხვაზედ წადავებისას თავის თხოვით შეაკ-
ვრევინებდა მოსამართლეთ მოპასუხის საქონლს ანუ თეთრს და ისი
შემდგომ თავის სადაოს ვე[რ] უსაბუთებდა და გამტყუნდებოდა, მა-
შინ იმ ტყუილს მოდავეს შეკრულისა საქონლისა და თეთრისათვის
რასაც მოგებას და სარგებელს მოსცდებოდა აზლვევინებდენ.

VI

გარდაცვლილ კაცთათვის

30. უკეთუ ისეთი კაცი მომქვდარიყო კეთილშობილთა ანუ
მოქალაქეთაგანი, რომელსაც დარჩომიყო ქალნი გაუზითავნი და ეყო-
ლებოდა ვაჟი-შვილი, გაუყრელი ძმა, ანუ ძმის წული ამისთანას
შემთხვევაში ქონებასა მისესა დაიმკვიდრებდენ შვილი, ძმანი და
ძმის წულნი და ქალს შეძლებისამებრ გამზითევდნენ მაშინაც თუნდა
მამისაც არა დარჩომოდათრა.

31. რომელიც კეთილშობილი გარდიცვლებოდა არ დარჩებოდა ვაჟი
ანუ ქალი და არცა გაუყრელი ძმა ანუ ძმის წული, მამულთა მისთა
საქართველოს მეფენი არა ითვისებდენ საყოველთაოდ ხაზინის სასა-
რგებლოდ არამედ უბოძებდენ თვით უშორეს ნათესავთაცა და არა
შეიძლების თქმა რომ მმნებელობითა თვისითა ოდესმე გარეშეთა თვი-
სიცა არ ებოძებინოს შემთხვევასა შინა მძიმის გარემოებისა ანუ ჩი-
ნებულის სამსახურისა ამღვრეულთა ღროთა შინა აუცილებელის სამე-
ფოს საჭიროებისათვის, ხოლო მახლობელთა ნათესავთათვის ოთხ
თაობადმდე თანამდებ იყო მოქცევად ძიროვანის ჩვეულებითა სწო-
რედ ისე როგორც ბრძანებულ არს ქანონსა შინა მეფის ვახტან-
გისა¹.

32. გარდაცვლილს მოქალაქეთ, რომელსაც არ დარჩებოდა ვაჟი
გაუყრელი, ძმა ანუ ბიძაშვილი არამედ ქალი, ამისთანას შემთხვევაში
ქეთხუდების და მოყვარების მარიფათით იმ ქალის ქმარს ზედ სიძეთ
შეიყვანდნენ და დააპატრონებდენ გარდაცვლილის ქონებას და შეიქ-
მნებოდა ისი ისე სამეფო ხარჯის მძლეველი ვითარცა მამულის პატ-
რონი იყო და უკეთუ ქალიც არ ეყოლებოდა ცოლს შეეძლო ქმრის
ახლო მონათესავეთაგანი შვილად აეყვანა და ქმრის ქონებაზედ
დაეპატრონებინა.

¹ რესულ თარგმანში ამ სიტყვის შემდევ სწერია: „მესამე ჭიგნის 251 და 253
მუხლებით“.

6. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის—პ. გუგუშვილი.

33. გარდაცვლილს კაცს რომელსაც არ დარჩებოდა ვაჟი-შვილი,
გაუყრელი ძმა, ბიძა და ბიძაშვილი არამედ ქალნი გათხოვილნია, არა
მაშინ იმ კაცისაგან მონაღვაწი ქონება გაეწილეოდათ მხოლოდ ქალი
და წინაპართაგან დაშთომილს ქონებას ტფილისის მოხელე რამდენი-
სამე ქეთხუდის და სამღვდელო გვამთ დასწრებით გაუწილევდა გარ-
დაცვლილის კაცის მონათესავეთ და იმ ქალთაცა მეტნაკლებ სისხ-
ლის მიხედვით, აგრეთვე სულის მოსახმარისადაც გარდასდებდენ
ნაწილსა გარდაცვლილის კაცის კანონიერის ანდერძის მიხედვით,
გარნა პირველ ქონებიდამ ვალს გარდუხდიდნენ და შემდგომ ზემო-
თქმულებისამებრ მოექცეოდნენ.

34. თუ ასეთი მოქალაქე გარდიცვლებოდა, რომ მას არც შვილ-
ნი და არც მამეულ-დედეული ახლო მონათესავუნი არ დარჩებოდა,
მაშინ ქონებასა მისსა იმისთანა მონათესავე და მოყვარე ვერ დაიმ-
კვიდრებდა რომელთა შორისაცა დიდინის დაშორებით ერთმანერთში
სჯულიერის კანონით მოყრობა მოხდებოდა. არამედ დანაშთომსა
გარდაცვლილის ქონებას გასწილევდნენ სამს წილად, ერთი წილი მიერ-
თმეოდა მეფეს სამატლო დასახარჯავათ, მეორე ტფილისის მოხელეს
და ქეთხუდებს საზოგადოების სასარგებლო დასახარჯავათ და მესამე
გარდაცვლილის კაცის მოძღვარს და რამდენსამე სამღვდელო გვამთ
გარდაცვლილის სულის მოსახმარისად, როგორათაც ამა მოხელებთა
შინა თქმულების თანახმად კიდეც იქონება მეფეთ წყალობის სიგელი.

35. რომელნიც კეთილშობი[ლ]თა, მოქალაქეთა ანუ გლეხთაგანი
როგორისამე სახით გრანიცას გარეთ გავიდოდნენ და იქ დასახლდე-
ბოდნენ, თუ იმას არ ეყოლებოდა შვილნი ანუ გაუყრელი ძმა, ბიძა
და ბიძაშვილი მაშინ ქონება მისი სამეფოდ დაიდებოდა და ვისაც
ენებებოდა მას უბოძებდა, მაგრამ თუ იმ კაცს ვალი ექნებოდა პირვე-
ლად ქონებიდამ ვალს გარდუხდიდნენ და შემდგომ ზემოთქმულისა
მებრ მოექცეოდნენ.

36. კეთილშობილთ და მოქალაქეთა არა მყოლელთ ვაჟიშვილისა
ვისაც ეყოლებოდა მხოლოდ ქალი შეეძლო დაემკვიდრებინა ქონებასა
თვისსახედა ქმარი ქალისა და ისრედ დაიმკვიდრებდენ იმ ქალთან
ნაყოლნი შვილნი[,] არამედ კეთილშობილთ გვარისა და ლირსების
გარდაცემა უმეფოდ არავის შეეძლო.

37. კეთილშობილთა და მოქალაქეთაგანნი ძმანი ანუ სხვანი
ნათესავნი უკეთუ იქნებოდნენ გაუყრელნი მათის მამულის შემოსავლის
მოხმარება თავს ეყუდა¹ უფროს ძმას უკეთუ ისი ვნებულ არ იქნე-

¹ დედანში აქ სწერია: „თვის ეყოდა“; რუსულ თარგმანში: „управление их именем принадлежало старшему брату“.

ბოდა და თუ მას არ შეეძლო ისი ვინც შემძლებელ იქნებოდა მათში სახლის კეთილ წარმართებისა ყოველივე შემოსავალი მისის განგებით იქნებოდა მოხმარებული სახლის საჭიროებისათვის და გაყრისას ოც ქონება ანუ ვალი ექნებოდათ ყოველსავე თანასწორ გაიყოფდნენ.

38. გაუყრელი სახლის შვილი ვინც დარჩებოდა მცირე წლოვანი რომ მას ეყოლებოდა ძმა ანუ ბიძა შემძლე მამულისა და სახლის მოვლისა¹ მის წილის შემოსავალს ის მოახმარებდა მასა და სახლსაც, უკეთუ ის უფროსნი იქნებოდნენ ბედოვლათნი შემოსავლისა და ჩამომავლობითის ქონების გამფუქებელნი ანუ წამგებელნი და ცნობილ იქნებოდა მაშინ მეფე, თუ მოსამართლე, ან მუნებური მოხელე და მცირე-წლოვანის მონათესავენი დაუყინებდნენ კაცს ზედამხედველად და აღარ გაუფუქებინებდნენ მის მცირეს წლოვანის წილს შემოსავალისა და იქნებოდა კიდეც გაეყარათ ერთმანერთისათვის და სანამ ის მცირე წლოვანი გაიზრდებოდა მის ახლო მონათესავეს მიუბარებდნენ ყოველ-სავე მისდა შეხვედრილს მამულსა და შემოსავალს დასაცველად.

VII

გაყრისათვის²

39. კეთილშობილთ და გლეხთ გაყრისათვის მეფის ვახტანგის კანონის პირველს წიგნსა შინა სახმარებლად წერილ არს რომელიცა მოხმარებულარს და იხმარების კიდეც გარდა მოქალაქეთა და მოქალაქეთ გაყრისათვის იხმარებოდა შემდეგნი ჩვეულებანი.

40. გაუყრელ ძმათა, ბიძათა და ბიძაშვილთა ერთობასა შინა შემთხვეული კირსა და ლხინში ხარჯი, ზარალი, მოგება, ვალი, ასა-ლებ-მისაცემი: ესე ყოველივე საერთოდ აღეთვლებოდათ და გაყრისას საერთო ქონება თანასწორ გაეწილვოდათ, თვინიერ ქვემო აღწერილის მუხლებსა:

¹ ეს სიტყვა („მოვლისა“) დედანში ორჯერაა დაწერილი.

² ვახტანგ VI კანონით (იხ. მუხლი: რა.) საქართველოში გაყრისათვის გაყოლილი მამულიდან და ყმებიდან სამეფო ხაზინის სასარგებლოდ მიღიოდა მეოცედი ნაწილი. გასამყრელო მიქონდა არა მხოლოდ მეფეს, არამედ მთავარსაც და კათალტკონსაც, თვითმყრობელობამ, რომელსაც ადგილობრივი თავადაზნაურობა თავის დასაყრდენ ძალად გადაექცია და რომელსაც ამდენადაც სურდა თავადაზნაურობის მომადლიერება, 1810 წლის 7 აგვისტოს კანონით, უკანასკნელი გათავისუფლა ამ გამოსაღებისგან. ამ კანონში კითხულობთ: „.... оное положение царя Вахтанга, яко отяготительное для частных людей, отменить, предоставляем грузинскому дворянству разделять вперед движимые и недвижимые имения на существующих в Грузии узаконениях, без всякого в пользу казны выдела“; მხოლოდ გაყრის აქტები უნდა დაწერილიყო გასაყოფი ქმნების ფასის შესაბამ საღერბო ქაღალდზე (იხ. ПСЗРИ., თ. XXXI, № 24318, стр. 306—7).

41. ოდესაც ძმანი, ბიძანი და ბიძაშვილნი თავიანთის კეთილგენერაცია
ბობით არ გაიყრებოდნენ და მოხდებოდა ჩივილი, მაშინ ტფილისის
მოხელე ეცდებოდა რომ მათ თავიანთ გასაყრელათ დაენიშნათ რამ-
დენიმე მოქალაქე, თუ ისინი ამას არ მოინდომებდენ დაუნიშნევდა
თითონ რამდენსამე პატივცემულს მოქალაქეთაგანსა და მიანდობდა
მათს გაყრას და უკეთე საჭიროდ დაინახევდა თითონაც დაესწრებო-
და—თუ არა ისინი გაპყრილნენ ესრედ.

42. გაყრისა შინა შესვლისას თუ ერთს მეორეზედ ეჭვი ექნებოდათ
და გამყრელნიც იმ მოლებულს ეჭვს დაინახევდენ მართლად და კიდევ
ამჯობინებდენ შეკვრას, მაშინ ვის ხელთაც მათი საერთო ქონება
იქნებოდა იმას შეკრევდენ.

43. უფროს ძმას მამულისა და ქონების მიხედვით ერთ-ერთს
მამულს საერთოდამ საუფროსოდ მისცემდნენ; და თუ მცირე ქონება
ექნებოდათ, რომ მამული არ ერგებოდა¹ მათის შეძლების მიხედვით
თეთრს მისცემდნენ, მაგრამ თუ იმ უფროს ძმას დიდხან ოჯახი შეე-
ნახა ჭირი და ლხინი გარდეხადა, აგრეთვე თავის ოჯახისათვის არა
დაეკლო რა, იმას უფრო მეტს საუფროსოს მისცემდნენ.

44. თუ უფრო[ს] ძმას გაყრამდის ქალები არ ეყოლებოდა გათ-
ხოვილი და გაყრისას გასათხოვარი ქალები ეყოლებოდა მათის შეძ-
ლების მიხედვით ერთის ქალის ზითევ[ს] მისცემდნენ საერთოდამ და
თუ გათხოვილნი ეყოლებოდა არას მისცემდნენ.

45. რომელიც ძმა გაყრამდის დაუსახლებელი იქნებოდა გაყრი-
სას რაც უფროსის ძმის ცოლისათვის ნიშნად გაგზავნილა უმცრო-
სებსაც იმ ფასის ნიშანს მისცემდნენ საერთოდამ, თუ ისიც პირველი
შეძლება ექნებოდათ, აგრეთვე საქორწილოსაც თეთრად გაუჩენდნენ
იმ ღროინდელის მათის შეძლებისამებრ.

46. რომელს ძმასაც უფროსს თუ უმცროს თავის საკუთრის
გარჯით თეთრი ანუ ქონება მოპოვებული ექნებოდა და თავისის ღვაწ-
ლით შემატებული იქიდამ იმის გარჯის და მოგების მიხედვით საჭირ-
ნახულოს მისცემდენ და დანარჩომს ძმათ გაუყოფდენ.

47. გაყრისას თუმცა რომლისამე ძმისაგან აღებულს ვალსაც
საერთოს ქონებიდამ მისცემდნენ ანუ როგორც ქონებას გაუყოფდენ
ისე ვალსაცა, მაგრამ თუ ვალის ამღებს ძმას თავის ბედოვლათობაზედ
გაეფუჭებინა ესრედ რომ არც ოჯახზედ და არც თავის სახმარებელს
წარუდათ მოექმარებინა, არამედ ბედოვლათობით გაუფუჭებია და
ეგრეთვე ის აღებული ვალი ვაჭრობით არსად დაზიანებია და იმ
ვალის საერთოდამ მიცემას გამყრელნი დიდს დაკლებად დაინახევდ-

¹ „რომ მამული არ ერგებოდა“ — დედანში განმეორებულია.



წენ ასე რომ ვალის ოდენი იმას არა თუ წილი არ შეხვდებოდა არა მედ სხვა ძმათაც თავისიანთის წილიდამ დაკალდებოდათ, მაშინ გამყრელნი სვინდისისამებრ მოიქცევოდნენ, იმ ბედოვლათის ძმისაგან აღებულს ვალს სრულებით საერთოდამ არ გარდუხდიდნენ, არამედ ცოტას რითამე შემწეობას მისცემდენ.

48. გაყრის დროს ვისაც რა ტანისამოსი ანუ იარაღი ექნებოდა ყველას თავთავისას მისცემდნენ, თუნდა მეტნაკლებადაც ღირებულიყო და თუ მამული, თოფი, იარაღი იქნებოდა დარჩომილი იმასაც რომელს უნცროს ძმას არ ექნებოდა იმას მისცემდენ.

49. რაც საოჯახო წიგნი ანუ ასეთი რამ იქნებოდა რომ გაწილვა არ შეიძლებოდა იმას უფროსს ძმას მიაბარებდენ; თუ რომ ის უფროსი ძმა გიერ ანუ ბნედიანი და ანუ ბედოვლათი არ იქნებოდა: ესრედ რომ ის მიბარებული საჭიროს დროს ყოველს ძმათ შესძლებიყო მოხმარება.

50. გაყრის დროს ვისაც რაერთი ვალი შეხვდებოდა ის იმას უნდა გარდაეხადა ანუ თავისის საკუთრის თამასუქის მიცემით მასესხებელი შეეჯერებინა და ძველი თამასუქი დაეხსნა, რომ მეორე ძმებთან მასესხებელს დავა ალარა ჰქონიყო და თუ ამას არ იქმოდა და არც მეორე ძმები უბეჯითებდენ რომ ისრე ექნევინებინათ, მაშინ ერთობაში მიცემულის თამასუქის ძალით თეთრს იმას გამოართმევდნენ ვისაც მათგანს შეძლება ექნებოდათ.

51. გაყრის დროს თუ რომლისამე ძმისათვის სიმამრიდგან ფეშკაშათ მოსული თეთრი აღმოჩნდებოდა დახარჯულად იმ თეთრს უსარგებლოდ საერთოდამ მისცემდნენ, იმას ვის სახელზედაც მოსულიყო; თუ რომლისამე ძმის ცოლის მზითევი თეთრი თუ ნივთი საოჯახოდ დახარჯული იქნებოდა იმას საერთოდგანვე სარგებლით მისცემდნენ ისე როგორც გარეშე მასესხებელს და თუ რომ მას ქალს ექნებოდა გაცვეთილი, დახარჯული ანუ დაკარგული იმას კი არ უზღამდნენ.

52. გაყრისას დედას ანუ დედის-ნაცვალს ზითვისა, ნიშნისა, პირის სანახავისა ანუ ქმრისაგან ნაჩუქებისა რაც რომ ექნებოდა ისინი მათვე მიეცემოდათ და თუ იმაებისაგან თავის ქალების გათხოვებისას ექნებოდა მზითვად მიცემული რამ იმას კი არ უზღვევდნენ; და გარდა იმისა უკეთუ გათხოვდებოდა ისა მხოლოდ სამარხს რა თუ არ გათხოვდებოდა სარჩოსაც მისცემდენ და სამარხსაც რაოდენსამე რიცხვს დაუნიშნევდნენ შეძლებისამებრ; და იმ მიცემულს მზითევს და ნიშანს თუ სახელდობრ რომელსამე შვილს განსაკუთრებით არ უანდერძა, [მაშინ] შემდგომ იმის სიკვდილისა შვილნი თანასწორ

დაიმკვიდრებდენ; არამედ ლირსებულს წიგთს [ცერც დედა და ვერც დედინაცვალი] გარეშეს კაცს ვერ უანდერძებდა.

შენიშვნა: ბეფის ვახტანგის კანონის ბერძულის მეორეს წიგნის რპე მუხლი არ მოხმარებულარს.

53. რომელს ქვრივს რძალს ეყოლებოდა შეილი ვაჟი ანუ ქალი მცირე წლოვანნი იმათ დააგდებდა და გათხოვდებოდა ამისთანას შემთხვევაში თუ ექნებოდა საკმაო მზითვეი მისცემდნენ მხოლოდ იმას თვინიერ სამარხისა, და საკმაოს მზითვის უქონლობისას, გარდა მზითვისა სამკუდროსაც მისცემდნენ, და თუ მეორეს ქმართან რომელსაც შეირთავდა შვილი არ ეყოლებოდა და უშვილოდ გარდიცვლებოდა მაშინ იმის სამარხად დახარჯულს გარდა მზითვეი პირველს ქმართან ნაყოლს შვილს დარჩებოდა და თუ შეილი არ ეყოლებოდა და გათხოვდას მოინდომებდა ანუ იმ ოჯახიდამ გასვლას, მაშინ ზითვეს გარდა შეძლებისამებრ სამარხიც მიეცემოდა და უკეთუ არც ერთს ქმართან შვილი არ დარჩებოდა ქალის მამა და ძმები გაიტანდნენ თავიანთგან მიცემულს ზითვეს—რაც დაკარგული ან გაცვეთილი და თავისაგან დახარჯული არ იქნებოდა:

54. ოდესაც გაყრისას ყოველსავე ზემო მუხლებთამებრ იმოქმედებდენ შემდგომ დაუშერდნენ რამთენიც ძმანი იყვნენ იმთენს გაყრის წერილს და ისი წერილი როგორც გამყრელთაგან აგრეთვე ტფილისის მელიქის და ქეთხუდებთაგან დაიბეჭდებოდა და დარჩებოდა სრულს ძალასა ზედა და შემდგომ იმ გაყრის წერილის მიცემის ყოველნივე თავთავისთვის იქნებოდნენ და ერთმანერთან აღარაფერი საქმე ექნებოდათ.

55. გაყრის წერილის მიცემის შემდგომ თუ რომელსამე ძმას უპოვნილნენ დამალულს თეთრს ანუ ნივთს, ასე რომ გაყრის უამს გამყრელთათვის არ გამოეჩინოს, ის დამალული მიეცემოდა იმ ძმათა რომელთათვისაც დაემალა და დამ[მ]ალავს იქიდამ არაფერი წილი არ დაედებოდა თუ ძმები თავიანთის ნებით არ მისცემდნენ; ჩვეულება ესე არა მხოლოდ მოქალაქეთა ზედა იხმარებოდა არამედ კეთილშობილთა ზედაცა ტფილისში.

56. გაყრის შემდგომ თუ მათ წინაპ[ა]რთაგან აღებული ასეთი ვალი გამოჩნდებოდა, რომ მათ არა სცოდნიყოთ, იმ ვალს როგორც ქონება ექნებოდათ გაწილული იმის მიხედვით მიაცემინებდენ; —აგრეთვე ასაღებსაცა.

VIII

ახლის სახლის და გენახის შენობისათვის

57. არ არის შესაძლებელი რომ მეზობელმან მეზობლის სახლის მხრისაკენ თავის სახლს ფანჯარა გაუკეთოს რომ შიგ ჩაყურებდეს.

და თუ შუაზე ქუჩა არის თავის სახლს ფანჯარას დაატანს საცა ქნ
და ქუჩის მხარისაკენ და გარდა ამისა არცა ვის ძალუცს რომ თავის
ლი ანუ წყალი მეზობლის სახლის ეზოსა და განზედ მიჰყაროს და
მიუგდოს და თუ ძველთაგან ჰქონია გზათა, მაშინ ვეღარას ეტყვის
მეზობელი მეზობელს.

58. უკეთუ ვინმე მისცემდა ვისმე ცარიელს მიწას ვენახად რომ
აეშენებინა, მათშუა ამისთვის პირობა როგორც იქნებოდა წერი-
ლით იმას ვერ გარდასცილდებოდნენ და როდესაც ვადა შესრულდე-
ბოდა შუა გაიყოფდენ მიწის პატრონი და ამშენებელი, ანუ გააკე-
თებდენ საერთოდ და მოსავალს შუა გაიყოფდენ და თუ ვენახის გა-
მკეთებელი კაცი მოსული იქნებოდა და იმას თავის ბატონი იყრიდა
ისი ნაშენობა დათასდებოდა და ნახევარ ფას[ს] მამულის პატრონი
ამშენებელს მისცემდა, მაგრამ რაც პირველივე წერილით პირობა დაი-
დებოდა ისე გარდასწყდებოდა და უკეთუ მამულის პატრონი იმ
მამულის გასყიდვას მოინდომებდა იმის სყიდვა გამკეთებელს შეხვდე-
ბოდა და თუ ის არ იყიდდა შემდგომ მამულის პატრონს ეძლო ვის-
თვისაც სდომიყო მიეყიდნა.

IX

მოსამართლეთ და ბჭეთ განჩინებისათვის

59. განჩინება მდივანბეგთა ბჭეთა და ადგილობით დადგინებულ
მოსამართლეთა სადაოს საქმისათვის ქმნილი დარჩებოდა სრულს ძალ-
საზედა მეფისაგან დაუმტკიცებელიცა, უკეთუ მეფე იმ განჩინების
წინააღმდეგს წერილობითს საბუთს არ უბოძებდა და ანუ თვით მე-
ფე არ ინებებდა იმის მოშლას და გარჩევას.

60. ორთა მოდავეთაგან საქართველოსა შინა არა აღმოჩეულარს
შეკრულების ხელწერილით ბჭენი, არამედ უწერილოდ ესრეთ ორ-
ნი მოდავენი ვინც იქნებოდნენ ურთიერთის თანხმობით გამოიჩინ-
დნენ ორს, სამს, ექვსაც ბჭეს და მეტს კი აღარ ანუ მეფის ბრძა-
ნებით ანუ სადაურნიც იქნებოდნენ მოდავენი მუნებურის მოხელის
ბრძანებით და ისე გარდასწყვეტდენ მათს სადაოს; დაუწერდნენ გა-
რდაწყვეტილობის განაჩენს ორსავ მხარეს და თუ ვინიცის რომელი-
მე მათგანი მოჩივარი იჩივლებდა მეფეთა ანუ მოხელეთა თანა, ასე
რომ მედიატორთაგან უსამართლო დამემართა[ო]; გაშინჯველნენ მათს
გარდაწყვეტილობის განაჩენს უკეთუ მართლად აღმოჩნდებოდა მო-
ჩივარი მათს გარდაწყვეტილობას მოშლიდნენ და მოჩივარს კანონი-
ერს კმაყოფას მისცემდნენ და თუ კანონიერად იქნებოდა გარდაწყვე-
ტილი განაჩენსაც დამტკიცებდენ და მას ტყუილს მოჩივარსაც ჯა-

რიმის გარდახდევინებით დასჯიდნენ, და როდისაც გაიხსნა რუსეთის
მმართებლობა აღმოჩენენა წარმოებს მედიატორთა მოჩიდართ კეთილდობა
ნებით თვინიერ მართებლობის გარევითა, მისცემენ მედიატორთ
შეკრულების ხელის წერილს და დაამოწმინებენ სასამართლოსაც.

შენიშვნა: მეფის ვახტანგის კანონის პირველის წიგნის სიე,
მეორის წიგნის ბერძულის რლვ, და აღმულას მექქვეს წიგნის
უა, რ, და რა მუხლი ამ ჩვეულებისამებრ მოხმარებულარს, და
ბერძულის მეორეს წიგნის, რლზ და რლთ მუხლი სრულს
ძალაზედ მაშინ მოიყვანებოდა ოდესაც ბჭენი ჰეშმარიტობით
განსჯიდნენ.

61. უკეთუ დედოფალნი ანუ ქენი მეფეთანი გასცემდენ თავიანთ
წილს ყმასა და მამულსა მეფეთაგან ნაბოძებთა ანუ თვისგან ნასყიდ-
თა, ისი გაცემული ყმა და მამული დაემტკიცებოდათ ვისაც უბო-
ძებდენ ვითარუა მეფეთ ნაბოძები და აღარ მოქმლებოდათ, იქნებო-
და რომელთამე მეფეთათვისაც დაემტკიცებინათ და რომელთამე არა
მაგრამ ორივ მტკიცე წყალობა იქნებოდა და არა მოიშლებოდა.

62. უკეთუ გლეხნი თავისის მებატონისაგან იქნებოდნენ წარგზა-
ვნილ საღმე საჭიროს საქმისათვის და იგი წარგზავნილი კაცი დაი-
კარგებოდა თუ მებატონეს შეეძლო თავისის მნებებელობით დაიხსნიდა
და ისევ იმისი ყმა იქნებოდა და თუ თავისის ნაქონის მამულიდამ
დაიხსნებოდა მაინც მებატონისა იყო და თუ იგი დაკარგული კაცი
თავისთვის მოვიდოდა თავისავე ნაქონს მამულზედ და ხანს რასმე
დაყოფდა, ერთს კვირასაც არის, მებატონეს ველარ წაუვიდოდა ყმო-
ბიდამ და კიდევ თუ რომლისამე შემთხვევით მტერი დაესხმებოდათ
წახდებოდა ქალაქი ანუ სოფელი და იქ დაკარგული ტყვე როცა
მოვიდოდა მებატონეს არ დაეკარგებოდა და ვერც ყმობიდამ წაუ-
ვიდოდა და თუ მებატონისაგან ზემო თქმულთამებრ გაგზავნილი კა-
ცი დაიკარგებოდა და თავისის მეცადინეობით მოვიდოდა ტყვეობი-
დამ და თავის ნაქონებს მამულში აღარ შევიდოდა მებატონის ყმო-
ბიდამ თავისუფალ[ი] იყო მხოლოდ თვით ცოლით თვისით და შეილ-
ნი მისნი პირველის ბატონისა იყენენ და არ გამოერთმევოდათ
ისინი პირველს მას მებატონეს.

63. უკეთუ მეფე ანუ დედოფალი ანუ ქენი მათნი და ან თავად-
ნი ახლის სოფლის აღშენებას იწყობდნენ და შესრულებდენ მათ
გლეხთ აზატობას მისცემდენ რამდენსამე წელს და არა ნაკლებ ექვ-
სის წლისა ვითარუა სახასოთა აგრეთვე სათავადოთა.

64. არიან თავადნი და აზნაურიცა რომელთაც აქვსთ ალაგი
ტყია, წყლისა და ბალახისა მთით და ბარით და ჰელობენ იმა ალა-
გებთა, უკეთუ არა მნებებელობითა მათითა ვერავის ძალედვა მათის
88

ალაგებიდამ სარგებლობა რისამე, გარნა მუნებურნი და უახლოესნი
სოფლის ხალხი გამოიტანდნენ შეშას და ხეტყეს სახლისათვის და
არა გასასყიდლად და აგრეთვე ბალახსაც ვერ დაუჭერენ საქონლის სა-
ძოვრად და უკეთუ სხვა სოფლებისა რომლისამე მცხოვრებელნი ისა-
რგებლებდენ იმ ალაგებიდამ მებატონის ნებით, მაშინ განწევებულს
სარგებლობას მისცემდნენ, და თუ არ ენებათ მამულის მებატონეთ თა-
ვიანთ მამულში არავის შეუშვებდენ თვინიერ თავის ყმისა.

65. არის ადგილობითი ჩვეულება რომ ოდესაც გათხოვდება
პირველად ქალი მაშინ მუნებური მებატონე ანუ მოხელე ვისიც
გლეხის ქალი იქნებოდა ვინც წაიყვანდა წამყვანს გამოართმევდნენ
ექვეს აბაზს, ორს მინალთუნს და ანუ სამს მინალთუნს და ეს ჩვეუ-
ლება არის თავადაზნაურო ყმათა ზედა და თუ სახელმწიფო ყმა წა-
იყვანს მასაც გამოართმევენ, მაგრამ გარდა ამისა არ არის ჩვეულება
უკეთუ თავადისა და აზნაურის ყმის ცოლი დაქვრივდებოდა და ით-
ხოვდა ვინმე იმ ქვრივს ვინც წაიყვანს საქვრივოს გამოართმევენ
ლირსებისამებრ ქვრივისა ხუთის მინალთუნიდამ ვიდრე ხუთს თუმ-
ნამდე.

66. უკეთუ ინებებდა მეფე სოფლის აშენებას ანუ დედოფალი,
უბრძანებდენ რომელთამე თავადთა ანუ აზნაურთაგანსა, დაიწყებდენ
სოფლის შენობას, როდესაც შესრულდებოდა შენობა ანუ პირველს
დაწყებაშივე, მას აღშენებულის სოფლის მოურაობას უბოძებდენ მას
მოჭირნახულეს საუკუნოდ და საშეილოშვილოდ და ექნებოდა მოუშ-
ლელად წყალობა იგი და გარდა ამისა ამ გვარადვე უბოძებდნენ
სოფლებს სახელოდ რომელნიც იმსახურებოლნენ სისხლით ანუ აჩვე-
ნებდენ როგორმე სხვა რიგს სასარგებლოს სამსახურს და იგი მიცე-
მული წყალობა არავის მოეშლებოდათ, თვინიერ შეცოდებისა და
აქუნდათ მათ სოფლებთა შინა თავიანთ სახელო კაცთა ზედა ნება
ჯოხით გალახებისა და ჯარიმის გარდახდევინებისა, და რაიცა იქნე-
ბოდა გამგებლობა სოფლისა ყოველივე იქნებოდა მოურავთაგან და
აქუნდათ მათ სოფლებთაგან სხვადასხვა სარგებლობა და ზოგს
ათის თავი სამეფოს შემოსავლიდამ გარდა სარგებლობისა და სამო-
ურაოსა რომელ ესეცა აქუნდათ.

67. უკეთუ თავადთა ანუ აზნაურთაგანი სახლის უფროსი მიიცვ-
ლებოდა მაშინ მეფე იმის ყმასა და მამულს იმ წელს სამეფოს სათ-
ხოვრისაგან გაათავისულებდა.

68. თუ რომელიმე სოფელი სახელმწიფო, სათავადო, ანუ სააზ-
ნაურო დაისეტყვებოდა იმ წელიწადს აღარას გამოართმევდნენ გა-
მოსალებს.



69. უკეთუ რომელიმე სოფელი სახელმწიფო, სათავადო ანუ **სახალისხმო** ნაურო შტერტაგან წარიტყვევნებოდა სანამ მას შიგან მცხოვრებელი თავისავ მდგომარეობად მოვიდოდნენ გან[ა]თავისუფლებდენ ყოველის გამოსალებიდან.

70. სოფლებთა შინა აქვთ თვის თვისად ჩვეულება რომელ დასდებენ წერილთ აღთქმას მოსავლის წაუხდენლობისათვის ანუ სნების მორიდებისათვის განაწესებენ გარდასახადსა ვინც იმ პირობას გარდავიდოდა გარდაახდევინებდენ დადებულს ჯარიშას იმათ ამისათვის ნება ჰქონდათ და ვერცარავინ უსაყვედურებდა, მაგრამ ისი უფრო მტკიცე მაშინ იქნებოდა უკეთუ მათის მეუფროსის თანხმობით იქმოდნენ მას.

71. მებატონე თავად-აზნაურნი ოდესაც შეცოდებისათვის თავიანთ ყმათ ყ რებოდნენ გარდაახდევინებდენ ჯარიშით და ჯოხის ცემითაც, თვინიერ ნასალისა¹, ამისთვის მეფე არც უსაყვედურებდა ამგვარის საქმისათვის, რადგან მებატონეთ ყმათაზედა სრული უფლება აქვს და ვერც საღმე უჩივლებდა ყმა ბატონსა თვისსა.

72. მომხდარა რომ თავადის შესახვედრს აზნაურს დაეგდო პირველი მებატონე თვისი და მისვლიყოს სხვას ისრედ ყოვლისავე მოძრავის ქონებით და ცოლშვილით მიუვიდოდა მეფეს ანუ სხვას თავადს და უძრავი ქონება რომელიც მას აზნაურს ეჭირებოდა ის დარჩებოდა უუჯათოდ პირველს მებატონესა მის[ს]ა.

73. დასხნილ ტყვეთათვის თუმცა კანონთა შინა თქმულ არს რომ დანიშნულს დრომდის გამომსახურების შემდგომ განათავისუფლონ, გარნა თვით ესე მხოლოდ დამხსნელის ნებასა ზედა დამოკიდებულიყო და თუ დამხსნელი დაასახლებდა თავის ყმად მაშინ არავის ეძლო იძულებით განეთავისუფლებინათ ისი.

შენიშვნა: მეფის ვახტანგის კანონის ბერძულის მეორეს წიგნის ზ და მ, სომხურის მესამეს წიგნის სმ და მოსეს მეშვიდეს წიგნის ვ მუხლი არ მოხმარებულარს.

74. გლეხთ აღწერა მეფის ნებაზედ იყო დამოკიდებული და როდესაც მეფე ინებებდა აღწერას, მაშინ დანიშნევდა სამს ანუ ოთხს მოხელეს აღსაწერად, არამედ იმათ ვალედვათ აღწერასა მას შინა მებატონეთ მოსამართულები, ქვრივ-ობოლნი და შეუძლებელნი არ ჩაწერათ, აგრეთვე სოფლის მოხელენიცა რომელ ამათის ჩაუწერლობისათვის ამწერთ ჰქონდათ ნების დართვა.

¹ რუსულ თარგმანში ფრაზა „თვინიერ ნასალისა“ გადმოცემულია ფრაზით: „не имея однако же права на лишение членов“.

შ 0 6 1 ა რ ს 0

	83-
I. მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ა/კავკასიაში	5
1. აბრეშუმის ძაფის ამოსახვევი და სართავი მანუფაქტურა	9
2. მინის მანუფაქტურა	29
3. სოფ. დრეს მაუდის სარეწავი	40
II. შინამრეწველობა ა/კავკასიაში	45
III. „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი ჰსჯულნი“	67

✓ 2607

ବ୍ୟେନ୍‌କ୍ୟୁର୍ରି ରେଡାଜ୍‌ଟ୍ରୋରି ଓ. କ୍ଷୁମବୁନିପାତ୍ର

ମତାବ୍ଲୋଟ୍‌ର ନଂ 2132

ଅନାଫ୍ଯୁନ୍‌କ୍ଲିନ୍ ଥରମା 6X10

ବୀରାଜ୍‌ଯୁ 1.000 ଟ.

ପ୍ରାଣ 62X94 ଲି 1/₁₆

ଦେଖିଦେଇ. ଫୋରମା 5³/₄

ଗାଢାଏତା ଫାରମର୍ଯ୍ୟାବାସ 1938 ଫ. 20/XII

ସାସତ୍ରାମଦିନ ନିଶ. 6 ଟ୍ର.

ଶେଲମିନ୍‌ଟ୍ରେର. ଡାସବ୍ୟୁପ୍ରଦାଦ 1939 ଫ. 15. VI

ଶେକ୍‌କ୍ରମ ନଂ 2416

ବିହାର ରାଜ୍ୟ ପାଠ୍ୟ ବିଭାଗ କାନ୍ତିକାଳିକ ପରିଷଦ
ବିହାର ପରିଷଦ

3-8/27